საქართველო

# კავკასიონი

ივნისი 8 1996 წ.

The KAVKASIONI · © ყოველდღიური გაზეთი · №100 (394) · ფასი 40 თეთრი




## ნაღმზე აფეთქდნენ

გალის რაიონის სოფელ კოხორაში, აფხაზი ბოევიკების მიერ დანაღმულ ტერიტორიაზე აფეთქდნენ ამავე სოფლის მცხოვრებლები 20 წლის პაატა, 9 წლის ბოჩო და 10 წლის იზოლდა ლამანძიები, რომლებსაც ურმით შეშა გადაჰქონდათ, სამივე მათგანმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა დაჭრილები ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## არ ენდობა ქართულ მოსახლეობას

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს გალის რაიონის აფხაზურ ადმინისტრაციას, დართონ ნება კრიმინალთაგან თავის დასაცავად რაზმების შესაქმნელად, მაგრამ აფხაზურმა ადმინისტრაციამ არ მისცა მათ ამის უფლება, ვინაიდან გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას არ ენდობა.

## შეხვედრა «აფხაზეთიდან დევნილთა კავშირთან»

ა.წ. 7-8 აპრილს გამართულ აფხაზეთიდან დევნილთა ყრილობაზე დაფუძნდა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი", რომელმაც ყველა საპარლამენტო ფრაქციას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ითხოვდნენ შეხვედრას პოზიციების გარკვევის მიზნით.

გუშინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში გაიმართა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის" ხელმძღვანელობისა და ფრაქცია „ედპ-ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" თავმჯდომარის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს პოზიციები აფხაზეთის პრობლემის შესახებ. კავშირის ხელმძღვანელობის აზრით, უნდა შემუშავდეს აფხაზეთის დაბრუნების ერთიანი კომპლექსური პროექტი და ეს პრობლემა რუსეთზე ჩამოკიდებით არ გადაიჭრება.

ი. სარიშვილი-ჭანტურიამ აღნიშნა, რომ რუსეთისთვის სამხედრო კვოტების გადაცემა დაუშვებელია და ეს პარლამენტმა არ უნდა მიიღოს. მისივე აზრით, დაუშვებელია რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის საპოლიციო ფუნქციების მინიჭება, რადგან ეს გამოიწვევს რუსეთის მიერ აფხაზეთის უკვე კანონიერად გაკონტროლებას.

ფრაქციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის გატარების შედეგად მოხდება რუსეთის ინტერესების განეიტრალება დასავლეთის ფაქტორით.

სტუმრებმა მთლიანად გაიზიარეს ფრაქციის „ედპ-ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" პოზიცია. „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირს" განზრახული აქვს მოამზადოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების კონცეფციის პროექტი.

იბერია

### პარლამენტი

## «თუ კანონი არ გვექნა ნორმალური, მთელი ქვეყანა შეიძლება დაგირავდეს»

7 ივნისს პარლამენტის კონფერენცდარბაზში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გამართა საკომიტეტო მოსმენა საკითხზე: 1992 წლიდან 1996 წლამდე საქართველოსთვის გამოყოფილი უცხოური კრედიტების ათვისებისა და დაფარვის შესახებ.

შეხვედრაზე ვრცელი სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა პარლამენტის წევრმა ი.ხუციშვილმა. უცხოეთის მხრიდან ამ 4 წლის მანძილზე 1 მილიარდ 223 მილიონი ამერიკული დოლარი ყოფილა საქართველოსთვის გამოყოფილი. თანამეგობრობის ქვეყნების კრედიტები კი 588 ამერიკულ დოლარს შეადგენენ. გამოყოფილი თანხა ძირითადში არამიზნობრივად იქნა გამოყენებული. ნავაჭრი თანხა დღესაც ბრუნავს და არ არის სახელმწიფო ბანკში შესული. ფინანსთა სამინისტრომ უნდა იცოდეს, თუ რამდენად მიზნობრივად იქნა გაცემული კრედიტები; გამომსვლელმა აღნიშნა, რომ კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს როგორც კრედიტის გამცემის, ასევე მიმღების მუშაობას. ხშირი შემთხვევები ყოფილა, როცა კრედიტების ასაღებად უცხოეთში მიდიოდნენ ისეთი თანამდებობის პირები, რომლებსაც თარჯიმნებიც კი არ მიჰყავდათ თან. ითქვა, რომ ასეთი დელეგაციები საქმის მცოდნე კომპეტენტური ხალხით უნდა დაკომპლექტდეს.

ფინანსთა მინისტრმა პრობლემის სირთულე ჩვენში არსებულ დაბალ გადახდისუნარიანობას დააბრალა. ამის გამო მიდის რესტრუქტურიზაცია, რომ რამენაირად კიდევ გადავადდეს გადასახადი (მაგ. 10 წლით მოცემული კრედიტი პირველ ხუთ წელიწადში შეღავათიანია). დაიკობიან თქმით, დასავლეთი მზადაა, დათმობებზე წავიდეს, ოღონდ რაღაც თანხა მაინც გადავიხადოთ. გაზეთ „ფაინენშენალ თაიმსს" დაუწერია, რომ საქართველოში გადასახადებს არ იხდიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საინვესტიციო გარემო მაინც არსებობსო. ჩვენი იმიჯი საერთაშორისო არენაზე არც ისე ცუდია,

იხილეთ მე—2 გვ.

## არძინბა სესიას არ დაესწრო

დაუზუსტებელი ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მიერ მოწვეულ საგანგებო სესიას არ ესწრებოდა თავად ვლადისლავ არძინბა, ამის მიზეზი უცნობია.

## კილოგრამი პური 60 თეთრი ეღირება

საგენტოს კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ 1996 წლის 16 ივნისიდან, პურზე ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, 1 კგ. პური, სავარაუდოდ, 60 თეთრი ეღირება. მათივე განმარტებით, პურზე ფასების კატასტროფული ზრდის არავითარი საშიშროება არ არსებობს, ვინაიდან სახელმწიფოს გააჩნია 40-45 დღის პურის სტრატეგიული მარაგი. იმ შემთხვევაში, თუ პურზე ფასები მკვეთრად გაიზრდება, სახელმწიფო განახორციელებს ინტერვენციებს სასაქონლო ბირჟაზე და მოახდენს პურზე ფასების შემცირებას.

გარდა ამისა, შეიმჩნევა მსოფლიო ბაზარზე პურზე ფასების შემცირება 5-7 პროცენტით, რაც გავლენას მოახდენს საქართველოზეც. ამავე წყაროს ინფორმაციით, შესაძლებელია 16 ივნისიდან საქართველოში გაუქმდეს პურის ტალონები.

იბერია

### პოლიცია

## ჯერ ხელფასი, შემდეგ — აღჭურვილობა

საბიუჯეტო სახსრების 75 პროცენტს შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელფასებში ხარჯავს, განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატებთან" შეხვედრისას ამ უწყების ხელმძღვანელმა კახა თარგამაძემ. მისი თქმით, დანარჩენი თანხა ხმარდება იარაღისა და ტყვია-წამლის შეძენას, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კვებას, პოლიციისა და შინაგანი ჯარების შემოსვას. ასეთი დაფინანსება ვერ აკმაყოფილებს შსს-ს მოთხოვნილებებს, აღნიშნა მინისტრმა.

BGI

### ჩეჩნეთი

## ჩეჩნეთს კვლავ „პოლიტიკური ბურუსი" ფარავს

ნაზრანში რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპარაკებები, რომლის მორიგი რაუნდი ხუთშაბათს, თითქმის ოთხი საათი გრძელდებოდა, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა. იგი ტყვეთა გაცვლის საკითხზე მსჯელობით დაიწყო. დავა გამოიწვია გასათავისუფლებელ პირთა ნუსხის შეთანხმებამ. არანაკლებ პრობლემური იყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერაც, რომლის შემაფერხებელიცაა სამხედრო საკითხების მთელი ბლოკი — კრემლი მოითხოვს ჩეჩნების განიარაღებას რესპუბლიკიდან რუსეთის შეიარაღებული ფორმირებების გაყვანამდე, ჩეჩნეთის დელეგაცია კი ამის წინააღმდეგია.

იხილეთ მე—5 გვ.

### ენერგეტიკა

## იაპონური კაპიტალი საქართველოში შემოდის

კავკასიის რეგიონი, კონკრეტულად კი საქართველო და აზერბაიჯანი მსოფლიოს მძლავრი ქვეყნების სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების სივრცეში მოექცა. კავკასიის სამომხმარებლო და გასაღების ბაზრის დაუფლებისთვის ბრძოლა კარგა ხანს გასტანს. „საუკუნის პროექტის" ეტაპობრივი განხორციელების დაწყება კიდევ უფრო აკონკრეტებს ინტერესების სფეროს.

ამჟამად კასპიის ზღვის აუზის ნავთობის მოპოვების და დასავლეთის ბაზარზე მისი ტრანსპორტირების საკითხების განხილვაში იაპონია ჩაერთო. ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმში იაპონიის უძლიერესი კომპანიის „იტოჩუ კორპორეიშენის" სრულუფლებიან წევრად მიღება, ზრდის ამ ქვეყნის ინტერესს კავკასიის რეგიონისადმი.

თბილისში საქმიანი ვიზიტით იმყოფება კომპანია „იტოჩუ კორპორეიშენ"-ის დელეგაცია კოჯი ნოჯიმას — ენერგეტიკის და ქიმიური ჯგუფის პრეზიდენტის, კომპანიის მენეჯმენტის უფროსი დირექტორის ხელმძღვანელობით.

იაპონური კომპანია „იტოჩუ კორპორეიშენ"-ი ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის წევრი გახდა (მან ამერიკული კომპანიის „MAKDERMOT"-ის აქციათა პაკეტი შეიძინა). ამჟამად იგი აქტიურად მონაწილეობს კასპიის ზღვის ნავთობის საბადოების ათვისების საქმეში.

იხილეთ მე—2 გვ.

### ტურიზმი

## სტუმარი ფარაონების ქვეყნიდან

საქართველოში 10 ივნისამდე სტუმრად იქნება ეგვიპტის ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ჯგუფის ტიბა-ს ხელმძღვანელი ახმედ რაშდანი, რომელიც ამ დღეებში ტურიზმის ობიექტების საინვესტიციო პროგრამების გასაცნობად იმყოფებოდა ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტში. გუშინ კი ეგვიპტელმა ბიზნესმენმა ქართველ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით დაათვალიერა სასტუმროები და სხვა ტურისტული ობიექტები.

„კავკასიონი"

### ალპინისტის ჩანაწერები

## მწვერვალ მაკ-კინლიზე ასვლის ალპინისტური სეზონი ქართველმა მთამსვლელებმა გახსნეს



1996 წლის აპრილ-მაისში ალიასკაზე, მწვერვალ მაკ-კინლიზე (6194მ) მოეწყო პირველი ქართული ექსპედიცია. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: ბიძინა გუჯაბიძე, ლევან სარქისოვი და ბენო ქაშაკაშვილი. გთავაზობთ ბიძინა გუჯაბიძის ალპინისტურ ჩანაწერებს.

იხილეთ მე—6 გვ.

### სიძველეთა გადასარჩენად

## ძეგლთა დაცვა — პრობლემები, პერსპექტივა

ვაგრძელებთ რუბრიკას „სიძველეთა გადასარჩენად", სადაც სპეციალისტები, პარლამენტის, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს, მეცნიერებათა აკადემიის, საზოგადოების წარმომადგენლები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს ძეგლთა დაცვის სისტემაში შექმნილ უმძიმეს ვითარებასთან დაკავშირებით.

დღეს რუბრიკის სტუმრები არიან: **ნოდარ ჯანბერიძე** — აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი და **ივანე ბრეგელაშვილი** — რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი

იხილეთ მე-5 გვ.



ქსნის ციხე

პარლამენტი

# „თუ კანონი არ გვექნა ნორმალური, მთელი ქვეყანა შეიძლება დაგირავდეს“

პირველი გვერდიდან

დასავლეთი ოპტიმისტურადაა განწყობილი. მინისტრის თქმით, თურქეთის მხარე კიდევ 50 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას აპირებს ჩვენი ეკონომიკის დასახმარებლად. ვალის ნაწილის რესტრუქტურიზაცია მოხერხდა თურქმენეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან. ითქვა ისიც, რომ აშხაბადში ჩვენი ნაწილ-ნაწილ დაბრუნებული ფულით აუშენებიათ შესანიშნავი აეროპორტი. ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაინც რუსეთთან და თურქეთთანაა. რუსეთს ვალების დაფარვა ქონებითაც კი მოუთხოვია, ხოლო თურქეთთან დადებული ხელშეკრულება იმდენად მძიმეა, რომ მისი გადახდა ნებისმიერ საწარმოს გაუჭირდება. თურქული კრედიტი პირველ წელს 40 პროცენტის გადახდას ითხოვს, ასევე მეორე წელს და მხოლოდ მესამე წელსაა შესაძლებელი 20 პროცენტის გადახდა.

ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობის სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, კრედიტის განაწილება მინისტრთა კაბინეტში ხდებოდა. დღევანდელ პირობებში თურქული საქონლის გაყიდვა შეუძლებელი ხდება. პროდუქცია არა მხოლოდ მდარე ხარისხისაა, არამედ — მავნეც. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვაჭრობის სამინისტრო აღმოჩნდა. მას, ფაქტობრივად, ჩაუწვა საქონელი. ლაპარაკი იყო თურქეთიდან შემოტანილ უხარისხო მატყლზე, რომელიც არ იყიდება. სამართლიანი იყო შ.ნათელაშვილის აღშფოთება ამ საკითხზე. მაშინ, როცა მთა დაიცალა იმის გამო, რომ მატყლს ვერ ასაღებენ, ჩვენთან თურქეთიდან ეზიდებიან მას, თანაც უხარისხოს. ვ.რჩეულიშვილის თქმით, „თურქული კრედიტი იყო მაგალითი იმისა, თუ რა უსუსურები ვიყავით“. გამოითქვა აზრი, რომ შედარებით დაბალ ფასში გაეყიდულიყო საყოფაცხოვრებო საქონელი. მაგალითად, მაცივრები, მართალია, დაბალი ხარისხისაა, მაგრამ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მაინც შესაძლებელია რეალიზება.

ცალკე მსჯელობის საგნად იქცა ჩინური მიზნობრივი კრედიტი, რომლის მიხედვითაც ქართულ მხარეს უნდა შეეძინა ტრაქტორები აგრარული სექტორის გასაუმჯობესებლად. როგორც გამოირკვა, მისი ტრანსპორტირება ისე ძვირი დაჯდა, რომ ტრაქტორების საკუთარი სვლით წამოსვლა უკეთესი იქნებოდა. კომიტეტის თავმჯდომარის ზ.სიორიძის თქმით, ეს საკითხი ძალიან დაუფიქრებლად გადაწყდა და შესაბამის უწყებას თუ პიროვნებებს მკაცრად მოეთხოვებათ ამაზე პასუხი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზ.ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მათ შეისწავლეს რუსეთის კრედიტების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები. საქმეს ართულებს ის, რომ საგამოძიებო სამუშაოების დიდი ნაწილი რუსეთშია ჩასატარებელი, რაც დიდ სირთულეებს ქმნის. კრედიტის ნაწილი, რომელიც მაზუთის შესაძენად იყო გამოყოფილი, არამიზნობრივად დაიხარჯა. ამჟამად პატიმრობაშია აყვანილი თბილსრესის გენერალური დირექტორი. ასევე არამიზნობრივად დახარჯა 1 მილიარდი ფირმა „ეგრისმა“. შულავერის მატყლის გადასამუშავებელ ფაბრიკაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. თურქული კრედიტის შემოწმება კონტროლის პალატასთან ერთად განხორციელდა და საქმე გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას. ითქვა, რომ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა არ აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს ფართო მოქმედების საშუალებას. კრედიტების არამიზნობრივი ხარჯვა არ ისჯება კანონმდებლობით. აქ აუცილებელია გამკაცრდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და კრედიტების მიზნობრივ ხარჯვაზე თავიდანვე შემუშავდეს მექანიზმი.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ პრეზიდენტმა თ.ჭყონიამ აღნიშნა, რომ მართალია თურქეთის მხრიდან მძიმე პირობები იყო, მაგრამ მაინც შეძლეს ნაწილის გადახდა. მათ აღებული ჰქონიათ 5 მილიონი დოლარი კრედიტის სახით. 2 მილიონ 809 ათასი დოლარი უკვე სახელმწიფო ხაზინაში შეიტანეს. მან ფირმის სახელით სთხოვა ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაეგეგმათ კვარტალურად გადასახადის გადახდა, რადგანაც წინასწარ ძნელია ივარაუდო მოგებული თანხის რაოდენობა.

„კოკა-კოლას“ ფონზე ბუნებრივია გაჩნდა ინტერესი ლაღიძის წყლების საკითხთან დაკავშირებით. ჭყონიამ განაცხადა, რომ ქსნის ქარხანაში სპეციალურად მუშავდება ლაღიძის წყლის ბოთლი შესაფერისი ეტიკეტით, რომლის პირველი პარტია 200-300 ათასი ცალი მალე გაიყიდება.

მ.ჯიბუტმა განაცხადა, რომ „დღეს პირველად მოხდა ვალების მთლიან სტრუქტურაში წარმოდგენა“, საჭიროა ვალების პოლიტიკის შემუშავება. სავალუტო ფონდთან საქართველო კონცეფციით არ მისულა, ის იძულების გზით მივიდა. ითქვა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანომ (ლაპარაკი იყო ვაჭრობის სამინისტროზე) არ შეიძლება აიღოს ვალი. ფაქტობრივად ხელისუფლებამ ვაჭრის ფუნქციის შესრულება დაიწყო. საზღვაო დეპარტამენტს 170 მილიონ დოლარად დაუგირავებია გემები. ვინ და რა უფლებით გააკეთა ეს? რუსეთის ვალის ქვეშ მიდის საქართველოს ქონების დაგირავება. „თუ კანონი არ გვექნა ნორმალური, მთელი ქვეყანა შეიძლება დაგირავდეს“ — აღნიშნა გამომსვლელმა.

საკომიტეტო მოსმენა შეაჯამა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზ.სიორიძემ. მან ყურადღება გაამახვილა ვალების მომსახურებისა და რესტრუქტურიზაციის პრობლემებზე და განაცხადა, რომ პარლამენტს განსახილველად წარუდგენდა ამ საკითხს.

ბია ბაინდურაშვილი

ენერგეტიკა

# იაპონური კაპიტალი საქართველოში შემოდის

პირველი გვერდიდან

„იტოჩუ კორპორეიშენ“-ი 1858 წელს დაარსდა და სადღეისოდ იაპონიაში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა. მისმა კაპიტალბრუნვამ 1995 წელს 187 მილიარდს მიაღწია: მსოფლიოს 90 ქვეყანაში დახლოებით 180 წარმომადგენლობა აქვს გახსნილი; მთელ მსოფლიოში 816 ფილიალი და გაერთიანებული კომპანიები გაჩნდა.

კომპანიის საქმიანობის არეალი ვრცელია — იგი მოიცავს ინდუსტრიის თითქმის ყველა სფეროს: ენერგეტიკას, მრეწველობას, მანქანათმშენებლობას, ქიმიურ, ფოლადის, ფერადი ლითონების და საფეიქრო წარმოებას; საავტომობილო, საჰაერო ავიაციის, სატელეკომუნიკაციო ხაზებს, ნავთობის და გაზის, ქიმიური სასუქების, ხე-ტყის, ქაღალდის პროდუქციის, ვაჭრობის და სამშენებლო მრეწველობას.

საერთაშორისო ეკონომიკურ ორბიტაზე საქმიანი კავშირების ფართო ქსელის წყალობით, კომპანიას მნიშვნელოვანი საინტეგრაციო როლის შესრულება შეუძლია: პროექტირების განვითარებაში, პარტნიორთა კოორდინაციაში, სამშენებლო ნედლეულით მომარაგებაში, საინვესტიციო პროდუქციის მარკეტინგში და ენერგეტიკული რესურსების განვითარების პროექტების დაფინანსებაში, წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

კოჯო ნოჯიმა ენერგეტიკის და ქიმიური კომპანიის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებამდე პასუხისმგებელი იყო კორპორაციის ყველა სტრატეგიულ პროექტზე მთელ მსოფლიოში.

კომპანია „იტოჩუ კორპორეიშენ“-ის რანგის იაპონური კომპანია აქამდე საქართველოს არ სწვევია.

იაპონიის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ძირითადი მიზანია: საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა, ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების პერსპექტივების შესწავლა, მასშტაბური კაპიტალდაბანდებისთვის და ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი სფეროების შერჩევა. კომპანია ძალზე დაინტერესებულია საქართველოს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების განვითარებით (განსაკუთრებით კი, პორტების და რკინიგზის განვითარებით), ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებით.

ქართული მხარე „იტოჩუ კორპორეიშენ“-ს კონკრეტულად შემდეგ სფეროებში სთავაზობს თანამშრომლობას:

ფოთის და ბათუმის პორტების ნავთობსადგომების, ტექნიკური ბაზის განახლება და ახლით აღჭურვა (რომლებიც აზერბაიჯანის ნავთობის და საერთაშორისო კონსორციუმის ტვირთების მისაღებად არის განკუთვნილი);

სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობა;

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის და ქიმიური ქარხნების რეკონსტრუქციაში მონაწილეობა;

საზორნე მეურნეობის განვითარება (ამ სფეროში „იტოჩუ კორპორეიშენ“-ის მონაწილეობა დარგის სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით არის შესაძლებელი);

ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის და მშენებლობის, აგრეთვე არატრადიციული ენერგეტიკის განვითარებაში თანამშრომლობა;

საქართველოში საკურორტო ზონის განვითარებაში მონაწილეობა;

თბილისში სასტუმროს მშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

7 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი „იტოჩუ კორპორეიშენ“-ის დელეგაციას შეხვდა.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა წარიმართა. საუბრის ძირითადი თემა ზემოთჩამოთვლილი საკითხები იყო.

დასასრულს „იტოჩუ კორპორეიშენ“-ის ენერგეტიკის და ქიმიური კომპანიის პრეზიდენტმა და საქართველოს ნავთობის კორპორაციის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან ბლიც ბრიფინგი გამართეს.

კოჯო ნოჯიმა: „ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმში გაწევრიანებამდე, „იტოჩუ კორპორეიშენ“-ს ამიერკავკასიის ქვეყნებთან კონკრეტული სავაჭრო კავშირები არ ჰქონია. ამჯერად აზერბაიჯანში და საქართველოში ჩვენი მოგზაურობის მიზანია ამ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება. რაც შეეხება საქართველოს, დიდი სურვილი მაქვს შევარჩიო შესაბამისი პროექტი, რომელიც ორივე ქვეყანას ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემს. ჯერჯერობით ნაადრევია რომელიმე კონკრეტულ პროექტზე საუბარი, თუმცა, საქართველოს მიერ შემოთავაზებული ყველა წინადადების დაწვრილებით განხილვის და შესწავლის დიდი სურვილი გვაქვს“.

საკითხებზე კონკრეტულ საუბარს კოჯო ნოჯიმამ თავი აარიდა: ჟურნალისტთა დაჟინებული ჩაძიების შემდეგ, მასმედიისთვის მხოლოდ ეს გახდა ცნობილი, რომ საქართველოს მიერ შეთავაზებული სოციალურ-სამრეწველო ინფრასტრუქტურების განვითარებაში (მაგისტრალური მილებით ნავთობსადენის ტრასის უზრუნველყოფა, ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რკინიგზა და ავტოტრასების რეკონსტრუქცია, ელექტროსადგურების განახლება, ახლის მშენებლობა) თანამშრომლობას იაპონური კომპანია შესაძლებლად მიიჩნევს.

გიორგი ჭანტურია: „ჩვენს მიერ წარდგენილი პროექტები დიდ ინტერესს იწვევს იაპონელებში, საქართველოს პრეზიდენტმაც შეხვედრაზე მხარი დაუჭირა ხუთივე პროექტს. მათ იაპონელი და ქართველი ექსპერტები ერთობლივად დაამუშავებენ. თანამშრომლობის იმედი გვაქვს.

იაპონელი ინვესტორები დაინტერესებულნი არიან საქართველოს სამომხმარებლო ბაზრით“.

ხათუნა რეხვიაშვილი

ისრაელი

# თან ესალმება, თან აკრიტიკებს...

ისრაელის ახალი პრემიერმინისტრი ბენიამინ ნათანიაჰუ მიესალმა ეგვიპტის, იორდანიისა და პალესტინის ლიდერების მისწრაფებას — გაგრძელდეს სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში. ამასთან, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ წინააღმდეგია პალესტინის სახელმწიფოს შექმნისა, რომლის დედაქალაქიც იერუსალიმი იქნება. ასეთი განცხადება კი იყო პასუხი იასირ არაფატის გამოსვლაზე, როცა მან დააფიქსირა, რომ სულ მალე იზეიმებენ პალესტინის დამოუკიდებლობას.



## მალე ისრაელს ახალი მთავრობა ეყოლება

ისრაელის ახლადარჩეული პრემიერმინისტრი ბენიამინ ნათანიაჰუ განაგრძობს მოლაპარაკებებს იმ პარტიებთან, რომლებიც მმართველ კოალიციაში შევლენ. მართალია, ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, „ლიკუდის“ ლიდერს 45 დღე აქვს ახალი კაბინეტის ფორმირებისთვის, მაგრამ იგი სულაც არ აპირებს ამდენი ხნის მანძილზე აცალოს საქმიანობა დღევანდელ გარდამავალ სახელმწიფო სტრუქტურებს — ნათანიაჰუს გადაწყვეტილი აქვს უკვე 16 ივნისისთვის კნესეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს თავისი კაბინეტის შემადგენლობა.

ახალ მთავრობაში „ლიკუდის“ წარმომადგენლების გარდა, შევლენ მინისტრები ნაციონალურ-რელიგიური პარტიიდან („მაფდალი“), ულტრაორთოდოქსალური რელიგიული ფრაქციის წევრები, ცენტრისტული „მესამე გზის“ დეპუტატები და განვლილი არჩევნების ტრიუმფატორები — ნათან შარანსკის „ისრაელ ბა-ალიას“ „რუსული“ პარტიის ლიდერები. ეს უკანასკნელნი ახალ კაბინეტში ორ პორტფელს ითხოვენ, თუმცა, ძნელი სათქმელია, დააკმაყოფილებს თუ არა ნათანიაჰუ „ყოფილი რუსების“ ასეთ მადას. ულტრამემარჯვენე მოძრაობა „მოლედეტი“ მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ მოლაპარაკებებზე არ მიუწვევიათ, მაგრამ იგი მზად არის „გარედან“ დაუჭიროს მხარი მემარჯვენე ლიბერალებს. ასე რომ, მომავალ კაბინეტს უკვე დღესვე 120 პარლამენტარიდან 66-ის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

საფრანგეთი—ესპანეთი

# სეპარატისტებს ებრძვიან...



საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ბაიონაში პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს 15-მდე ადამიანი დააპატიმრეს. ოპერაციის დროს ადგილი ჰქონდა დიდ არეულობას, ვინაიდან პოლიციამ საკათედრო ტაძარში შემავალი ხალხის ტალღა შეაჩერა, რათა ბას[...] შეიარაღებული დაჯგუფება ეტას ათი ექვმიტანილი წევრი და[...] ვებინა. დაკავებული პირები გაძევებულ იქნენ საფრანგეთიდან [...] წლის წინ, ახლა კი მათ .რაღაც. არხების საშუალებით კ[...] მოახერხეს ქვეყანაში დაბრუნება. საფრანგეთის პოლიციამ [...] რამდენიმე საათში მოახერხა მათი დაკავებაც და ესპანელი კო[...] გებისთვის გადაცემაც. ეს ფაქტი ესპანეთისა და საფრანგეთს შო[...] ეტას თაობაზე გამართული მოლაპარაკების შედეგიანობის ერ[...] ერთი დამამტკიცებელი საბუთია, რაც, ბუნებრივია, შეიარაღებ[...] დაჯგუფებაში აღშფოთებასა და პროტესტს იწვევს.

თურქეთი

# წინა პლანზე ნეჯმეთინ ერბაქანი გამოდის

ნეჯმეთინ ერბაქანი დროს არ კარგავს და კარგად იყენე[...] თურქეთში შექმნილ პოლიტიკურ ვაკუუმს, რომელიც მემა[...] ვენე კოალიციური მთავრობის კრახმა გამოიწვია. ისლამის[...] „კეთილდღეობის“ პარტიამ, რომლის ლიდერიცაა ერბაქანი, [...] დამწყვეტი დარტყმა მიაყენა პრემიერმინისტრ მესუთ ილმ[...] და მთავარი როლი ითამაშა ხუთშაბათს ამ პოლიტიკური ფ[...] რის თანამდებობიდან გადაყენების საკითხში. თურქეთის პო[...] ტიკურ არენაზე, როგორც ჩანს, კიდევ ერთ გარიგებას ეყ[...] საფუძველი: კავშირს კრავენ ყველაზე დიდი „რეფახის“ (ი[...] „კეთილდღეობის“) პარტიის ლიდერი ერბაქანი და ყოფ[...] პრემიერმინისტრი, ილმაზის ყოფილი მოკავშირე თანსუ ჩილე[...] გუშინ პრეზიდენტმა დემირელმა დაიწყო კონსულტაციები [...] ყნის პოლიტიკურ ლიდერებთან, რომელთა შედეგად უ[...] მოხდეს საბოლოო პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა, [...] შეიძლება, ერბაქან-ჩილერის კოალიციის შექმნითაც დასრ[...] დეს. თუმცა, სავსებით მოსალოდნელია, რომ ერბაქანმა კ[...] ციის გარეშეც მიაღწიოს წარმატებას, ვინაიდან იგი კარგად [...] ნტროლებს მდგომარეობას და სარგებლობს მესუთ ილმა[...] და თანსუ ჩილერის მარცხით გამოწვეული შედეგებით.

ჩეხეთი

# ვაცლავების „ჰეგემონია“



ჩეხეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებსთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირება მიანდო სამოქალაქო-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, ჩეხეთის ახლანდელ პრემიერმინისტრს ვაცლავ კლაუსს. ვარაუდობენ, რომ ახალი კოალიციური კაბინეტის შემადგენლობაში, პრემიერის გარდა, შევა 15 მინისტრი.



ფინეთი

# ფინელები განზე რჩებიან

სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, 2001 წლამდე ფინეთი არ აპირებს მიემხროს რომელიმე სამხედრო ალიანსს. ამის თაობაზე განაცხადა ამ ქვეყნას არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა გუსტავ ჰეგლუნდმა. მას მიაჩნია, რომ დებატებმა ფინეთის ნატოში შესვლის თაობაზე, მართალია, გამოაცოცხლეს პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ ეს თემა აქტუალური სულაც არ არის და ემყარება მცდარ არგუმენტებს. ჰეგლუნდმა ხაზი გაუსვა, რომ ფინეთი ახლო მომავალშიც განაგრძობს სამხედრო ალიანსებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკას.

პოლონეთი

# უვიცი ბანკირები

ბანკირებს მარტო ფულის თვლა კი არ უნდა შეეძლოთ, არამედ ელემენტალური ცოდნაც მოეთხოვებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნებებს ვერ ასცდებიან. სააგენტო რეიტერის ცნობით, პოლონეთის ქალაქ ოლესნოში ერთ-ერთმა ახალგაზრდამ თხოვნით მიმართა ბანკს 300 ათასი დოლარის კრედიტის გამოყოფის თაობაზე და გირაოდ „დადო“ ნაბეჭდი წიგნი — X საუკუნის ლოცვანი, თან წარადგინა დოკუმენტი მისი ნამდვილობის თაობაზე. ბანკში გულმოდგინედ გადაუთვალეს თანხა ახალგაზრდა მთხოვნელს, ისე, რომ თავიც არ შეიწუხეს წიგნის სატიტულო ფურცლის დასათვალიერებლად, რომელშიც ეწერა, რომ წიგნი გასული საუკუნის ბოლოს გამოუციათ მოსკოვში და არა ხუთასი წლით ადრე, ვიდრე გუტენბერგი ტიპოგრაფიულ ლიტერებს (ასოებს) გამოიგონებდა. ქალაქის პროკურორის განკარგულებით, თაღლითი მოძებნეს და დააკავეს, ბანკირებმა კი „საყვედური მიიღეს“ საშუალო სკოლის პროგრამის არცოდნისთვის.

## პრესმერიდიანი

# კომერციული საწარმო „ვანგა“



## მსოფლიოში ცნობილი ნათელმხილველი შეუძლოდაა

[illegible] ბულგარეთის მასობრივი ინფორ[illegible] საშუალებებმა გაავრცე[illegible] ინფორმაცია მსოფლიოში [illegible] მისანის, ვანგას ავადმ[illegible] შესახებ. ქვეყნის პარლა[illegible] გადაწყვეტილებით, მასთან [illegible] სპეციალისტების ჯგუ[illegible] ექიმებმა გასინჯეს 85 წლის [illegible] და მისი ჯანმრთელობის [illegible]მდგომარეობა შეაფასეს, როგორც [illegible]დაკმაყოფილებელი. [illegible] ვანგა ადგილობრივი მე[illegible] კონტროლის ქვეშ იმ[illegible] და ჩაკეტილებს არ იღებს. [illegible] ავადმყოფობამდე, რამ[illegible] ხნით [illegible] მე ბულ[illegible] ალმოვ[illegible] გადაწყ[illegible] შესარგებ[illegible] შემთხვევით [illegible]სტუმრებო[illegible] ნათელმხილ[illegible] იგი, ვან[illegible] [illegible] ცხოვრობს ქვეყნის [illegible] სამხრეთ-დასავლეთ [illegible] ქალაქ [illegible], სოფიი[illegible] 170 კილომეტ[illegible] დაშორებით. [illegible] სახლი ქალა[illegible] ცენტრში დგას. [illegible] ორსართულიანი შენობა [illegible] ყვავი[illegible] ჩაფლული. [illegible] კი ეა[illegible] რუპი[illegible], რომელიც [illegible] საზღ[illegible] ახლოს, პე[illegible] 10 კი[illegible]ლომეტრზეა. რუპი[illegible] გარშემორტყმუ[illegible] [illegible] [illegible] ცხელი წყალი, [illegible] ტბორი წარმოქმნა. აქ [illegible] აბაზა[illegible] ამ „ღვთიურ სასმელს“ სხვადასხვა კუთხეში ეზიდებიან. [illegible] რუპიტეს წყალი ბევრ [illegible] კურნავსო. ტოდორ ჟი[illegible] დროს დამტკიცებული იყო [illegible] აშენების გეგმა. [illegible] განუსაზღვრე[illegible] დაკონსერვდა.

რუპიტეში მოსახლეობა არ [illegible]. აქ მხოლოდ ვანგას [illegible] ორი ერთსართულიანი სახ[illegible] სათავსოები. ბაღში [illegible] ატმის ხეები, ვენახი და [illegible]. მოშორებით, ვანგასა და [illegible] ბიზნესმენების ხარ[illegible], აიგო ტაძარი.

[illegible] მსურველებს [illegible] ყოველდღე. ადამიანები მა[illegible] მოდიოდნენ იმედით, რომ [illegible] რაიმე ინფორმაციას [illegible] ახლობლებზე, მისი სა[illegible] გესაუბრებოდნენ გარ[illegible] ახლობლების სულებს, [illegible] განუკურნებელი დაავა[illegible] წამლის რეცეპტს, იწინას[illegible] თავიანთ მომა[illegible]...

[illegible] ვანგა გაურბის ჟურნალისტებს, [illegible] ინტერვიუებს. ამიტომ, [illegible] მისი ახლობლების მონა[illegible]. მაკედონიაში, სადანაცაა [illegible] წარმოშობით, ოციანი წლების [illegible] იყო საშინელი ქარ[illegible] 13 წლის ვანგა ქარბუქში [illegible] და მთლიანად დაბრმავდა. [illegible] თვის შემდეგ, გოგონას [illegible] ესიზმრებოდა წითელი რა[illegible] ერთხელ მან აუწყა, რომ [illegible] აღადგენდა მას ნათე[illegible], აგრეთვე ხორციელი და [illegible] ავადმყოფობების მკურნა[illegible].

[illegible] მოვისმინე ვანგას ბედისწე[illegible] დაკავშირებული ბევრი ის[illegible]. მან იწინასწარმეტყველა [illegible] მსოფლიო ომის დასაწყისი, [illegible] ბიზნესმენის მკვლელი, [illegible] როცა კინოდოკუმენტალის[illegible] მასზე ფილმს იღებდნენ, [illegible] შენიშნა: „ტყუილა ირჯებით, [illegible] აპარატი გაფუჭებულია“. არ [illegible], მაგრამ მაინც გასინჯეს [illegible] და [illegible] აღმოჩნდა. ვანგას [illegible] წინასწარმეტყველებით, იგი თავის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს გადასცემს საფრანგეთში დაბადებულ გოგონას, რომელიც [illegible] წლის ასაკში დაბრმავდება.

... საათი დილის 9-ს უჩვენებდა, როცა გამოჩნდა ჩვენი „ფოლკსვაგენი“. „ვანგა მოდის!“ თქვა ვიღაცამ. მისი ვილის ახლოს შეკრებილი ასამდე ადამიანი მომენტალურად გაირინდა. ახალი ავტომობილი სახლის ეზოში შევიდა. ვანგას დახმარების გარეშე უჭირს სიარული. იგი ხელის შეშველებით გადმოიყვანეს მანქანიდან და ოთახში დასვეს. მომსვლელებმა მაგიდაზე აიასგვარი საჩუქარი: ტკბილეული, ხილი, თაფლი, სახმელები დააწყეს და რიგი დაიკავეს სალაროსთან. მიღება ფასიანია. ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოქალაქეებისთვის გადასახადია 100 ლევა, კაპიტალისტური ქვეყნების მცხოვრებლებისთვის კი — 50 დოლარი. იქაურებმა თქვეს, რომ მიღებაზე ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრიდან ჩაეწერნენ. უცხოელებს ურიგოდ უშვებენ. თარჯიმანი თავად უნდა მიიყვანო.

დადგა ჩემი რიგი. დავჯექი ვანგასთან. მაგიდაზე დავდე გადასახადის ქვითარი და, დამატებით, კიდევ 100 ლევა. ქვითარი მან ოთხად დახია, მაგიდის ქვეშ სანაგვეში ჩაყარა, ფული კი ჯიბეში ჩაიდო...

— რატომ მოხვედით? — მკითხა მან.

— მაინტერესებს ბაბუას ბედი, იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

— სად დაიკარგა?

— მეორე მსოფლიო ომში.

— იგი მოკლეს, მაგრამ საფლავი არ აქვს. მას არდრო ერქვა?

— არა, მაქსიმე.

— მაქსიმე არა? მორჩა! წადი, წადი!..

ვერაფერი გაიგო თავის დაკარგულ შვილზე ვერც კრასნოდარელმა ქალმა. უკმაყოფილო წავიდა შუახნის ბულგარელიც, რომელსაც მარჩენალი ძროხა დაკარგვოდა.

ავერისტი უწოდა ვანგას გერმანელმა, რომელიც რუპიტეში თავისი გაუჩინარებული ქმრის ასავალ-დასავალის გასაგებად ჩავიდა.

„იქნებ, ვანგა პოლიტიკურ პროგნოზებშია ძლიერი?“ — დავინტერესდი მე და ამ, როგორც მე მომეჩვენა, თეატრალური წარმოდგენის განმკარგულებლისგან ასეთი პასუხი მივიღე: „პოლიტიკურ წინასწარმეტყველებებს ვანგა არასოდეს აკეთებდა. ყველაფერი ეს ჟურნალისტებმა გამოიგონეს“.

— მოიცადეთ, სპორტული პროგნოზები? ხომ წერდნენ გაზეთებში, რომ ვანგას თქმით, ბულგარეთის ნაკრები გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდოდა?“ პასუხი: „ყველაფერი ეს, ეტყობა, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელებმა მოიგონეს, რათა წაეხალისებინათ ფეხბურთელები. ჩვენი მხრივ, პრესაში გავაკეთეთ ამის უარყოფა“.

სასწაული რუპიტეში, სამწუხაროდ, ვერ ვიხილე. შესაძლებელია, ვანგას კიდეც ჰქონდა ზეადამიანური შესაძლებლობები, ახლა კი, უბრალოდ, დაბერდა. ადვილი ხომ არაა, 70 წლის განმავლობაში ყოველდღე მიიღო და მოუსმინო 50 ადამიანს. მომეჩვენა, რომ ახლა ავადმყოფ და მოხუც ქალს მხოლოდ კომერციული მიზნით იყენებენ და ვანგას კლიენტებიდან დიდ თანხას ქაჩავენ.

**ბესიკ ფიფია**

**„ნეზავისიმაია გაზეტა“**

## მედიცინა

# «ახალ სისტემაში მხოლოდ ძლიერი დარჩება»

**ნომრის სტუმარია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი უცხოეთთან ურთიერთობის დარგში, ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი ოთარ გერძმავა**



— თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს ატლანტა — ჯორჯიის შტატის „ემორის“ უნივერსიტეტთან. საინტერესოა თქვენი აზრი უცხოეთთან ურთიერთობის დადებით და უარყოფით მხარეზე.

— უნდა გითხრათ, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანასთან — გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, აშშ, იაპონია — ფართო კავშირები გვაქვს. განსაკუთრებულ ხასიათს იძენს ატლანტასთან ურთიერთობა. ბოლო ხუთი წელია, სერიოზული სასწავლო პროგრამა ხორციელდება, რაც გულისხმობს სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლას. აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტს დიდ დახმარებას უწევს ემორის უნივერსიტეტი საინფორმაციო საშუალებების და ბიბლიოთეკის აღჭურვაში. საინტერესო ფაქტი იყო ბატონ კენ უოკერის ვიზიტი თბილისში, რომელიც თბილისისა და ემორის უნივერსიტეტების ხელშეკრულების ამერიკული მხარის კოორდინატორია.

— რამდენი სტუდენტია დღეისთვის გაცვლის პროგრამაში ჩართული?

— თოთხმეტმა ქართველმა სტუდენტმა უკვე დაასრულა ემორის უნივერსიტეტის კურსი, ხოლო ემორის უნივერსიტეტიდან ჩვენთან. შვიდი სტუდენტი იყო ჩამოსული. სწავლება ერთი მიმართულებით, ერთი საპარტნიორო პროგრამით მიმდინარეობს.

— რა კვალიფიკაციით და სერთიფიკატით დაბრუნდებიან სამშობლოში ეს სტუდენტები?

— არსებული პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ახალგაზრდების 6 თვის განმავლობაში სწავლება ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. ამერიკაში მივლინებული სტუდენტები პრაქტიკულად იგივე საგნებს გაივლიან, რასაც ჩვენთან. ჩვენი წარგზავნილი სტუდენტების მთავარი მიზანია, გაეცნონ იმ უახლეს ტექნოლოგიებს, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი ემორის უნივერსიტეტის კლინიკებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სტუდენტთა ნაწილი აქტიურად ემზადება საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებასთან დაკავშირებული გამოცდების ჩასაბარებლად. იგი საკმაოდ რთული მოსაპოვებელია. უცხოელი მოქალაქეებისთვის სერთიფიკატს გასცემს ამერიკის სასწავლო კომისია, რომელიც სამი დონის გამოცდას ატარებს.

პირველ გამოცდაზე თეორიული ცოდნა მოწმდება, მეორეზე — კლინიკური, მესამე შემაჯამებელი გამოცდაა. ვინც ამ სამ გამოცდას გაართმევს თავს, მოიპოვებს რეზიდენტურაში ჩაბარების უფლებას. რეზიდენტურა ოთხწლიანია (შეღავათებს მხოლოდ გამოცდაჩაბარებული სტუდენტებისთვის იძლევიან, რაც დაბალი ფასებით გამოიხატება). ესაა პრაქტიკული სწავლება კლინიკაში. ამერიკაში საექიმო პრაქტიკის დაწყების ამგვარი მრავალსაფეხურიანი დაბრკოლებების არსებობა აიხსნება არა მხოლოდ ავადმყოფის, არამედ სამედიცინო საზოგადოებრიობის ინტერესებით. ამერიკა, გასაგები მიზეზების გამო, ბევრს იხდის, ამიტომ, კონკურენციის დაძლევის მიზნით, სამედიცინო საზოგადოებრიობა დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა უცხოელმა მოიპოვოს ამერიკაში მუშაობის უფლება. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთული ბარიერებია შექმნილი და საბოლოოდ მხოლოდ ერთეულები აღწევენ იმას, რომ ამერიკაში სამედიცინო პრაქტიკის უფლება მოიპოვონ. ჩვენი სტუდენტების ჩართვა ამ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გადალახვაში წარმოადგენს არა თვითმიზანს, ან ლტოლვას, მაინცდამაინც დავამკვიდროთ ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტი უცხოეთში, არამედ, ჩვენი მიზანია, პირველ რიგში, გავაცნოთ იგი იმ სირთულეებს, იმ სიახლეებს მედიცინის სფეროში, რაც ახასიათებს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ძირითადი ამოცანაა, სწავლების დონით საერთაშორისო სტანდარტებს მივუახლოვდეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამები და პედაგოგების მომზადების დონე არ ჩამოუვარდება თანამედროვე მოთხოვნებს. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ დახურულ სისტემაში, სადაც ამდენი ხანი გვიხდებოდა არსებობა, სამედიცინო ტექნიკის, მომსახურების, ფარმაკოლოგიის შიდაბაზარი შეზღუდული იყო. დღეს კი საშუალება აღარა გვაქვს, შევისყიდოთ თანამედროვე მედიცინისთვის შესაბამისი აპარატურა. ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასწავლო პროცესის გარდაქმნა. ამერიკელი კოლეგებისა და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების კონსულტაციებით შევადგინეთ ახალი პროგრამები. სექტემბრიდან ვიწყებთ ე.წ. კაპლანის კურსის პროგრამით იმ სტუდენტთა მომზადებას, რომლებიც შემდგომში სასერთიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას აპირებენ.

— რატომ უჭირს უცხოელ სტუდენტს სერთიფიკატის მოპოვება?

— არა იმიტომ, რომ მას ან მის მასწავლებელს შესაბამისი ცოდნა არა აქვს, არამედ — ადაპტაცია აქვს სხვაგვარი. ამერიკულ სამედიცინო კანონმდებლობაში სხვა ცნებებია, იქ კი, ამ კანონმდებლობის ცოდნას ითხოვენ. პერიოდულად, ჩვენთან ემორის უნივერსიტეტის პედაგოგები და სტუდენტები ჩამოდიან და ჩვენს ახალგაზრდებს კონსულტაციებს უწევენ.

ემორის უნივერსიტეტთან პარტნიორობა ტექნიკური საშუალებებით დახმარებასაც ითვალისწინებს. ახლახან, ემორის უნივერსიტეტიდან რამდენიმე კომპიუტერი და სხვადასხვა აპარატურა მივიღეთ.

ჯანდაცვის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე, რომელსაც პროფესორი, ბატონი ამირან გამყრელიძე ხელმძღვანელობს, პარტნიორული პროგრამის ჩარჩოებში ყალიბდება საინფორმაციო ცენტრი (ხელმძღვანელი პროფ.ა.კობალაძე), რომელსაც დახმარებას ასევე ემორის უნივერსიტეტი უწევს. ცენტრი საშუალებას მოგვცემს, ახალი ტექნოლოგიებით გავამდიდროთ სასწავლო პროცესი. მართალია, დღესაც შევდივართ საერთაშორისო საინფორმაციო სისტემაში, მაგრამ ეს ძალიან ძვირი გვიჯდება. სპეციალური აპარატურა გაუადვილებს სტუდენტებს უახლესი ინფორმაცია მიიღონ მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო არხიდან. ცენტრის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი მთავრდება. ერთი წლის შემდეგ, იმედია, ჩვენი ახალგაზრდები კომპიუტერის ეკრანთან იმუშავებენ, შექმნიან გვამის, ჭრილობის გაკვეთის იმიტაციას, მიკროსკოპებს მიუსხდებიან, შეისწავლიან უჯრედს, ქსოვილს და ა.შ.

— რაიმე ცვლილება ხომ არ არის მოსალოდნელი მისაღებ გამოცდებზე?

— მესამე წელია, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უცხო ენა ბარდება. ამან გამოიწვია სტუდენტთა დონის გაზრდა. მკვეთრად მოიმატა იმ ახალგაზრდების რაოდენობამ, რომლებიც ძალიან კარგად ფლობენ უცხო ენას. ბატონი უოკერის ვიზიტის დროს, ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ და აღორძინების ფონდის წარმომადგენლებმა შეხვედრა მოუწყვეს ამერიკელ და ქართველ სტუდენტებს. ისინი აღაფრთოვანა ჩვენი სტუდენტების მაღალმა დონემ. შეხვედრის დროს გამოიკვეთა აზრი, რომ შესაძლებელია მთავრობამ დააწესოს სტიპენდია (სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დაფინანსება დღეს ხდება მხოლოდ 5-6 ახალგაზრდისთვის წელიწადში).

უცხო ენის მისაღებ გამოცდად დამკვიდრებამ ნამდვილად დადებითი შედეგი გამოიღო. სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის 500 000 სასწავლო ტომიდან 100 000 ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზეა. წინა წლებში ეს ლიტერატურა ნაკლებად იყო გამოყენებული. დღეს კი, ამ ბიბლიოთეკით და ლიტერატურით, რომელიც ემორის უნივერსიტეტმა და სხვა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა მოგვაწოდეს, ძალიან ბევრი ქართველი სტუდენტი სარგებლობს.

— საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა გაიზრდება. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— სწავლების მეთოდი, რომელიც ჩვენ გვქონდა, ცუდი არ იყო. მაგრამ მას სჭირდება ადაპტაცია იმ საზოგადოებასთან, რომელშიც დღეს გვიხდება ცხოვრება. აქედან გამომდინარე, პრობლემების დაძლევაში ძალიან გვეხმარება პარტნიორული პროგრამები. სწავლების ხანგრძლივობა ისევ შვიდი წელია. ხუთი წლის განმავლობაში კვლავინდებურად თეორიული კურსი იკითხება, მეექვსე კურსი წინა წლებში იყო სუბორდინატურა, მეშვიდე — ინტერნატურა. ახალი პროგრამით მეექვსე და მეშვიდე წელს (რეზიდენტურა) სტუდენტი ინტენსიურად იმუშავებს სპეციალობის მიხედვით (რომელიც თავად აირჩია), ხოლო ის ხელმძღვანელი, რომელთანაც მიმაგრებული იქნება სტუდენტი, პასუხისმგებელია მისი კვალიფიკაციის დონეზე. სწორედ ამ ორი წლის შემდეგ სტუდენტმა უნდა ჩააბაროს სალიცენზიო გამოცდა და მიენიჭება ახალ სისტემაში ექიმის წოდებით.

— იმ უამრავ კერძო ინსტიტუტს შორის, რომელიც საქართველოში ამ ბოლო დროს გაიხსნა, გამოკვეთილი უპირატესობით კვლავაც სახელმწიფო უნივერსიტეტი სარგებლობს. თუ ჩრდილს არ მივაყენებთ ახლადგახსნილ ინსტიტუტებს, ხომ ვერ გვეტყვით, რით აიხსნება თქვენი სკოლის პრიორიტეტი?

— სამედიცინო განათლება ძალიან რთული და სპეციფიკურია.

დღეს სამედიცინო უნივერსიტეტში 74 კათედრა მოქმედებს. ამ კათედრებზე თანმიმდევრულად ჯერ საბაზისო ცოდნა იქმნება, ხოლო შემდეგ შედის სტუდენტი ავადმყოფთან კლინიკაში. ჩვენი ოპონენტები გვეკამათებიან, დასავლეთში 18-20 კათედრაა, რა საჭიროა საქართველოში 74 კათედრაო. მრავალი კათედრა თვითმიზანი არ არის, იგი გამომდინარეობს იმ ტრადიციებიდან, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრდა. მაგრამ კერძო ინსტიტუტში ამდენი სასწავლო სტრუქტურის ჩამოყალიბება ეკონომიურად შეუძლებელია, ამიტომაც ერთადერთი არგუმენტი შეკვეცილი სასწავლო გეგმის დასავლეთის მაგალითის მოყვანაა. სწავლების პროგრამები ჩვენს უნივერსიტეტსა და უცხოეთის სამედიცინო სკოლებში, პრაქტიკულად, ერთნაირია. ამერიკაში თერაპიის კათედრაზე არა მხოლოდ თერაპიას ასწავლიან, არამედ ნევროლოგიას, კარდიოლოგიას და ა.შ. იმ ერთ კათედრას, რომელსაც, ვთქვათ, დასავლეთში შინაგანი მედიცინის კათედრა ჰქვია, შეიძლება ჩვენი შვიდი თუ რვა კათედრა მივუსადაგოთ. კერძო ინსტიტუტებში თეორიული სწავლება ჩვენივე პროგრამებით მიმდინარეობს. პრაქტიკული კურსის განხორციელებისთვის კლინიკური ბაზები მათ ხშირად არ გააჩნიათ (უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი ბაზებით სარგებლობენ). ამიტომ, როგორ მაღალ დონეზეც არ უნდა ასწავლონ თეორიულად, კვალიფიციურ ექიმებს კერძო ინსტიტუტები ვერ აღზრდიან. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ კერძო სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბება დაუშვებელია. როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენში (მართალია, ერთეულ შემთხვევებში), ასეთ სასწავლებლებს ძალუძთ, მოამზადონ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი. მაგრამ ამისთვის საჭიროა ერთი პირობა — მაღალი კაპიტალდაბანდებები და საკითხისადმი სერიოზული მიდგომა. ეს კი ჩვენში იშვიათობას წარმოადგენს.

სახელმწიფო ჩვენს უნივერსიტეტს სტუდენტთა მისაღებ რაოდენობას სამასამდე უზღუდავს. რესპუბლიკისთვის მეტი არც არის საჭირო, რათა მოხდეს თაობათა ცვლა სამედიცინო სფეროში. დღეს საქართველოში ოცდათვრამეტი ათასი დიპლომიანი ექიმია. მოგეხსენებათ, ჯანდაცვის რეფორმის შემდგომ ეტაპზე ქსელი მკვეთრად იზღუდება.

ეს ძალიან სერიოზული სოციალური პრობლემაა.

ახალ სისტემაში მხოლოდ ძლიერი დარჩება. ძლიერების საფუძველი კი უნდა იყოს კარგი ცოდნა. კარგ ცოდნას იძლევა ის დაწესებულება, სადაც კარგი ტრადიციებია. ექიმისა და ადვოკატის განათლება ყველა ქვეყანაში სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფება. და, თუ სავალდებულო არ იქნა სწავლების ერთიანი სახელმწიფო სისტემა (არ იგულისხმება მხოლოდ ფარატინა ქაღალდი), თუ არ აღდგება ჭეშმარიტი ბარიერი არაკომპეტენტურობის წინააღმდეგ, ეს დალუპავს სამედიცინო სისტემას და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებასაც.

ესაუბრა

**ირმა კახნიაშვილი**

# ძეგლთა დაცვა — პრობლემები, პერსპექტივა

## ნოდარ ჯანბერიძე —

### აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი

საღლეისოდ ძეგლთა დაცვის სფეროში ისე, როგორც ყველა სხვა დარგში, ბევრი პრობლემაა. ეს სრულიად გასაგებია, ძეგლთა დაცვა დიდ თანხებს მოითხოვს, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ აქვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 1996 წლის ბიუჯეტში ძეგლთა დაცვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია თანხები. მაგრამ, მხოლოდ საბიუჯეტო თანხებით ძეგლთა დაცვის პრობლემების მოგვარებას ვერ შევძლებთ, მოსაძებნია სხვა საშუალებებიც. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ სპონსორებს, ჩვენი ბიზნესმენები დღეს იმდენად ძლიერნი არ არიან, რომ ყველა დარგში არსებული პრობლემები მოაგვარონ. ალბათ, ძეგლთა დაცვის სამმართველომ შიდა რესურსებიც უნდა მოიძიოს. აშკარაა, რომ რაღაც ახალი გზა უნდა ვეძიოთ.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო და ძეგლთა დაცვის საზოგადოება საკმაოდ პრესტიჟულია. ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო პირველი რესპუბლიკა იყო, სადაც ეს სამსახურები ჩამოყალიბდა და ძეგლთა დაცვის საკითხებს სახელმწიფო კურირებდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, ჩვენთან უკვე არსებობს ძეგლთა რესტავრაციისა და მოვლა-პატრონობის ტრადიცია, გვყავს ამ საქმის პროფესიონალები და ა.შ.

ახლა მთავარია, როგორმე მოვახერხოთ კატასტროფის პირას მისული ძეგლების გადარჩენა. ზოგი გადაუდებელ მკურნალობას, ან აღდგენა-რესტავრაციას ითხოვს, ზოგიც მიწისძვრის შედეგად სრულიად დაინგრა, ან სერიოზულად დაზიანდა. ძეგლთა დაცვის სამმართველომ, სპეციალისტების დახმარებით უნდა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება ძეგლების გადარჩენა. ამ პატრიოტულ საქმეში, აქტიური მონაწილეობა, რა თქმა უნდა, შეძლებულმა ფირმებმაც და კერძო პირებმაც უნდა მიიღონ, რათა შთამომავლობას კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა შემოვუნახოთ.

სადღეისოდ არსებული მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი ბევრია. ბევრ ძეგლზე ადრე დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოები მეტი ინტენსიურობით უნდა გაგრძელდეს. მაგალითად, ნიკორწმინდის უნიკალურ ძეგლზე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა, წმენდნენ გუმბათს, მკურნალობდნენ ქვას. მიწისძვრის შედეგად ახალი დაზიანებები გაჩნდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ახლა მხოლოდ გუმბათის რესტავრაცია ხერხდება. აქ კი, ყოველგვარი დაყოვნება შეიძლება ძეგლისთვის ახალი ზიანის მომტანი იყოს.

ქუთაისში ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი საქმე წამოიწყეს, შეიქმნა ბაგრატის ტაძრის აღდგენის ფონდი. ძეგლზე სამუშაოების ჩატარება დღესვე შეიძლება, ამ შემთხვევაში გუმბათის გადახურვა არ იგულისხმება. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და სპეციალურ განსჯას მოითხოვს. კამათი ტაძრის გუმბათით გადახურვის შესახებ, კარგა ხანია მიმდინარეობს. არიან ძეგლის დამთავრება-გადახურვის და აღდგენის მომხრენი, მაგრამ არიან ოპონენტებიც, რომლებიც ასაბუთებენ, რომ ზემოთაღნიშნული ტიპის სამუშაოების ჩატარება არ შეიძლება. ძეგლთან მიმართებაში სიფრთხილე გვმართებს, ქვაში მეცნიერული ჰიპოთეზის განმტკიცება მიუღებელია.

ბაგრატის ტაძარი ძეგლზე ზრუნვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. პროფესორმა ვახტანგ ცინცაძემ, რომელიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღედაღამ მუშაობდა ტაძრის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე, რესტავრაციაზე, ზედმეტი შრეებისგან გაათავისუფლა ბაგრატი, განამტკიცა ნგრევის პირას მისული კედლის წყობები, დასავლეთის კარიბჭე მან ტაძარზევე არსებული ნანგრევებისგან აღადგინა და შეძლო ძეგლის პირვანდელი პოეტურობის, ალმაფრენის შენარჩუნება.

ესაუბრა

**ნუცა რუხაძე**



კუმურდოს ტაძარი

## ივანე გრემელაშვილი —

### რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი

ადრინდელ პერიოდში ძეგლთა დაცვის სისტემა ფინანსურად ბევრად უზრუნველყოფილი იყო; სახელმწიფო ხაზინიდან ძეგლთა მოვლა-პატრონობაზე უშურველად იხარჯებოდა თანხები. სადღეისოდ მხოლოდ სიმბოლური თანხები თუ გამოიყენება ისტორიულ ძეგლთა რესტავრაციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლთა დაცვა უკიდურესად მძიმე ფინანსურ გასაჭირშია, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფა ძეგლთა დაცვის სისტემაში არსებულ უამრავ პრობლემას მაინც ვერ გადაჭრიდა.

იმ პერიოდში, როცა დიდი ფინანსური რესურსები იყო მიმართული ძეგლთა დაცვაზე, გარკვეული უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა — რესტავრაციის ნაცვლად ინდუსტრიალიზაციის პროცესი გაიშალა. მრავალი პროექტი მასიურად ეშვებოდა წარმოებაში. თავისთავად, ასეთ მსხვილ მასშტაბებს რესტავრაციის პროცესი ვერ გუობს. რესტავრაცია გულმოდგინე კვლევას, ანალიზს და ზუსტ გადაწყვეტას საჭიროებს.

წელიწადში ასამდე ძეგლის აღდგენა ხდებოდა. ამდენად გართულებული იყო რესტავრაციის პროცესის გაკონტროლება, შეუძლებელი იყო სამუშაოების ასეთი ტემპის კადრებით უზრუნველყოფა.

როცა ძეგლთა დაცვაზე სახელმწიფო მონოპოლია, სახელმწიფო ინსტიტუტები მოიშალა, სხვა სამსახურებიც გაჩნდა. მაგალითად, ფასადმშენის სახით უნიკალური ნაგებობების აღდგენის სამმართველოს სახით, თბილისის ისტორიული ზონის დაცვის ინსპექცია კი დღეს უკვე სამმართველოდ გადაიქცა. აუცილებელია, ყველა ამ უწყებას მეთოდურ კოორდინაციას ერთი ორგანო უწევდეს. კარგი იქნება, თუ შეიქმნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო კომისია. იგი კოორდინაციას გაუწევს სიძველეთა კვლევისა და დაცვის სამსახურების საქმიანობას, მათ ურთიერთობას ეკლესიასთან. ჩვენ, რა თქმა უნდა, კერძო სტრუქტურების არსებობას წინ ვერ აღვუდგებით, მაგრამ სადღეისოდ მიმაჩნია, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველოს მონოპოლიური უფლებები მართებულია მანამ, ვიდრე ერთიანი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო შეიქმნება. ძეგლის კვლევა-რესტავრაცია რესტავრატორის პერსონალური პასუხისმგებლობით, ერთიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობით უნდა ხორციელდებოდეს. ამისთვის ლიცენზირების კანონი იქნება შესაქმნელი, რაც შემდგომში დილეტანტებისგან დაიცავს კულტურულ მემკვიდრეობას.

ბოლო ხანს კერძო ინიციატივებიც გამოჩნდა, იქმნება ფონდები. კერძო ინვესტორებთან აქტიური მუშაობა გვმართებს, რათა თანხები სწორი მიმართულებით დაიხარჯოს.

თუ დასავლური გამოცდილებით ვიმსჯელებთ, აღსანიშნავია, რომ აქ ძეგლთა დაცვაზე სხვადასხვა ფონდის მიერ შემოწირული თანხები იხარჯება. მაგრამ იმავდროულად, ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს სახელმწიფო სამსახური, რომელიც განსაკუთრებული ღირებულების ძეგლებს თავად პატრონობს. შეიძლება, რომელიმე კერძო ინვესტორს არ გაუჩნდეს ზემო კრიხის ეკლესიის აღდგენის სურვილი, მაგრამ სახელმწიფოს ასეთი ძეგლის უპატრონოდ მიტოვების უფლება არ აქვს.

„საქრესტავრაციის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ძეგლთა პასპორტიზაცია, გრაფიკული და საშენ მასალათა ფიქსაცია, კონსერვაციისა თუ რესტავრაციისთვის კვლევა-პროექტირება და შემდგომში საწარმოო პროცესზე მეთვალყურეობა, რაც სადღეისოდ უსახსრობის გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება. დრო კი ულმობელია და ძეგლები თანდათან ზიანდება, ხშირად მათი მნიშვნელოვანი დეტალები ქალალდზე დაუფიქსირებლად ილუპება.

მიუხედავად მძიმე ფინანსური პრობლემებისა, ჩვენთან უკვე ორი წელია ფუნქციონირებს საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიცია. უკვე მომზადებულია ამ ძეგლების ნუსხა, სათანადო აღწერით, უახლოეს ხანებში დაიწყება ყველა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ძეგლის დაცვის პროგრამების შედგენა. პირველ ყოვლისა, მისახედია თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ხანძთა, ოშკი, ხახული. ვცდილობთ, სახელმწიფოებრივ დონეზე მივიღოთ ზომები ხანძთის გადასარჩენად, რომელსაც ბურჯები აქვს მორღვეული და დასალუპადაა განწირული. ამჟამად ვამზადებთ და თურქეთის მხარეს შევთავაზებთ, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების, ისე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქული ძეგლების მოვლა-პატრონობის ერთობლივ პროგრამას.

ეკონომიკური გაჭირვების ჟამს ინსტიტუტიდან კადრების გადინება დაიწყო, სამსახურში პროფესიონალების ის კასტა დარჩა, რომელთაც სხვა საქმისთვის არ მიუმართავთ. შენარჩუნებულია ძირითადი ინტელექტუალური ბირთვი, მათ იმედზეა დღეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ძეგლის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ძეგლისთვის ფუნქციის, მისი პირვანდელი სახის დაბრუნებაა. რამდენიმე წელია, სპეციალური დადგენილება გამოვიდა, რომლის თანახმადაც, ყველა ეკლესია საპატრიარქოს გადაეცა. შეიქმნა მოსაზრება, თითქოს განსაკუთრებული ღირებულების ძეგლები დაცული უნდა იქნეს და იქ არ შეიძლება ეკლესია მოქმედებდეს. ეკლესია წირვა-ლოცვისთვის, მრევლისთვისაა აგებული და, ამიტომაც, ეკლესიას მისი პირვანდელი ფუნქცია აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს. საჭიროა ეკლესიასთან მჭიდრო კონტაქტი, პროფესიონალების და ღვთისმსახურთა ერთობლივი მუშაობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება. სადღეისოდ კი, ამ თვალსაზრისით, რთული მდგომარეობაა შექმნილი.

საპატრიარქოშიც ფუნქციონირებს საპროექტო განყოფილება, რომელიც, ძირითადად, ახალი ნაგებობების პროექტირებითაა დაკავებული. მაგრამ, როცა საქმე რესტავრაციას ეხება, კვლევა-პროექტირებას განსაკუთრებული განსწავლა, კვალიფიკაცია ესაჭიროება. ასეთი კადრი კი დღეს მაინც ძეგლთა დაცვის სისტემაშია თავმოყრილი. ქართულ ისტორიულ ძეგლებზე ასახულია ჩვენი ისტორიის ქარტეხილები და, ამდენად, მისი კვალის გაქრობის უფლება არ გვაქვს. ღვთისმსახურებას ეკლესიებში პირობები უნდა შევუქმნათ, მაგრამ არა ჩვენი ისტორიის საზიანოდ.

ესაუბრა

**დიანა ბაბროშვილი**

---

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი

# ნატოს კონფერენცია ბერლინში

გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ფართოდ გააშუქა გერმანულმა პრესამ, იყო ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ბერლინში, რომელიც 3-5 ივნისს გაიმართა. მთავარი გადაწყვეტილება, რომელიც ამ შეკრებაზე მიიღეს, იყო ის, რომ მომავალში ნატოს ევროპული წევრი სახელმწიფოები უფრო მეტ დამოუკიდებლობას მიიღებენ ამ ორგანიზაციის ფარგლებში, ანუ შეეძლებათ გადაწყვეტილებების მიღება აშშ-ს გარეშე. 16 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი შეთანხმდა სტრუქტურული რეფორმების გატარებაზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნება შეიარაღებული ძალების შენაერთი, რომელიც კრიზისულ შემთხვევაში დაექვემდებარება დასავლეთ ევროპის კავშირის პოლიტიკურ და სტრატეგიულ კონტროლს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს შეთანხმება შეაფასა, როგორც „ევროპის დიდი წარმატება". როგორც ცნობილია, საფრანგეთმა შარლ დე გოლის პრეზიდენტობის დროს, 1966 წელს, ნატოს სამხედრო სტრუქტურიდან გამოიყვანა თავისი ჯარები, რათა ისინი იძულებულნი არ გამხდარიყვნენ დამორჩილებოდნენ ნატოს ამერიკელი ოფიცრის ბრძანებებს. ახლადშექმნილი სამხედრო ერთეულები ისარგებლებენ ნატოს ინფრასტრუქტურით, მაგრამ მათ დასჭირდებათ მოქმედებისთვის ნატოს საბჭოს თანხმობა. მიუხედავად ამ სიახლისა, მომავალში მაინც იარსებებს ერთიანი ნატო, რომლის კონტროლის სფერო-მულტინაციონალური იქნება. შეიქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც მომავალი სამშვიდობო მისიების დროს პოლიტიკური და სამხედრო მიზნების კოორდინაცია დაევალება.

ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა უორენ კრისტოფერმა ბერლინის შეხვედრისას აღნიშნა: „ჩვენ ნატოს განახლებისთვის დრამატული ნაბიჯი გადავდგით". ნატოს მხოლოდ გაამლიერებს მის შიგნით ევროპული ჯგუფის ჩამოყალიბება, რადგან იგი უკეთ გაართმევს თავს „ცივი ომის" შემდეგ წარმოქმნილ ახალ ამოცანებს ევროპის ფარგლებში და ეს ისე მოხდება, რომ ამ კავშირის მთლიანობა შენარჩუნებული იქნება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა შეხვედრის გახსნისას განაცხადა, რომ „ნატოში ისეთი ცვლილებები უნდა მოხდეს, რომ მას სწრაფად შეეძლოს რეაგირება ადგილობრივი კონფლიქტების დროს, არც ჩვენ და არც ამერიკელებს არ გვაძლევს ხელს, მუდმივად იძულებულნი ვიყოთ, ჩვენს ამერიკელ მეგობრებს ვეძახდეთ ევროპაში საშველად". გარდა ამისა, კლაუს კინკელმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ნატო მზადაა, სტრატეგიული პარტნიორობა შესთავაზოს რუსეთს და ამ ნაბიჯით თავიდან აიცილოს მასთან ახალი კონფლიქტები.

კომუნიკე, რომელსაც „სიგნალი ბერლინიდან" დაარქვეს და რომელსაც ხელი მოაწერა თექვსმეტმა მინისტრმა, დიდხანს ახწორებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველაფერი შეთანხმებული იყო — საფრანგეთი ნატოს სამხედრო საბჭოს უბრუნდებოდა და ამერიკაც ეთანხმებოდა ევროპის „საკუთარი სახის" ჩამოყალიბებას, აღმოჩნდა, რომ მაინც არსებობდა პუნქტები, რომლებზეც პარტნიორები იოლად ვერ თანხმდებოდნენ.

უორენ კრისტოფერმა, ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად, სრულიად გარკვევით გამოაცხადა, რომ ამერიკა თავის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ევროპაში იმყოფებიან, იქვე დატოვებს და არ შეამცირებს, და რომ ნატო მხოლოდ ტრანსატლანტიკური კავშირითაა ძლიერი და რომ მისი მთავარი ძალა სწორედ კოლექტიურ თავდაცვაშია. ეს სიტყვები ყველაზე მეტად საფრანგეთის „გასაგონად" იყო ნათქვამი. როგორც ჩანს, ამერიკელებს არ დავიწყებიათ, თუ როგორ „გაგდო" განრისხებულმა შარლ დე გოლმა ნატო საფრანგეთიდან ბრიუსელში, როგორ გამოიყვანა იქიდან ფრანგი ჯარისკაცები და როგორ აკმარა მომდევნო ოცდაათი წლის მანძილზე მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქცია, თუმცა, მშვენივრად სარგებლობდა ნატოს წყალობით შენარჩუნებული მშვიდობით „ცივი ომის" წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ კლაუს კინკელსა და მის ზოგიერთ კოლეგას ძალიან უნდოდათ „ახალი ნატოსა" და „ნატოს ისტორიაში ახალი ეპოქის" ტერმინების დამკვიდრება, მისი შინაარსი მაინც იგივე რჩება. აშშ-მ ძალიან გარკვევით გამოხატა თავისი პოზიცია, რომ ნატოში აშშ-ს როლი ისევ წამყვანი იქნება. ამავე დროს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაღალი დიპლომატიური კლასი აჩვენა ბერლინში. მან ოსტატურად უმღერა დითირამბები კრისტოფერსა და „არაჩვეულებრივ" ფრანგულ-ამერიკულ ურთიერთობებს. აღნიშნა, რომ კარგად ესმის, თუ როგორ გაუჭირდება ამერიკას, შეეგუოს ნატოში უფრო მცირედი როლით დაკმაყოფილებას და ღია დატოვა საკითხი, თუ კონკრეტულად როდის გადაწყდება საფრანგეთის სამხედრო როლის განსაზღვრა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

**მაკა ქადარია**

---

ბალკანეთი

# სამხედრო ტექნიკა გაკონტროლდება



ყოფილი იუგოსლავიის დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლებმა, რომლებიც სამშვიდობო მოლაპარაკებაში იღებდნენ მონაწილეობას, მიაღწიეს შეთანხმებას იარაღის კონტროლის პაქტთან დაკავშირებით. დეიტონის შეთანხმების თანახმად, ყოფილი იუგოსლავიის შემადგენელი მხარეები: ბოსნიელთა მთავრობა, ბოსნიელ-ხორვატთა ფედერაცია და ბოსნიელი სერბები ხუთშაბათს, ფაქტობრივად, შუაღამემდე, განიხილავდნენ იარაღის განაწილებისა და შემცირების თაობაზე გარიგების საკითხს. დიპლომატები ცალკეულ საკითხებად მსჯელობდნენ ტანკების რაოდენობის, სამხედრო საჰაერო ტრანსპორტის, მძიმე არტილერიის შემადგენლობის რეორგანიზაციის პუნქტებზე, ე.ი. ყოველივე იმაზე, რაც გავლენას ახდენს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობაზე.

მოლაპარაკების მონაწილენი დიდ ყურადღებას უთმობდნენ, აგრეთვე, ბოსნიის მომავალ არჩევნებსაც, რომელიც სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

**ნინო ივანიაძე**

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

8 მარტი, 1996წ.

## ჯემალ აჯიაშვილი



## მრავალსახეობა მთარგმნელისა

VI VII

თვალსაზრისი

## ზურაბ პიკნაძე

### კატასტროფული დღეები

II

ახალი თარგმანები

## ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი 1896-1940

### ავეჯის ხელოსანთან

V

პოეზია

## ზურაბ რთველიაშვილი



### ELASTICUS - 2000

აჩქარებული სიზარმაცით ივიწყებენ ოფლიან ღამეებს
ხახუნით შენუხებული ქალიშვილები მოკლე და ბინძური ქუჩებიდან
გრძელი კაპრონიზირებული ფეხები ნერვიულად უმზადებენ
სახრჩობელას ანარქისტებს და პოლუციით შეშინებულ პროვინციალებს
ისინი ისე დაიღალნენ, რომ სიბნელეში თვალებით სუნთქავენ...
მათ დაავიწყდათ ისტორიის გუშინდელი გაკვეთილები:
მარტინ ლუთერ კინგი, ჰენდრიქსი, მორისონი, ჯანეტ ჯოპლინი —
ტვისტი და „LSD"
მოგზაურობა თავისუფალი სიყვარულის მშფოთვარე ქალაქებში.
ისინი ველარ ამჩნევენ ოთახიდან-ოთახში პეპლებივით მოფარფატე
ჭრელკაბა ბებიებს, რომლებიც დღის ბოლოს აკაციის ბუზებივით
ნირგამოცლილები ეფინებიან ღამის ქათქათა ბალიშებზე.
ნეტავი იმათ ვინც ცეკვავდა ჩარლსტონს და ბუგი ბუგის
ნეტავი იმათ ვინც თავს იქცევდა შეიკით და როკნ როლით...
ჰიპები მოკვდნენ, ისინი არასოდეს დაბრუნდებიან,
ჰიპები გაქრნენ და დინოზავრებივით გადაშენდნენ,
კაკმანდუს ქვიშამ მიიბარა უკანასკნელი პაციფისტის
შეჭრილი თმები...
ფრთხილად იჩქარეთ, დღეს აჩქარება ყველაფერზე
ზედმიწევნით ნელია, როცა ორმოცდაათი წლის
მომხიბვლელი ბებიები თხილამურებით ეშვებიან
გუდაურის მწვერვალებიდან პირდაპირ „მარკო პოლოს"
ფეშენებელურ სანოლებში
და აჩქარებული სიზარმაცით ივიწყებენ ოფლიან ღამეებს,
შენუხებული ქალიშვილები მოკლე და ბინძური ქუჩებიდან ეკიდებიან
საკუთარი ფეხებისაგან დამზადებულ სახრჩობელებზე...



III

პროზა

## ნუგზარ შატაიძე

### ბებერი მგელი



IV

სამძიმარი

# გამოთხოვება სიტყვის ოსტატთან



ერთმა კლასიკოსმა მწერალმა თქვა, ადამიანი დროის იმ ჭრილში უნდა გაიხსენო, რომელშიც ის თავის საუკეთესო პიროვნულ თვისებებს ავლენდაო. ვფიქრობ, ეს აზრი ნაკლებად ეხება ჩვენგან ასე უეცრად წასულ კაცსა და მწერალს გიორგი ბაქანიძეს, ვინაიდან ჟამთა და ვითარებათა ცვალებადობა არ განსაზღვრავდა მის პიროვნულ სახეს. გიორგი ბაქანიძე ყველგან და ყოველთვის ერთნაირი იყო — წუმი და უანგარო, მზრუნველი და ალალად მიმტევებელი, სხვისი წუხილის გამზიარებელი და თავისის არმთქმელი.

ძნელი წარმოსადგენია სხვაგვარი გიორგი ბაქანიძე. ეს მისი მუდმივი და ბუნებრივი მდგომარეობა გახლდათ.

უკანასკნელ ხანს მზაკვრულად შეეპარა უკურნებელი სენი, სხეულის სიღრმიდან ამოზრდილმა ავისმომასწავებელმა ტკივილმა გამოაჩინა. დადიოდა და დაჰქონდა თავისი სატკივარი, ჩვეულებისამებრ სახეზე მოულოდნელად შუქგადაფენილი ხვდებოდა ქუჩაში ნაცნობ-მეგობრებს, გულწრფელად მოიკითხავდა და კეთილ სიტყვას შეაწევდა. შემხვედრნი კი ოდნავ შეცბუნებულები აყოლებდნენ თვალს, ლაწვებჩაცვენილს და ნატანჯს, ნაღველშეპარულს და დაღლილს.

ასეთი მყარი შინაგანი წონასწორობის მიღწევა იშვიათთა ხვედრია. პირად ურთიერთობაში გამოვლენილ ამ უწყინარ კეთილშობილებას და სტოიკურ სიდარბაისლეს თავისი ღრმა ზნეობრივი საფუძველი ჰქონდა. გიორგი ბაქანიძემ მართლაც მოწამებრივი ცხოვრებისეული გზა განვლო. იგი ბედისწერამ, ცხოვრების პირქუშ და დახლართულ ლაბირინთებში მოახვედრა, იქ, სადაც კარგად ჩანს ადამიანის ცოდვა და მადლი, ნაკლი და ღირსება, სიმდაბლე და სიმაღლე. ეს ხმელი, ჭაბუკური იერის, უაღრესად მგრძნობიარე კაცი ამავე დროს მრავალნაცადიც იყო. მისი კეთილგანწყობილების მაუწყებელი ღიმილის მიღმა ცხოვრებისეული გამოცდილება იმალებოდა. გიორგი ბაქანიძის ღიმილი და საუბარი ბავშვურ სიწრფელეს ასხივებდა და ძნელად თუ წარმოიდგენდით, რომ ამგვარი ხვედრის მქონე კაცს ცხოვრების ღრმა ხვეულებში ასეთი ნათელი სულის გამოტარება შეეძლო.

ამ კაცის პიროვნება ღრმა ზნეობრივ კათარზისზე მეტყველებდა. კათარზისს ხასიათთან ერთად მწერლურმა ნიჭიერებამაც შეუწყო ხელი. უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში" გამოქვეყნებულ მოთხრობებში უკვე იმთავითვე წარმოჩნდა ის მკაფიო მხატვრული თვალსაწიერი, რომლის მეშვეობითაც ძალიან მალე ორიგინალური ენობრივი სტილი და უაღრესად თავისებური პროზაული მეტყველება უნდა დამკვიდრებულიყო. სამოცდაათიან წლებში კი ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა ახალგაზრდა ავტორის მოთხრობა „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე" და ჯერ კიდევ გამოუცდელი მწერლობა განხორციელებული რეალობად იქცა — ქართულ ლიტერატურას საუკეთესო გამოკვეთილი ხელწერის პროზაიკოსი შეემატა. ამ მოთხრობაში სწორედ პიროვნულ-ინდივიდუალური გამოცდილებაა ჩამოყალიბებული. აქ ზნეობრივი მხოფლმხედველობა ბედნიერად შეერწყა მძაფრი და მაღალი მგრძნობელობით აღბეჭდილ მხატვრულ ნიჭიერებას, დახვეწილ პროფესიონალიზმს. უნდა ითქვას, რომ მწერალმა რთული ამოცანა დაისახა. მთავარი პერსონაჟის, მიუსაფარი ყმაწვილის ღრმა და ფაქიზი ფსიქიკის წვდომა, მისი გარემომცველი პირქუში სამყაროს გამძაფრებული ლოგიკულ-დრამატული აღქმა, დამაჯერებელი ფსიქოლოგიური ფონის შექმნა თხრობის მაღალ რეგისტრს და ჭარბ დინამიკას მოითხოვდა. ეს მაღალი ძაბვის დინამიური თხრობა კი, თავის მხრივ, ენობრივი სისავსის და ინტონაციური ცვალებადობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ამ სირთულეებს გიორგი ბაქანიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი და ქართული მოთხრობის ბიბლიოთეკას კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოები შესძინა.

1974 წელს გამოიცა გიორგი ბაქანიძის მოთხრობების კრებული, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მწერლის მხატვრულ-თემატური ძიებების სფერო, რთული და მრავალმნიშვნელოვანი ფრაზის მისეული შეგრძნების უნარი, სიტყვისადმი მკაცრი პროფესიული დამოკიდებულება.

მუდმივი მზადყოფნა, პროფესიონალიზმი მისთვის უმნიშვნელოვანესი ცნება იყო. ალბათ, ამიტომაც მოკიდა ხელი მთარგმნელობით საქმეს და აქაც უთვალსაჩინოეს წარმატებებს მიაღწია, ქართული სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატად იქცა. მის მოქნილ და უზადოდ წყობილ ფრაზას ათას ფრაზაში გამოარჩევდი, ვინაიდან სიტყვა მისთვის მხოლოდ სემანტიკური ნიშანი კი არა, მაგიური იარაღიც იყო.

გიორგი ბაქანიძე სიტყვის მეშვეობით ნაირგვარ სტილურ შეფერილობებს, ასოციაციურ ობერტონებს, ნახევარტონებს, ინტონაციურ პაუზებს, ნიუანსირებულ განწყობილებისმიერ შტრიხებს ქმნიდა. ქართული სიტყვა მის ხელში აღსანიშნი საგნის ზუსტ სიღრმისეულ მნიშვნელობას იძენდა. მისი თარგმანი ზოგჯერ ალემატებოდა კიდეც სათარგმნი მწერლის ენობრივ-სტილურ დონეს. ვთქვათ, ვასილ ბელოვის მოთხრობების ქართულ ვარიანტში გიორგი ბაქანიძემ სრულიად თავისებური ენობრივი სიმბიოზი შექმნა. განსხვავებული ლექსიკური ერთეულების შერწყმით პერსონაჟების უაღრესად კოლორიტული მეტყველებითი პორტრეტები გამოძერწა. ეს მართლაც უჩვეულო მხატვრული ეფექტი იყო. თუმცა, უჩვეულოა მისი ყოველი თარგმანი. ის მომეტებული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა კლასიკური პროზის შედევრებს — ტოლსტოის, ლესკოვის, ბუნინის, პლატონოვის და სხვათა ნაწარმოებებს. ზოგჯერ განზრახ ირჩევდა რთულად სათარგმნ მასალას, რათა ბეწვის ხიდზე გაევლო, რათა სრული თვითრეალიზაცია მოეხდინა, რათა სიტყვაში ჩადებული ახალი მუხტისთვის მიეგნო. ასე შეიქმნა ლესკოვის საყოველთაოდ ცნობილი რომანის „ტაძრეულნი" შესანიშნავი ქართული თარგმანი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ გავივლით რუსთაველის გამზირს, შევუყვებით ვერის ვიწრო აღმართებს, ან შევივლით „ცისკრის" რედაქციაში და აღარსად შეგვხვდება გიორგი ბაქანიძე, „ბრატი", როგორც მას მისი უახლოესი მეგობრები ვეძახდით; აღარ გაგვიღიმებს, აღარ გვანუგეშებს, აღარ მიბრუნდება და აღარ გაუყვება თავის ტკივილიან გზას. მხოლოდ ერთ რამეს ვინატრებდით — ჩვენს ამაოებით აღსავსე ცხოვრებაში განგებამ ცოტა უფრო ხშირად მოავლინოს ასეთი კეთილშობილი, სულნათელი და ნიჭით მადლმოსილი ადამიანები.

# «კატასტროფული დღეები»



ხშირად სახარებაში წინააღმდეგობათა მაძიებელი გონება აყენებს ასეთ კითხვას: ერთგან ქრისტე მშვიდობის მომფენია, სხვაგან ამბობს, რომ ის მოვიდა არა „მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა"... როგორ გავიგოთ ეს?

არის მშვიდობა, რომელიც თხელ საფარველად აფენია წინააღმდეგობებს, შეურიგებლობებს, შეუთავსებლობებს, მტრობას...

ასეთი მშვიდობა მოჩვენებითია, ის ნამდვილის სუროგატია.

არა ამგვარი მშვიდობის მომფენია ქრისტე — ასეთი „მშვიდობა" მუდამ არსებულა, ადამიანთა შორის, ერთა შორის, სახელმწიფოთა შორის, და დღესაც არსებობს. ასეთი მშვიდობა კბილით უჭირავთ ადამიანებს პირად ურთიერთობაში, ერთმანეთზე ისტორიულად გადაკიდებულ ხალხებს წარმავალი დაზავების ხანაში, პოლიტიკოსებს მოლაპარაკებათა შემდეგ...

„მშვიდობაა, მშვიდობა!" გაიძახიან, ამბობს იერემია წინასწარმეტყველი, „მაგრამ არ არის მშვიდობა". წინასწარმეტყველმა იცის, რომ ის, რაც მშვიდობად მიაჩნიათ, მხოლოდ თხელი საფარველია, რომელიც ქაოსზეა გადაფენილი. მშვიდობა! თუ დასადგურებულა ოდესმე ნამდვილი, ონტოლოგიური ძალის მშვიდობა ქვეყანაზე? ან იქნებ ის უნდა დამკვიდრდეს, როგორც საბოლოო მიზანი, და ამ (ამგვარ) ნუთისოფელსაც გაუვიდეს ყაელი?

რა არის მშვიდობა?

ძველი აღთქმის სიტყვას „შალომ", რომელიც პირველად ბერძნულად „მშვიდობად" (ირენე) გადმოიტანეს და ასე დამკვიდრდა ქრისტიან ხალხთა ენებში, ნიშნავს „სისრულეს", „სიმართლეს", მის სემანტიკას თითქმის სიცოცხლის სანყისამდე ჩავყავართ. „შალომ" ჯანმრთელობაც არის. ორი შემხვედრი, ნაცნობნი თუ უცნობნი, როცა ერთმანეთს ეტყოდა მშვიდობას, ამით უსურვებდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ უომობას, უშფოთველობას, არც მაინცდამაინც ზავს, ხელშეკრულებით დადებულს, არამედ სიმრთელეს, ჰარმონიას მის სულში და სახლში, და მის, თუ მწყემსია, ფარაში. მშვიდობა შინაგანი თანხმობაა, რომლის ფესვი ღმერთშია, ღმერთში ყველა ყველასთან შერიგებულია. მშვიდობა — შალომ „სიმრთელე" მაშინ არის, როცა ფარა მრთელია, ანუ ის მეასე, დაკარგული, მოძიებულია.

მშვიდობა დასაბამიერი, რომელიც უნდა მსჭვალავდეს შიგნიდან ყველას და ყველაფერს... მშვიდობა სამყაროს წესრიგის დედაბოძია.

მშვიდობა ესქატოლოგიური კატეგორიაც არის. ეს სიტყვა შეიცავს ნიშანს, რომელიც ლაპარაკობს საბოლოო დასასრულზე, დანაკლისის, ყოველნაირი ხარვეზის შევსებაზე, გამთლიანებაზე, ყოველი ჭრილობის მოშუშებაზე, ადამს აქეთ დარღვეული სიცოცხლის აღდგენაზე.

რა არის მახვილი?

ეს მახვილი, რომელსაც ქრისტეს „მოაფენს", არა მხოლოდ განკითხვის დროისათვის არის განკუთვნილი და შემონახული, როცა იფქლი და ღვარძლი საბოლოოდ გაირჩევა ერთმანეთისაგან, არამედ იმ დღეებისთვისაც, რომელნიც განკითხვის დღის სახეს წარმოგვიდგენენ ყველა ხალხში და მსოფლიოში, ეპოქიდან ეპოქამდე, როგორც აჩრდილნი იმ უკანასკნელი დღისა. და თუ აჩრდილი და ხატი ასეთი თავზარდამცემია, რა უნდა იყოს სინამდვილე, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა დადგეს, და ეს საბოლოო იქნება.

ეს არის დღეები, რომელთაც „კატასტროფული დღეები" უწოდა თ.ევგენი ტრუბეცკოიმ (1863-1920) და შეეცადა გამოეცნო მათი აზრი. ნუთუ შეიძლება, რომ ამ ნგრევას, გაცამტვერებას, რაიმე აზრი და გამართლება ჰქონდეს? ჰქონია აზრი და "ეს ითქვა დიდი ხნის წინათ" ერთხელ და სამუდამოდ. ეს ნიშნებია და ისინი ისევ და ისევ ადამიანის მოსაქცევად არიან მოვლენილი. „ხელს მოვუღერებ მათ ყველას, — გასძახის საუკუნეებს უფალი ეზეკიელის პირით, — სადაც კი ცხოვრობენ... და გავატიალებ ქვეყანას, და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ" (ეზეკ.6,14).

კატასტროფული დღეები განუცდია ერებს, ხალხებს, სახელმწიფოებს, მცირე ტომებსაც კი, როცა დამდგარა მათი ყოფნა-არყოფნის ჟამი. როცა სადღაც, გამოუცნობში წყდება საკითხი მათი არსებობისა: გამართლებულია თუ არა მათი ყოფა? — დასმულია კითხვა და გამოტანილია მსჯავრი უზენაესის საბჭოში. ეს კითხვა უკვე არის ნიშანი იმისა, რომ ეს ხალხი თავის ისტორიას ინყებს, ის უნდა ჩაერთოს საყოველთაო ისტორიაში. მაგრამ ეს კატასტროფული ზღურბლია: ამ დროს ყველას ეჩვენება და ეს მოჩვენება არ არის უსაფუძვლო, რომ მთავრდება ნუთისოფელი და დგება ჟამი მეორედ მოსვლისა.

ეს ყველაფერი ნიშნებია, ნიშნები არა სახეირო, არამედ ისინი ჩვენ გვეხება, თუნდაც ჩვენში არ ჩნდებოდნენ, არამედ სადღაც შორს და ოდესღაც, მაგრამ რაკი ჩვენ ისტორიაში ვართ, უნდა ვიგრძნოთ, რომ ისინი ჩვენთვისაც ჭკუისსასწავლი სასწაულებია. და მით უმეტეს, თუ ეს ნიშნები შენს ცაზეც გამოჩნდება, შენი მინისქვეშ, შენს საზღვრებში. ეს თავზარდამცემია, გულისგამტეხია შენს მომავალზე, დამაეჭვებელია შენს წარსულზე, მაგრამ მას მოაქვს შენთვის ახალი ამბავი, ღმერთი ლაპარაკობს იმ საშინელი სასწაულებით მათთვის, ვისაც აღარ ესმის ადამიანური ენა.

ადამიანი, საზოგადოება, ერი, კაცობრიობა ვერ ირიდებს ამ კატასტროფებს. თუ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ წილი არ გვიდევს მათ მომზადება-გამონვევაში? თვით ათეისტსაც ნაშოსცდენია ამ დროს, რომ რაც ხდება, ღვთის რისხვაა. და თუ რისხვა — ისევ და ისევ ჩვენშია მისი მიზეზი. „ადამიანი ყველათვის დამნაშავეა ღვთის წინაშე", — ამბობს ერთი წმიდა მამა. რისხვა, რომელიც კატასტროფებში, ხალხთა სისხლიან შეტაკებებშია განივთებული, ისევ და ისევ ადამიანის გაუკუღმართებული ნების გამოხატულებაა. მას ვცნობთ ჩვენ, თუკი ჯერ კიდევ ადამიანები ვართ.

ასეთ დღეებში რელიგიური ფანატიკოსი და ისიც, ვინც ესქატოლოგიურ თემებს უტრიალებს თავის გასართობად, ქვეყნის დასასრულზე ლაპარაკობს. ერთნი ნიშნის მოგებით, მეორენი — პირველაღმომჩენის სიამაყით და ისე, თითქოს ესქატოლოგიური ჟამი (მეორედმოსვლა, საშინელი სამსჯავრო, უკანასკნელი დღე) მხოლოდ ერთ-ერთი საინტერესო ჰიპოთეზა იყოს. გულის სიღრმეში კი ისინი უსასრულო პროგრესის მორწმუნენი არიან, ამ რწმენამ კი საშუალებანი — პროგრესის საშენი მასალა, რომელთაც კაცობრიობა თითქოს უფრო „მაღალ და მაღალ" საფეხურზე აჰყავდეს, ცხოვრების სამუდამო მიზნად აქცია. სიცოცხლის მიზანი დაიკარგა, საშუალება აბსოლუტურამდე იქნა ატანილი.

კატასტროფები, ჯანყი, ქაოსი — თუ ეს მდგომარეობა ქვეყნისა მისი დასასრულის ნიშანია, ამ მდგომარეობაში იჩენს თავს მეტი სიმწვავით ამ საშუალებათა წარმავლობა და უფრო მკაფიოდ დგება ჩვენს წინაშე სიცოცხლის საზრისის პრობლემა. ამ დროს უფრო გამოიკვეთება, თითქმის ხილული ხდება გამიჯვნა საშუალებასა და მიზანს შორის, ნივთიერსა და სულიერს შორის, რაოდენობასა და თვისებას შორის, ხილულსა და უხილავს შორის, და ვინ გამოჩნდება ჩვენში ისეთი, პირველთ მეორეთათვის რომ თმობდეს, ამის მაგალითი კი, რა ხანია, მიეცათ ადამიანებს. ეს მდგომარეობა განსაცდელია, რომელიც განიცდის ყველას — ვინ საით გადაიხრება, ვინ რას გაჰყვება — ნივთს სიცოცხლისა თუ აზრს სიცოცხლისა? ვინ რომელ თეზისს დაამტკიცებს თავისი პირადობით — თეზისს ყოფიერების პირველადობისა (ანუ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას") თუ ცნობიერების პირველადობისა (ანუ „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას")? ამ რომელიმე არჩევანის მიხედვით განვსაჯოთ ჩვენი თავი და განვსაზღვროთ ჩვენი ვინაობა, ვინა ვართ დღეს, თუ რამდენად დავაღწიეთ თავი იმ განტევების ვაცად ქცეულ სამოცდაათწლეულს.



ხშირად ვამბობთ, რომ ის სამოცდაათწლეული, თუ მას რაიმე გამართლება ჰქონდა, იყო განსაცდელის ჟამი: ამ პერიოდში უნდა განცდილიყო ადამიანი, როგორც იობი იქნა განცდილი ეშმაკისაგან. თუ ასეა, ამ სახმილიდან უნდა გამოსულიყო საუკეთესო მოდგმა, ისეთივე განწმედილ-გამოწრთობილი, როგორც ქრისტიანული ეკლესია დევნილების ხანიდან. მოხდა ასე?

იმ სამოცდაათწლეულის ფენომენის ბოლომდე გაუაზრებლობის მიზეზია, რომ დღევანდელ „განთავისუფლებულ" ადამიანს თავის შეგნებაში სრულიად მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა თავის წარსულზე. ურწმუნოები ვართ? ეს სამოცდაათწლიანი დევნის ბრალია. კორუმპირებულები ვართ? ეს იმ გახრწნილი ნიადაგის ბრალია, მომხვეჭელები და ხარბები ვართ? ეს იმ ცუდი კანონების ბრალია. ჩვენ ყველანი იმ ხანის პროდუქტები ვართ — ჟამმა შეგვქმნა, ასეთები, ჩვენ არათუ ღვთის შვილები აღარა ვართ, ადამის ძენიც კი აღარა ვართ.

ხშირად ვამბობთ — რაც ახლა ხდება ჩვენს თავზე, ღვთის განსაცდელია, ღვთის რისხვაა. ეს შეცდომაა. ღვთის რისხვა ჯერ კიდევ წინ არის ყველაფრისთვის, რაც ახლა ხდება, და ხდება ისევ და ისევ ჩვენი ხელით. ნიშნები უკვე იყო, ახლა რისხვა იქნება. ჩვენი ძველი ჟამთაალმწერელი სრულიად კანონზომიერად თვლიდა მონღოლების გამოჩენას და ყველაფერს, რაც მაშინ თავს დაატყდა ქვეყანას. მონღოლებს ის არ განიკითხავდა, რადგან მათ მოვლინებაში ღვთის განგებას და თავად მათში ღვთის იარაღს ხედავდა. ის თავის ხალხს ამხილებდა და, საზოგადოდ, კაცობრიობაში ადამს აქეთ დაგროვილ ცოდვაზე ლაპარაკობდა, რამაც შესაძლებლად გახადა ყველაფერი, რაც მონღოლებმა მოიტანეს, და თავად ფაქტიც მონღოლობის არსებობისა; თუმცა მათ თავიანთი ისტორია და თავიანთი მუხტი ჰქონდათ, რომელიც უნდა დაეცალათ და დაცალეს კიდევ. რაიმე წინააღმდეგობა უშედეგო იქნებოდა. იყო იმ დღეებში ქვეყანაში იერემია, ვინც ეტყოდა ხელისუფალთ, ხალხს, წინააღმდეგობის უაზრობაზე? არ ჩანდა, მაგრამ ზოგიერთმა ერისმთავარმა ყური უგდო უჩინარ იერემიას და დათმო, შესაძლოა, საკუთარი სიამაყის განწირვითაც. ნამდვილად ასე იქნებოდა. ასე მოიქცა კაენის ციხის პატრონი, პირველად ის და მერე სხვანიც მიყვნენ მას. მოთრგუნვა, შესაძლებელია, ცოდვების გამოსასყიდი გზა იყო იმ დღეებში (თუმცა როდის არ ყოფილა ასე?). ყველა, როგორც ერთი, პასუხისმგებელი იყო ღვთის წინაშე — მეფიდან დაწყებული უბრალო კაცამდე.

როცა რაღაც ხდება შენს გარშემო, რაღაც იცვლება, დარწმუნებული იყავი, რომ შენც წელილი გაქვს ამ ყველაფერში, რადგან შენ ისტორიის სუბიექტი ხარ. მაგრამ ადამიანს სურს ასე ილაპარაკოს: მაშინ ისეთი დრო იყო, მაშინ ისე იყო საჭირო. „ამ „ქმნით" ის მთლიანად იხსნის პასუხისმგებლობას. სად არის ის, ვინც ვერ გაბედავს ამის თქმას, თუ მას სურს ადამიანად დარჩეს? თითოეული ადამიანის წინაშე წამოიჭრება საკითხი — დროება ქმნის ადამიანს, თუ ადამიანი დროებას? ვინც იტყვის, „რომ დროება ქმნის ადამიანს", სწორი იქნება, რადგან ის თავის თავზე ამბობს და იცის, რას ამბობს. ისიც სწორი იქნება, ვინც იტყვის, რომ „ადამიანი ქმნის დროებას" და მანაც იცის, რას ამბობს. იტყვის, რომ „ადამიანი ქმნის დროებას" და მანაც იცის რას ამბობს. მაგრამ ისინი სხვადასხვა ჯურის ადამიანებს გულისხმობენ. ერთნი ამბობენ (საბჭოთა ნყობილების დროსაც და ახლაც), რომ ახლა ისეთი დროა, რომ პატიოსნება მომაკვდინებელი თუ არა, სამარცხვინოა. ერთნი განირავენ პატიოსნებას და იციან რას სწირავენ კეთილდღეობისათვის (სინდისის ქენჯნის წამალიც აქვეა: „დროა ასეთი"); სხვანი ვერ თმობენ პატიოსნებას და კვლებიან, მაგრამ ადამიანებად კვდებიან. თუმცა მათი სიკვდილი არავისთვის არ არის მაგალითი, რადგან ეს სიგლახეა საზოგადოების თვალში, რადგან ასეთია საზოგადოების თვალი. ადამიანი თავს ინვავს თავისი ნებით, და ესეც ამაოდ ჩაივლის. როცა ასეთი მაგალითიც კი ფუჭია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომელიც შეძრავს ადამიანს, საზოგადოებას? ამიტომ ფიქრობს კაცი, რომ მოსალოდნელია რისხვა.

ჩვენი თავის ამარა დარჩენილნი, უწინასწარმეტყველოდ, ისტორიის ამ შუაგულში, ვერ ვხვდებით, ეს რისხვაა, განსაცდელი თუ ჩვენივე სივაგლახე, როცა დგება დღეები, რომელთაც თ.ევგ.ტრუბეცკოიმ „კატასტროფული დღეები" უწოდა. სანატრელია, იყოს რისხვა, რადგან ის სასიკეთოდ დასრულდება. და თუ ეს მხოლოდ ჩვენი სივაგლახეა — და არ მოხდა ღვთის ჩარევა, ამას დასასრული არ ექნება და განწირული ვართ. ვაი მას, ვისაც არ რისხავს ღმერთი. უარესი მას, ვინც ვერ გრძნობს რისხვას.

თ. ევგ. ტრუბეცკოი, რომელიც თავის უკანასკნელ წიგნს „ცხოვრების აზრს" („Смысл жизни", 1918) მართლაც კატასტროფის დღეებში წერდა, მიუახლოვდა ისეთ საიდუმლოს, რომლის განცდას ისტორიის სადაგ დღეებში ვერ შეძლებდა.

მას ეკუთვნის ეს სიტყვები:

„სწორედ კატასტროფულ ეპოქებში აძლევს მსოფლიოს ადამიანის გული ყველაზე საუკეთესოს, რაც მასშია, ხოლო გონებას გაეცხადება ის ულრმესი საიდუმლოებანი, რომელთაც ისტორიის სადაგ პერიოდებში ულიმლამო ყოველდღიურობის ბურუსი ფარავს. მსოფლიო ხანძრის ალში, რომელიც ნაცრად აქცევს სიცოცხლის დაძველებულ ფორმებს, იბადება ის უდიდესი გამოცხადებანი უფლისა ამ მინაზე, რომლებიც ახალი მინის მოვლენათა წინამორბედნი არიან. ეს ღვთიური მოვლენები, ადამიანში გაცხადებულნი, უსათუოდ წინასწარ იუწყებიან და ამზადებენ „უკანასკნელ დღეებს", რადგან სწორედ მათშია ხილულად განხორციელებული მთელი შესაქმის აზრი — დასასრული და ზღვარი მთელი მსოფლიო განვითარებისა".

თუ, მართლაც, დასასრულშია მიზანი და არა უსასრულო და, ამდენად, უმიზნო პროგრესში, იგი უფრო დასასრულის მომასწავებელ „კატასტროფულ" დღეებში. უნდა გამოჩნდეს, ვიდრე კეთილდღეობის ხანაში. ასეთი დღეები, როცა ადამიანი „შერისხული", მაგრამ მართალი იობივით ახლოს დგას ღვთის საიდუმლოს წინაშე, ნუთისოფლის წინასწარი სასჯელია, როგორც ჩრდილი განკითხვის დღისა, რომელიც მომავლიდან ისვრის შხეფებს. და, თუ საბოლოო მიზანს უშუალოდ ვერ ვწვდებით ჩვენი დროჟამული დასაზღვრულობის გამო, ამ სასჯელის განცდა ხომ შეგვიძლია, რადგან ადამიანი — ასეთია კაცობრიობის ერთადერთი ისტორიული გამოცდილება — არ შეიძლება არ იმსახურებდეს სასჯელს. ეს კი კვლავ უკანასკნელი დღის და საბოლოო, არა კაცთაგან მოგონილი მიზნის რეალობაში გვარწმუნებს.

ზურაბ კიკნაძე



# ზურაბ რთველიაშვილი



დავიბადე 1967 წ. ქ.ყარაგანდაში. 1973 წლიდან ვცხოვრობ თბილისში. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიბეჭდები პერიოდულ პრესაში.

1992 წელს გ. კახიძესთან და შ. იათაშვილთან ერთად გამოვეცი ლექსების კრებული „ანომალიური პოეზია“.



## პატარა პროსტიტუტკა

ნაზე მოხვდა პირში დაგებული ხაფანგის კბილები და
ანყვეტ-ნანყვეტ გაიპარა
ატარა, მწვანე ბაფთიანი არსება, გოგონა მეზობელი ქუჩის სიღრმიდან...
ას კიდევ დარჩა სურვილი გაისეირნოს მტვრიანი ტროტუარის ზედაპირზე,
ისი პანანინა ქუსლები განითლდებიან ფეხებში სისხლის
შირი მიმოქცევისაგან...
ს მეხსიერების დიხკეტზე გადინერს დამდნარი პლასტელინის
ეშუპებულ სიფათებს,
ადაინერს და ისეთი სისწრაფით ნაშლის, რომ ველარასოდეს შეაღწიონ
ის აურაში,
ოლო ეხლა, მას პირში სხვისი ენა უდევს და სექსუალური აქტის იმიტაციას
თამაშებს დროგამოშვებით...

## იქ სადაც

მე ავყვები ჩემ ჩრდილს მეტროში
მე ავუყვები ესკალატორს
მე ავყვები ჩემ ჩრდილს.
მე ავუყვები თოვლიან აღმართს
მე ავყვები ფიქრებს ჩემთვის
მე მოგიყვები არაუცნაურს
მოგიყვები ერთხელ.
მე გავაყოლებ სიგარეტის ბოლს კედელს
მე გავაყოლებ მზერას გოგონას
მე გავაყოლებ წყალს უგემურ სიზმარს.
მე არ ავყვები უსაგნო კამათს
მე არ ავყვები უცნაურ სურვილს
მე ავუყვები სადარბაზოს მტვრიან კიბეებს.
სადაც ჭირდებათ ძალადობა საწოლში
სადაც ვითომ არ ესმით არასოდეს
სადაც იქნებ დაიწყონ რამე
სადაც არ დაღამდება, რომ არ გათენდეს
სადაც შენ არა ხარ, სხვები გაჩნდებიან
სადაც მოგკლავენ და მერე გაახსენდებათ
სადაც...



## ინტეგრაციული ცდა

შენ სწრაფად დგეხარ და ერთდროული თანამედროვე ხარ შენი...
შენ ისე სწრაფად უყურებ ჩემს უძრაობას, რომ უფრო
შევნელდი ჩემი სიჩქარის სურვილში.
შენ შეგიძლია ილაპარაკო ჩემზე და თანადროული დარჩე შენში...
შენ შეგიძლია არაფერი იფიქრო და იამაყო საკუთარი მეხსიერებით.
შენ ისეთი სისწრაფით დგეხარ, რომ ნებისმიერი სიჩქარით
გადაადგილებულ საგანს
დაუკარგე მოძრაობის აზრი...
შენ ისე სწრაფად დგეხარ, რომ ყურს უგდებ დაბალ სიჩუმეს ღამით.
შენ სწრაფად დგეხარ და სიჩქარით უყურებ სივრცეს, რომელსაც
მზერის სისწრაფე ბევრად მეტი სურს.
შენ იმდენად სწრაფად დგეხარ, რომ გინდა გაუტოლდე აზრის სიჩქარეს
საკუთარ თანადროულობაში...
შენ სწრაფად დგეხარ და ერთდროული თანამედროვე ხარ შენი...

## მებალზამე

ყოველთვის მეშინოდა დაძინება
ცუდი სიზმრებისათვის,
მაშინ, როდესაც იშვიათად
ხედავენ ხორკლიან უდაბნოებს,
სალათის ოაზისებს, ბანანისა და
ანანასის ტყეებს.
მაშინ, როდესაც ჩვენთან მოდიან
ძვირფასი მიცვალებულები
და გვჩუქნიან იმედით ავსებულ ბანბანერკებს.
მაშინ, როდესაც ჩვენ დავფრინავთ
საშინელი უფსკრულის თავზე
და ქვევიდან გვიცინიან სასურველნი
და პანანინა მუშტებს გვიქნევენ
ქონდრის ტაკიმასხარები.
ჩვენ ვმშვიდდებით და გვიხარია და საოცრად მოგვწონს
ეს ოაზისები, თუმც
გონების გალიაში კოკაინით გაბრუებული
მეხსიერების თუთიყუში
ნებისმიერ სპიკერს გაახვევს
საკუთარ ნიფხავში და მერე ნახე შენ
ახალგამოღვიძებულზე ცივ წყალს რომ
გადაგასხავს ცარიელი საკუჭნაოს
უდაბური ხმიაური და მერე ნახე შენ
რა ფაეტონიც ყოფილხარ და რა იკაროსიც
ყოფილხარ და რა გაგარინიც ყოფილხარ
და ნახვალ, ნახვალ აბაზანის ჩაძირულ
ბონგში და მობრუნდები 180 გრადუსით
რომ გაიგრძელო უჩვეულო სიამოვნება.
მე ვიცნობ ერთ მებალზამეს, რომლის
დანახვა კუჭს მიშლის და მიფუჭებს
გუნებას.
მე მეშინია დავინახო მისი უფერული
თვალები, სადაც მე სხვანაირად ვირეკლები
სადაც საწამლედ ცოცხალი მიკრობიც კი
არ არსებობს.
მე ხშირად ვხედავ, როგორ მორბის





განყვეტილი სიზმრებიდან ის ჩვენთან და
ნერწყვის ყლაპვით გვევედრება, რომ
ზოგჯერ მოვკვდეთ და მე არ ვიცნობ მესაფლავეს
თუმცა რად მინდა,
და მე არ ვიცნობ მეკუბოვეს
რა საჭიროა.
მე ვიცნობ ექიმებს, მეწაღეებს და
მუშტის სისმხო კოლოფს, რომლებიც
ყველაზე ნაკლებად ზრუნავენ
ჩვენი სიზმრების მაღალ ხარისხზე.

## ერთი ნაბიჯი უაზრობამდე

თეთრი სტელა ჯაგრისია, მისთვის ლომბარდს გახსნიან გელა და სტივენი.
სქელი სამსონი არ ყოფილა სანდიეგოში, არც სტელას მეზობელი ყოფილა და
როცა სურდა უშაქრო ყავას სვამდა, მოუნდებოდა და ჩიბუხს გააბოლებდა,
რა შუაში იყო აქ სტელა ფიქრობდა სამსონი და საერთოდ არ ფიქრობდა
ბონდოზე, რომელსაც მითუმეტეს არ იცნობდა.
თეთრი სტელა კი უფრო და უფრო იყო და ვითომ არაფერი,
ბოლოს და ბოლოს ჯაგრისი სჭირდება ყველას, მათ შორის სამსონს,
თუმცა რა იყო სამსონი სტელამაც არ იცოდა...
შიდაპირი სრულებით არ ჰგავდა ზედაპირს, მეტადრე კი ნაპირს,
ასე იტყოდნენ და მორცხვად ჩაიღიმებდნენ მეტროპოლიტენის უშფოთველი
მგზავრები 70-იანი წლების დასაწყისში.
ჩაყავით ხელი მსუნაგ ჩანთებში, შეყოვნდით ნამით უდედმამო აბაზანასთან —
იქ ხშირად იყრიდნენ თავს ამბიციით მოწამლული ასტრონავტები და
სარდაფში ჩაყვინთვის წინ ტოვებდნენ გამოუყენებელ პაეროვან საცობებს,
რომლის დეფიციტს ასე განიცდის განზომილება !SUPER SKY“,
მასაც ჩვენსავით აბინძურებენ ჯიხურის უკანონო შვილები და მომხიბვლელი იმბიცილები,
მასაც სხვებივით დაეძებენ პატიოსანი სისულელეები და გამოთელილი ოცნებები.
როდესაც შენ ხარ თავიდან ბოლომდე შეკითხვა, ისწავლე უაზრო სიარული და ყნოსვა —
მე ვიქნები შენი ლექსიკონი ან გადაუდებელი პაემანი.
მე გავხდები შენი დალაქავებული მინი გალაქტიკა,
როგორც იქნებოდი შენ სხვებისთვის იაფფასიანი ყავახანა ან
ელევატორი ჩალურჯებული თვალით...
ისწავლე, ისწავლე უაზრობა!
შენ რა ხანია გაგროვებენ უმიზნოდ და უმისამართოდ,
რომ უსასრულოდ დაიფანტო უხსოვრობაში...





## მ

რა არის მ?! — ანთებული ლუმელი, ცოტაოდენი მაკიაველი, ნახევარი მიჩურინი
მეტროს გვირაბია და ზოგიერთი აფრიკული სიმღერა...
რა იყო ის მთა? — ანთებული გაზქურის სევდა!
ასეთი ღმუილი არის მ...
სად არის თქვენი აფექტი? მარტორქებმა რახანია მოიკლეს თავი.
ახალგაზრდა მწერლები დრიბლინგზე გადადიან და როცა გგონია, რომ
ყველაფერი მორჩა, ჩნდება შეკითხვა სად და როდის?!
ესენი არიან იბერიის მზით აღგზნებული ეგვიპტელი პარიკმახერები —ყოფილი გომოასპირანტები
და ახალი ტალღის ასტრომანიაკები!..
აქ ველარ ყვავიან და აღარ იზრდებიან უდარდელობამდე ჯანსაღი ბაკენბარდები,
როცა ყველაფერი იპარსება, რაც უშნოდ იზრდება, სადაც სასწრაფოდ იკრიჭება,
თუ დაბლა ექაჩება.
რა არის მ? თუ არა აღგზნებული ჩექმის წვეტები,
რა ჰქვია კაცს, რომლის ცხვირიც უერთდება ყურებს!
როგორ ან სად აფარებენ თავს უკანა და მძიმე ხიდები, როცა
ორქიდეები და სამყურები ბოტანიკური ექსპონატები გახდნენ.
მაშ, ვინ არის მ?! იკითხა ხრიწწიანად პედიკურისტკამ და
მაკრატელი დაატკაცა გაფარჩხულ კახპას...
რიკი-ტიკი-ტავის შერცხვა,
რიკი-ტიკი-ტავი განითლდა,
მან დამალა თავისი ვინაობა,
რიკი-ტიკი-ტავი არ იყო მ.
რიკი-ტიკი-ტავი მანგუსტია...



## ნუგზარ შატაიძე

# ბებერი მგელი



ბებერი მგელი თოვლის ნამზღვლევზე გადავიდა, ფერდობი ძუნძულით აიარა, დიდ, ლონიერ ტყეში ავიდა და ხევისკენ გადმოყანთრულ წიფელთან შეფიქრიანებული გაჩერდა. ერთხანს ეგრე გაუნძრევლად იდგა, მერე მივიდა და წიფლის ძირი ფრთხილად დაყნოსა, თუმცა რაღა დაყნოსვა უნდოდა, როცა თოვლს ისედაც აჩნდა შარდის ყვითელი ნაწუწი. ქეჩოზე ჯაგარი აეშალა, ლაშები დაღრინა და თეთრი ღოჯები გამოაჩინა. ბოლოს მარცხენა ფეხი აწია, წიფლის ძირი ოდნავ მოასველა და გზა განაგრძო. მიდიოდა, მიძუნძულებდა, წამდაუწუმ ყნოსავდა ხის ძირებს და ფეხაწეული ზედ შარდს აქცევდა.

თეთრად ჩამობარდნილ ნაძვთან რომ ავიდა, ისევ გაჩერდა — მგლებს აქ ნაშუადღევს ჩაევლოთ და ოდნავღა იგრძნობოდა იმათი სუნი. ჰაერში მარტო ეს და კიდევ წიწვის სამო სურნელი იდგა. უმად დამშვიდდა, გაყინული თოვლი გამოთხარა, ნაძვის ქვეშ შეძვრა და რბილად დაფენილ წიწვებში ჩაწვა. ერთხანს თავალერილი იწვა, ტყეში ჩამომდგარ სიჩუმეს ეჭვიანად აყურადებდა, მერე წინა თათებზე ჩამოდო დრუნჩი და თვალები დახუჭა.

ნაძვის ქვეშ ჩამდგარმა სითბომ ძილი მოჰგვარა, სხეულში ჩაბუდებულმა ყრუ ტკივილმაც გაუარა და ჩათვლიმა, მაგრამ იმავე წამს ძუ მგლის სურნელი იგრძნო და ელდანაცემმა თავი ასწია — არა, კვლავ მარტო იყო. ოდნავგასაგონად დაიწკავწკავა, შარშანდელ წიწვებში ჩარგო დრუნჩი. ერთხანს ეგრე იწვა და სიზმარში ნანახ სუნს იხსენებდა. ძილი გაუკრთა. გრძნობდა, როგორ ალონებდა გული, რანაირად ავსებდა ბოლო ხანებში შემოჩვეული და უკვე კარგად ნაცნობი სევდა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ნაძვის ძირში ჯერ კიდევ იდგა ძუ მგლის სამო სუნი, მაგრამ მერე თანდათანობით მინავლდა, გაქრა და ახლა წიწვებში თავჩარგული ამაოდღა ცდილობდა მის პოვნას.

თვალები დახუჭა, თითქოს ისევ იმ სიზმარში უნდოდა შებრუნება, მაგრამ უკვე საბოლოოდ გამოფხიზლდა. იწვა და აგონდებოდა საიდანღაც მოხეტებული დიდი ხვადი, რომელსაც ახლა ხის ძირებში დაქცეული შარდის მძაფრ სუნადღა აღიქვამდა.

უეცრად, თოვლის შრიალი შემოესმა, ყურები ცქვიტა, გარეთ გაიხედა და დაინახა, რომ თოვლში დიდი, თეთრი კურდღელი გარბოდა. ელვასავით წამოიჭრა და მსხვერპლს ორი ნახტომით დაეწია, მაგრამ ის იყო, პირი უნდა ეტაცა, რომ კურდღელი თოვლიან ფერდობზე ბურთივით დაგორდა და გაუჩინარდა. პირდაღრენილი და სახტადდარჩენილი ჩაიცქირებოდა ქვემოთ. ახლაღა იგრძნო შიმშილი, მუცელი დაეწვა, მაგრამ რაღას იზამდა, უკან გამობრუნდა და ისევ ნაძვის ქვეშ შეძვრა.

ხერხემლის ტკივილი განუახლდა, ცარიელი სტომაქიც უბუყბუყებდა და ამ უსიამოვნებებს რომ გასცლოდა, თვალები დახუჭა, დაძინება სცადა, მაგრამ მაშინვე ისევ ის ამბავი დაუდგა თვალწინ: — მგლები მდუმარედ მისჩერებიან მოჩხუბრებს, ზოგი დგას, ზოგიც უკანა ფეხებზე ჩამჯდარა. მძიმე, შემზარავი სიჩუმე ჩამოწოლილა ტყეში. ხვადები უხმოდ იბრძვიან, მარტო იმათი კბილების კაპუნი, ქშენა და გაყინული თოვლის ჭრაჭუნი ისმის. ძუ მგელი მოშორებით წევს თოვლში, მოჩხუბრებს ზედაც არ უყურებს, თითქოს არც კი აინტერესებდეს ორთაბრძოლის შედეგი, თითქოს მისთვის სულ ერთი იყოს, რომელი გაიმარჯვებს, რომელს აულოკავს ამ ღამით ჭრილობებს...

ყმუილი დასცდა, მაგრამ მაშინვე ხმა გაიკმინდა და ისევ თავი აიქნია, გეგონებოდა, იმ აკვიატებული ხილვის მოშორება უნდაო.

გარეთ ნელ-ნელა ბინდდებოდა. შუაღამემდე ჯერ დიდი დრო იყო. ხერხემლის ტკივილი და ცარიელი მუცელი არ აძინებდა. მოირკალა, კუდი ცხვირზე დაიფარა და თვალები დახუჭა. მაშინვე წამოუტივტივდა იმ საძულველი მოგონების ნაწყვეტებიც: ახალგაზრდა ხვადის ყვითელი თვალები, თოვლში ჩაწოლილი ძუკნა და წრეზე დამსხდარი, დადარაჯებული თანამოძმენი. მთელი მონდომებით ებრძოდა იმ სურათებს, უკანვე აბრუნებდა, მაგრამ ახლა სხვები მოდიოდნენ, სხვა ნაგლეჯები ავსებდნენ მის ჩამობინდულ გონებას და ახლა იმათ ებრძოდა, იმათ მიერეკებოდა მოუსავლეთისკენ.

ამგვარი ტანჯვითა და ვაებით ჩაეძინა, ძილში შფოთავდა, ზოგჯერ წამოიყმუვლებდა კიდეც, [illegible] მთელი სხეული სტკიოდა.

[illegible] გაეღვიძა, ნახა, რომ შუაღამე გადასულიყო. წამოდგა და გარეთ გავიდა. ჰყინავდა. ცა [illegible] ვარსკვლავებით მოჭედილიყო. წინა ფეხები გაჩაჩხა, წელი [illegible] და გაიზმორა. ცხვირით შეიგრძნო ყინვის სუსხი — ნესტოებში სასიამოვნოდ შეუღიტინეს ყინულის ნემსებმა. ახლა არც ტკივილი აწუხებდა და აღარც ნაღველი, ძილს ყველაფერი თან წაეღო, მაგრამ შიმშილისთვის კი ვერაფერი მოეხერხებინა — კვლავინდებურად შესჭყრიალებდა ცარიელი მუცელი.

ქვემოთ დაეშვა. სწრაფად მიდიოდა ყინვისაგან გაფიცრულ თოვლზე. სწრაფად ჩაიარა ფერდობი, ხევში ჩავიდა და თოვლის ნამზღვლევზე ახლა უფრო გაბედულად გადაიარა. გაყინულიყო ის ნამზღვლევიც და გაღმა, კბოდის ძირში მიხვეტილ ნამქერსაც ისე გამაგრებოდა ქერქი, რომ ზედ თავისუფლად გავიდა და ახლა თავქვე ჩაუყვა.

წინ შიმშილი მიუძღვოდა. შიმშილმა გაიყვანა ნამქერის ფხაზე და შიმშილმავე ჩაათავებინა მაღალი მთის თვალჩაუდგამი, ფრიალო ფერდი.

ზვავებით ჩახერგილ ჯაზზე რომ გავიდა, გაჩერდა და მდინარის გაღმა შეფენილ სოფელს ფრთხილად გაჰხედა. სოფელში აქა-იქ ბჟუტავდა შუქი და როცა იქიდან წამოსული მადისაღმძვრელი სურნელი იგრძნო, უფრო მეტად აეწვა კუჭი, კბილები აუკაწკაწდა. ჭალის ტყეში ჩავიდა, მდინარის ყინულმოდებულ ნაპირს მიადგა და შავად ნალუსკუმებულ, ტყვიისფერ წყალს ჩააშტერდა. კარგა ხანს იდგა ეგრე, მერე უცებ სასოწარკვეთილი ხმით დაიწკმუტუნა და შიგ შეცურდა.

წყალმა ქვემოთ წაიღო, გაღიგვულმა თოშმა ფეხები შეუკრა, მაგრამ ბებერი მგელი აღარაფერს ეპუებოდა, თავაწეული, ყურებდაწკურული მიცურავდა და ბოლოს, როცა გაღმა გავიდა, ტანი ღონივრად შეიბერტყა და აღარ გაჩერებულა, თოვლში გაკვალულ ბილიკს ისე გაუყვა.

მიდიოდა და გრძნობდა, როგორ ეყინებოდა სველი ბალანი, რანაირად უმაგრდებოდა, ზემოდან კი უკვე მთელი ძალით მოჩქროლავდა საქონლის სუნი და ნაცნობ გომურს რომ მიუახლოვდა, გულმა გამალებით დაუწყო ცემა, ნამჯის გამოშლილ ზვინთან ჩაწვა და გაილურსა.

ამ გომურთან შარშანაც იყო, მაგრამ შარშან გვერდით ძუ მგელი ჰყავდა; მაშინ ერთად, გვერდიგვერდ იწვნენ ნამჯაში და სველები [illegible] ყინვისაგან ბალანგაყინულები [illegible] ბი დალეული სულს ერთად იბრუნებდნენ.

ახლა მარტო იყო. მარტოს უნდა შეენგრია გომურის სანათური, სიკვდილის შიშსაც მარტო უნდა გამკლავებოდა.

წამოდგა, ბოსელს უკანა მხრიდან მოუარა და კედელში გამოჭრილ სარკმელს გაჰხედა.

საქონელმა მგლის სუნი იკრა, ბოსელში ხარმა დაიბღავლა, ატყდა ქშენა და ზღვეზე დაცურებული ჩლიქის ბრაგუნი. ზემოთ, რომელიღაც სახლთან, ძაღლმა დაიყეფა.

მგელი გაქანდა, ელვასავით გაირბინა მოკლე მანძილი, ჰაერში ახტა და სანათურისკენ ისარივით გაფრინდა, მაგრამ ნახტომი მოუცდა და ალიზის კედელს თავით შეასკდა. ტკივილი არ უგრძვნია. უკან გამობრუნდა და ახლა შორიდან შეათვალიერა სანათური — ძალიან მაღლა ეჩვენა. ისევ ჩაყუნცდა, კვლავ ნახტომისთვის მოემზადა, მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ სულ ტყუილი იყო ყველაფერი, იმ სარკმელს უკვე ვეღარ მისწვდებოდა — თოვლზე გაწვა და სიმწრისაგან დაიწკავწკავა.

ზემოდან ძაღლების არეული ყეფა ესმოდა, მერე ადამიანის ყვირილიც მოგონა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. მაშინღა აითრია წელი, როცა გაყინული ზეცა თოფის ქუხილმა შეაზანზარა, წამოდგა და თოვლში გაკვალულ ბილიკს მდინარისკენ ნელა დაუყვა.

ახლა უფრო ჩაკუნაპეტებული ეჩვენა წყალი, კარგა ხანს იყოყმანა, სანამ შიგ შევიდოდა და როცა შეცურა, იგრძნო, როგორ მუხანათურად დაეძგერა. ნიათგამოცლილი მიცურავდა. შუაგულს რომ მიატანა, მდინარემ იძალა, გათრია და ქვემოთ წაიღო, ფეხებგაფაფხული, კუდგაფშეკილი ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას. ბოლოს, როგორც იქნა, გავიდა გაღმა და ტანი არც კი შეუბერტყია, ჭალის წვრილიანში იწე შეიმალა.

სოფელში საშინელი აურზაური იდგა: ისმოდა ძაღლების ღავღავი, საქონლის ბღავილი და კაცების ყვირილი. რამდენჯერმე, ერთიმეორის მიყოლებით დაიქუხა თოფმაც. მგელი წნორის ქვეშ იწვა და სულს იბრუნებდა, მერე ადგა, ძუნძულით დაიძრა, გზა გადაჭრა და ფერდობს შეუყვა.

წელათრეული მიფოფხავდა თოვლში, ზოგჯერ გაჩერდებოდა, შეისვენებდა და მერე ხელახლა შეებლოტებოდა აღმართს. სველი ბალანი გაეყინა, აებურძგლა. შიმშილი რომ მოეკლა, ერთიორჯერ თოვლი შეჭამა, მაგრამ ამან არ უშველა, ყველაფერი სტკიოდა. ეს ტკივილი და კიდევ მუხლების სისუსტე არ ანებებდა სწრაფად სიარულს. მაინც მიდიოდა, მაინც მიჰქონდა ბებერი, ნატანჯი სხეული და როცა კბოდის ძირში მიხვეტილი ნამქერი დაინახა, შვება იგრძნო — საშვიდობოს გამოსულიყო.

ნამქერზე ფრთხილად გავიდა, ქვემოთ დაეშვა, მერე ნელა აიარა ფერდობი, დიდ ტყეში ავაკა და ხევისკენ გადმოყანთრულ დიდ წიფელთან ელდანაკრავი შედგა — იმ [illegible] ხვადს ისევ ჩამოევლო, ისევ [illegible] ნიშანი. მივიდა და წიფლის ძირი [illegible] დასუნა. უნდოდა უხალისოდ დაიღრინა, მარცხენა ფეხი აწია, მაგრამ შარდი აღარ დაუქცევია, გზა განაგრძო. მიდიოდა და წამდაუწუმ ყნოსავდა ხის ძირებს — ყველგან ის უცხო, [illegible] უკვე შიშის მომგვრელი ნიშანი ხვდებოდა, მაგრამ ერთხელ, ერთხელაც აღარ აუწევია უკანა ფეხი.

თეთრად ჩამობარდნილ ნაძვთან გაჩერდა და იქაურობას თვალი მოავლო. მგლებს აქ წელან ჩაევლოთ — ჰაერში ისევ ტრიალებდა იმ ძუკნას სუნი, მაგრამ მოეჩვენა, რომ ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო.

ნაძვის ქვეშ შეძვრა, შარშანდელ, გაყვითლებულ წიწვებში ჩაწვა, მოიკუნტა და კუდის წვერი ცხვირზე დაიდო. ერთხანს ეგრე იწვა, მერე შეინძრა, უკეთ მოეწყო, თვალები დახუჭა და უეცრად სიხარულით აღმოაჩინა, რომ აღარც შიმშილი აწუხებდა და აღარც ტკივილი — ეს ორი საშინელი, მტანჯველი გრძნობა თვალით უხილავ საზღვარს მიღმა დარჩენილიყო და დღეიდან მათთან აღარაფერი აკავშირებდა. მშვიდად იწვა და როცა ბოლოს, ნეტარებისმომგვრელმა, უცხო ბურუსმა ჩამოიარა, უკანასკნელად ასწია თავი, წამოიწია და გაოცებულმა დაინახა, როგორ მიჰქონდა ვარდისფერ ნისლს მისი ბებერი, უსიცოცხლო სხეული შორეული ქვეყნებისაკენ.



# ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი



# ავეჯის ხელოსანთან

ავტომობილი მეთექვსმეტე ქუჩისა და რომელიღაც ჭუჭყიანი შესახვევის კუთხეში გაჩერდა. ქალი გადმოვიდა, კაცი და პატარა გოგონა კი მანქანაში დარჩნენ.

— ვეტყვი, რომ ოც დოლარზე მეტი არ უნდა დაჯდეს — თქვა ქალმა.

— შენი ნებაა. ესკიზები ხომ წამოიღე?

— როგორ არა, — ქალი უკანა სავარძელზე მიგდებულ ჩანთას დაწვდა — ახლა ნამდვილად ხელთა მაქვს ყველაფერი.

— Dites qu'il ne faut pas avoir les forts placards, - თქვა კაცმა. - Wi le bon bois.[1]

— კარგი.

— ნეტავი საერთოდ არ გცოდნოდათ ეგ ფრანგული, — თქვა პატარა გოგონამ.

— Et il faut avoir un bon height' L'ün des Murphys etait comme ca.[2]

კაცმა ხელით მიწიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე ანიშნა. ქალი იმ სადარბაზოში შევიდა, სადაც კარებზე გამოკრული აბრის მიხედვით ავეჯის სახელოსნო უნდა ყოფილიყო, კიბეებს აუყვა და გაუჩინარდა.

კაცმა და ბავშვმა გულგრილად შეათვალიერეს იქაურობა. ირგვლივ წითელი აგური, იდუმალება და სიჩუმე იყო. მხოლოდ ზანგები საქმიანობდნენ აქა-იქ და შემთხვევითი ავტომობილი თუ ჩაივლიდა. ნოემბრის მშვენიერი დღე იდგა.

— იცი რა, — უცებ თქვა კაცმა, — ძალიან მიყვარხარ.

— მეც, მამიკო, — თავაზიანი ღიმილი შეაგება გოგონამ.

— მისმინე, — ისევ თქვა კაცმა, — ხედავ, გზის იქით სახლი რომ დგას?

— გოგონამ გაიხედა. სახლი მაღაზიის უკან იდგა. ჩამოშვებულ ფარდებს მიღმა თითქმის არაფერი ჩანდა, მაგრამ იგრძნობოდა, შიგნით რაღაც ხდებოდა. ანჯამებს მომწყდარი დარაბა ყოველ წამს ეხეთქებოდა ფანჯარას. კაცი და გოგონა აფრე არასოდეს ყოფილან ამ ადგილას.

— მაგ ფანჯრებს უკან, ოთახში კაციჭამიას ოქროსთმიანი პრინცესა ჰყავს დამწყვდეული. მისი დანახვა არც ისე ადვილია, მაგრამ დამიჯერე, მართლა იქა ყავს. იცი, ვინ არის კაციჭამია?

— ვიცი.

— პრინცესას კი გრძელი ოქროსფერი თმები აქვს და ძალიან ლამაზია.

ორთავემ ყურადღებით დაუწყო სახლს თვალიერება. წამით ფანჯარაში ყვითელმა კაბამ გაიელვა.

— აი, პრინცესაც, — თქვა კაცმა, — კაციჭამიას ნაბრძანები აქვს სულ უყარაულონ, ერთი წუთით არ მოაშორონ თვალი. მეფე და დედოფალიც დაატყვევა და ქვესკნელში, ათიათასი მილის სიღრმეზე გადამალა. თუ პრინცესას განთავისუფლება სურს, პრინცმა აუცილებლად, უნდა იპოვოს სამი... — კაცი შეყოვნდა.

— სამი, სამი რა, მამიკო?

— აი, შეხედე, ისევ გამოჩნდა!

— მითხარი, მამიკო, სამი რა?

— სამი ჯადოსნური ქვა, რომლითაც მეფე-დედოფალს გაათავისუფლებს. — კაცმა დაამთქნარა.

— მერე რაღა იქნება?

— მერე მოვა პრინცი, ყველა ფანჯარაზე სამ-სამჯერ დააკაკუნებს და პრინცესაც გათავისუფლდება.

სახელოსნოს ზემო სართულის ფანჯარაში ქალის სახე გამოჩნდა.

— დაცდა მოგვიწევს! — გადმოსძახა ზემოდან, — ოჰ, რა მშვენიერი დღეა.

— მამიკო, მითხარი, რატომ დაატყვევა ისინი კაციჭამიამ?

— გაბრაზდა, სასიმაო დღესასწაულზე რომ არ დაპატიჟეს. ჰო, მართლა, პრინცმა უკვე მიაგნო ერთ ქვას პრეზიდენტ კულიჯის ზარდახშაში; მეორე ქვას კი ისლანდიაში ეძებს. ყოველ ჯერზე, როცა კი ჯადოსნურ ქვას პოულობს, პრინცესას ოთახი ცისფრად ნათდება ხოლმე. შეუძლებელია!..

— რა მოხდა, მამიკო?

— როგორც კი გვერდზე გაიხედე, ოთახი ცისფრად განათდა! ეტყობა, პრინცმა მეორე ქვასაც მიაგნო.

— ვაი! — წამოიძახა გოგონამ. შეხედე, ისევ გაცისფრდა, ესე იგი, პრინცმა უკვე მესამე ქვაც იპოვა!

გოგონას გაჯიბრებით გამოფხიზლებულმა კაცმა ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა, ხმა დაეძაბა:

— ხედავ, ვინ მობრძანდება? ეს ხომ თავად კაციჭამიაა, ოღონდ ისე გამოწყობილა, ვერც კი იცნობ. მაგათ ეგრე იციან, ხომ გახსოვს მომბი — ჯადოქარი „ზურმუხტის ქვეყნიდან"?

ლი კაცი, მათ რომ მიჰყვება, თავად მეფე უნდა იყოს. სახეს იმიტომ მალავს, რომ კაციჭამიის ჯარისკაცებმა ვერ იცნონ.

— ეს ქალი ვინღაა?

— ჯადოქარია, კაციჭამიას მეგობარი.

დარაბა ჯახუნით დაიკეტა და ნელ-ნელა ისევ გაიღო.

— ნახე, ბოროტი და კეთილი ფერიებიც ჩაებნენ ბრძოლაში. — აუხსნა კაცმა.

— ვერ დაინახავ, რადგან უჩინარნი არიან. ბოროტ ფერიებს სურთ, რომ პრინცესას ამბავი ვერავინ შეიტყოს, კეთილი ფერიები კი პირიქით, დარაბის გაღებას ცდილობენ.

ორთავე თვალმოუშორებლად მიჩერებოდა ქუჩას. პატარა, ერთი ციდა ბიჭი, რომელიც შეუფერებლად დიდ ნაბიჯებს დგამდა, სახლს მიუახლოვდა და დააკაკუნა. კარი არავის გაუღია, მაგრამ ბიჭი თითქოს არც კი ელოდა კარის გაღებას დიდად არ შეწუხებულა. ჯიბიდან ცარცის ნატეხი ამოიღო და იქვე კარზე რაღაცის ხატვას მოჰყვა.

— ჯადოსნურ ნიშნებს ხვამს, — წაიჩურჩულა კაცმა, — უნდა დარწმუნდეს, რომ პრინცესა ვერასდროს შეძლებს ამ ზღურბლზე გადმობიჯებას. ალბათ უკვე იცის, რომ პრინცმა მეფე-დედოფალი გაათავისუფლა და საცაა თვითონაც აქ გაჩნდება.

ბიჭუნამ ერთხანს კიდევ შეიცადა, მერე ფანჯარასთან მივიდა და რაღაც გაურკვეველი შესძახა. ცოტა ხანში ფანჯარა გაიღო, ბიჭუნას ვიღაც ქალი გამოეპასუხა, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩიეს — სუსხიანმა ქარმა თან წაიყოლა.

— ეუბნება, რომ პრინცესა საიმედოდ ჰყავს დამწყვდეული, — აუხსნა კაცმა.

— შეხედე, მამიკო! — წამოიძახა გოგონამ, — კაციჭამია ჯადოსნურ ნიშნებს ხატავს ფანჯრის ქვეშაც და ქვაფენილზეც. ნეტავი რატომ?

— გასაგებია რატომაც: ცდილობს ხელი შეუშალოს პრინცესას გაქცევაში. თავის ჯადოსნურ ცეკვასაც ამიტომ ცეკვავს. კაციჭამია ისევ გაუყვა ქუჩას. უზარმაზარ ნაბიჯებს დგამდა. ქუჩა ორმა კაცმა გადაკვეთა და თვალს მიეფარა.

— ესენი ვინღა არიან, მამიკო?

— მეფის ჯარისკაცები. ეტყობა, მთელი ჯარი მარკეტ სტრიტთან გროვდება. სახლის ალყაში მოქცევას თუ აპირებენ. იცი რას ნიშნავს ალყა?

— ვიცი. შეხედე, ისინიც ჯარისკაცები არიან?

— ჰო, ისინიც. მე მგონი, მოხუცებუ-

— ნახე, კეთილი ფერიები იმარჯვებენ!

— ჰო, — ასეა, — კაცმა პატარა გოგონას შეხედა. — შენ ჩემი კეთილი ფერია ხარ.

— ჰო, მამიკო. შეხედე იმ კაცს! ნეტავი ვინ უნდა იყოს?

— ისიც მეფის ჯარისკაცია. — მისტერ მილწერის კლერკმა ჩაიარა. — ჯარისკაცობისა არაფერი ეტყობოდა. — გესმის სტვენა? ეს ჯარისკაცები გროვდებიან. აი, დოლიც შემოკრეს. ეტყობა შეტევისთვის ყველაფერი მზადაა.

— შეხედე, მამიკო, დედოფალი! ხომ მართლა დედოფალია?

— არა, ეს საოცრებათმოყვარე ფერიაა. — კაცმა დაამთქნარა.

სასიამოვნო ფიქრებში ჩაიძირა. წინდღით მომხდარს იხსენებდა. — ასე იყო ერთხანს. მერე გოგონას შეხედა და მიხვდა, რომ [illegible] ძალიან, ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. პატარა იყო [illegible], სულ ექვსიოდე წლის. კაცი დაიხარა და აკოცა.

— ყინული რომ მოაქვს, ისიც მეფის ჯარისკაცია, — თქვა კაცმა. — კაციჭამიასთვის უნდა. როგორც კი თავზე დაადებს, კაციჭამიას ტვინი გაეყინება და ველარავის ვერაფერს დაუშავებს.

გოგონამ თვალი გააყოლა. იშვიათად თუ ჩაივლიდა ვინმე. ვიღაც ზანგი ოთხთვალას მიაგორებდა. ყვითელი ქურთუკი ეცვა — ასეთებს მხოლოდ ზანგები ატარებენ ხოლმე. ოთხთვალას ეწერა: Del upholstery Co.

დარაბა კვლავ ხმაურით მიეხეთქა ფანჯარას და ნელ-ნელა გაიღო.

— შეხედე, მამიკო, ისევ კეთილი ფერიები იმარჯვებენ!

და კაცმა უცებ ცხადად იგრძნო, რომ ოდესმე აუცილებლად გაიხსენებდა ამ დღეს — მშვიდ ქუჩას, შემოდგომის მშვენიერ დილას და საოცრებას, რომელიც მისი შვილის თვალწინ თამაშდებოდა. საოცრებას, რომელიც თვითონ შექმნა, მაგრამ რომლის ხიბლიც მისთვის უკვე სამუდამოდ დაკარგულიყო. ფრთხილად შეეხო გოგონას ლოყას და აღელვებულმა თავის ნაამბობს პატარა ბიჭი და კოჭლი კაციც მიუმატა.

— რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, — უცებ თქვა კაცმა.

— ვიცი, მამიკო, — უყურადღებოდ გამოეპასუხა გოგონა. მთლიანად დაეპყრო სახლს. წუთით კაცმა თვალები დახუჭა და შეეცადა იმ თვალით დაენახა ყველაფერი, როგორითაც გოგონა ხედავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დავიწყების ფარდები (დროის გახუნებული ფარდები) სამუდამოდ დაშვებულიყვნენ მის წინ. მხოლოდ შემთხვევით ჩავლილი ზანგები, პატარა ბიჭუნები და მზიანი ამინდილა ახსენებდა წარსულის ჯადოსნურ დღეებს.

ქალი სახელოსნოდან გამოვიდა.

— როგორ არის საქმე? — იკითხა კაცმა.

— ყველაფერი მოვაგვარე. Jl dit qu'it a fait les maisons de poupee pour les du Ponts. Jl va faire.[3]

— Combein?[4]

— Vingt-cing.[5] ვწუხვარ, რომ ამდენ ხანს გალოდინეთ.

— შეხედე, მამიკო, ჯარისკაცები ისევ მოდიან!

მანქანა დაიძრა. როცა რამდენიმე მილი გაიარეს, კაცი შემობრუნდა და ქალის გასაგონად თქვა: სანამ შენ შიგნით იყავი, ჩვენ შესანიშნავ რამეს შევესწარით... და მოკლედ უამბო ყველაფერი.

— რა საწყენია, რომ პრინცესას გათავისუფლებას ველარ ვუყურეთ.

— არაფერიც, — წამოიძახა გოგონამ — ეგ ხომ მეზობელ ქუჩაზე მოხდა. კაციჭამიას სხეულიც აგერ, იმ ეზოში აგდია. პრინცი და მეფე-დედოფალი დაიხოცნენ და ახლა პრინცესა გახდა დედოფალი.

კაცს მოწონდა თავისი მეფე-დედოფალი და გული დაწყდა, რომ გოგონა მათ ასე იოლად შეელია.

— მაგრამ უიმათოდ როგორღა იქნება, გმირების გარეშე ხომ ვერ დავრჩებით? — მოუთმენლად იკითხა კაცმა.

— პრინცესა ვინმეს მითხოვდება და გმირიც ის გახდება.

სამივენი ჩუმად განაგრძობდნენ გზას. თავიანთ საფიქრალს მისცემოდნენ. ქალი ფიქრობდა თოჯინის სახლზე, რადგან ბავშობა სიღარიბეში გაატარა და არასოდეს ჰქონია ასეთი სათამაშოები. კაცს სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ სულ მალე მილიონი დოლარის მფლობელი გახდებოდა. გოგონა კი იხსენებდა იმ საოცარ ამბავს, რომელიც უკან, შორს, პატარა ჭუჭყიან ქუჩაზე დარჩა.

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთი ჯიშიაშვილმა



1. უთხარი, რომ ბევრი უჯრა საჭირო არ არის, არც მაინცდამაინც ძვირფასი ხეა აუცილებელი (ფრანგ.).

2. უთხარი, რომ საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, ისეთი, მერფის რომ გაუკეთა (ფრანგ.).

3. მან თქვა, რომ ასეთი თოჯინის სახლი დიუპონებსაც გაუკეთა და ივენც გაგვიკეთებს (ფრანგ.).

4. რა ღირს? (ფრანგ.)

5. ოცდახუთი (ფრანგ.).

# ჯემალ აჯიაშვილი



პოეტები, რომელთა ლექსების ჩემეულ თარგმანებს გთავაზობთ, სხვადასხვა ქვეყნისა და დროის წარმომადგენლები არიან. ვრცელია მათი ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, შესაბამისად, განსხვავებულია სამყაროსთან მიმართების მათეული მოდელი. თუ ერთნი მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან დგანან და მათი პოეტური ხმა პირველქმნილი სიწმინდითა და უშუალობითაა შეზავებული (კაცობრიობის ბავშვობის ნეტარი ხანა, როცა ღვთის კალთას ამოფარებული ადამიანი ჯერაც ცოცხლად გრძნობს სამყაროს შემოქმედის თბილსა და ცხოველმყოფელ სუნთქვას), მეორეთათვის პოეზია გრძნობები კი არა, გამოცდილებაა (რილკე). და საგნობრიობის მხახვრალ ხელს მინდობილი პოეტი, ასე მძაფრად რომ განიცდის თავის პირველსაწყისებთან დაშორებას („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევე მე"), თავისივე მეხსიერების ღრმადშეფარულ შრეებში მოიძიებს კაცობრიული ბავშვობის აწგარდასულ ჩვენებებს, როგორც საკუთარი ბიოგრაფიის სისხლხორცეულ ნაწილს, როგორც ოდინდელ გამოცდილებას (ელინობა და ჰომეროსისეული ელადა მანდელშტამის ლექსებში, ვითარცა სულიერი ჰარმონიის მარად უშრეტი წყარო).

დიახ, განსხვავებულია თითოეული ავტორის პოეტური ხმა, განსხვავებულია სამყაროსთან მიმართების მათეული მოდელიც...

მაგრამ სამყაროს შემოქმედთან მარადიულ დიალოგში ყველა მათგანი, რაღაცით მაინც, ერთნაირად მონაწილეობს, ერთია მათი მსხვერპლშეწირვის გზა („პოეტი მუდამ გზაშია"), სრულყოფისა და მშვენიერებისკენ რომ მიემართება, და საერთო აქვთ პოეტური სივრცეც — სულისმიერი მიგრაციის ის მეტაფიზიკური არე, სადაც მხოლოდ წინასწარმეტყველები და პოეტები მიმოდიან.



## მეფე დავით წინასწარმეტყველი

(1010-970 ძვ.წ.აღ.)

### ფსალმუნი 4

გუნდის ლოტბარს. მუსიკალურ საკრავებზე.

2. ოდეს მოგიხმობ, შემეხმიანე, უფალო ჩემი
სიმართლისაო!

იწროების ჟამს სივრცე მომეცი,
შემიწყალე და შეისმინე ჩემი გალობა.
3. ვიდრემდე იყოს, ძენო კაცისა, ღირსება ჩემი
დამცირებული,

ვიდრემდე ეტრფით ამაოებას
და სიყალბისკენ გაგირბით თვალი?
4. სცანით — უფალმა აირჩია კეთილმოსავი,
უფალი ისმენს, როდესაც ვუხმობ.
5. იგულისწყრომეთ და ნუ შესცოდავთ,
და ღამით, ოდეს ხარეცელზე განმარტოვდებით,
თქვენსავე გულებს ესიტყვეთ ჩუმად!
6. შესწირეთ მართლის შესაწირველი და ესასოეთ
უფალსა თქვენსა!

7. მრავალი იტყვის:
„სასიკეთოს ჩვენ ვინ გაგვიმხელს?"
გარდმოაფინე, უფალო, ჩვენზე
ნათელი შენი სახიერების!
8. შენ უფრო მეტი სიხარული მოაგე ჩვენს გულს,
ვიდრე მათ ჰქონდათ, ოდეს უხვობდა პურეული და
ბადაგი მათი.

9. დავწვები მე და მშვიდობაში დამეძინება,
რადგან, უფალო, მხოლოდ შენა ხარ,
ვინც სასოებით დამაბინადრებს.

## შელომო იბნ გებიროლი

(1021-1052)

### იეკუთიელის დატირება

დღე აღარ დღეობს, ჩაქრა მნათობი,
ცით გარდმოვიდა მაცნე გლოვისა...

...მწუხრის ვარსკვლავი შემობრუნდა ძალთა
მპყრობელად,

კვლავ ძოწეულით იმოსება ტახალიერი...
და გარდასული სასოების გამომხმობელად
გარე-მომდგარან მწუხარების ასაბიები...

ცას იდუმალი ბინდი აშინებს, მზე გაკრეფილა
ჩრდილში მალიად
და საღამოის უჩინმაჩინებს ბნელ ნიაღებში
მიუჩქმალიათ...

მიუჩქმალიათ, აჰავაი, მიუჩქმალიათ!..

... რა არის ჩვენი [illegible] — სულთქმა
ნუთიერი,

ბნელთა შიგან
გამომკრთ[illegible] ჩვენება...
მინად მიიქცევა იე[illegible],
მიდის,
მზედ მიდის...
მიესვენება...

ვინ გამოიხმო მედრ[illegible],
ცრემლი რომელმან ისა[illegible]
ვარსკვლავთმისანო. მი[illegible]
მოვ[illegible] სინათლისაო!

მზეო, მობრუნდი,
მზეო, მოიქეც,
სისხლით შეღ[illegible] შენი ქიტონი,
გუმბათიონით გარდ[illegible] გაუქმებული
პარაკლიტონი...

ცათა ნათელი მიღმიეთში მიეფინება,
უფლის ტაძარში დაიშრიტა დიდი კანდელი;
დრომან შესწყვიტა თვისი დინება,
ღამე არ ღამობს ამაღამდელი...

მზეო, მობრუნდი,
მზეო, მოიქეც,
ნითლად შეღებე შენი ქიტონი,
კვლავ სინანულით გარდამოიღეს ცის მგლოვიარე
პარაკლიტონი...

კვლავ დაუქროლა ქარმა ზამთრისამ,
დრომ მიითვალა სითბო მკათათვის,
კვლავ შეტრიალდა ბედის ბორბალი, ცა განემზადა
ცვალებათათვის...

ცვალებათათვის, სულო ჩემო, ცვალებათათვის!..

ღვთის ახაბიამ
ალამდარი მოინაკლისა,
ყრუდ მიიქცევა ხიბნელეში მისი ჩვენება;
მაგრამ სად ნავა ხვეტი ნათლისა,
ვის საუფლოში ჩაიწვერება?

ძალი რა უყავ, ძალთა მძლეველო,
სად ჩაიშრიტა შენი მთიები?
— ცრემლთ მარგალიტებს მოამცვრევენო, —
აღესრულაო, იეკუთიელი!..

# მრავალსახეობა მთარგმნელისა

აღესრულაო, ვაი, ავაჰმე!
განასრულაო ყოფნა ნუთიერი...
აღესრულაო...
აღესრულაო...
აღესრულაო იეკუთიელი!..

მზეო, მომხედე,
მზეო, დამიცავ!..
უნდა მის ხსოვნას ლიბოდ დაევლო,
გარნა რად მაკრთობ, ბინდო ღამისავ,
სდით სად მოხვალ, მალახ-მავეთო*?

...მზის შეპყრობლად მოდგა ლანდეთი,
ისევ გაცუდდა ძალი მძლეველის,
ეჰა, სად მიდის შარავანდედი
იეკუთიელ ნათლისმცემელის?
რის გვაუწყებენ ბნელი ნიშები, გალმით ვინ
მოსთქვამს:
„- ვერღა ეწიოთ!.."
რად აღიძვრიან პარაკლისები
სააღლუმოდ და
საეკლესიოდ?..

ცად აგუგუნდნენ საგუმბათენი,
მეგუმბათენი შემოკრბნენ ვაით...
სად გარდაეგო მისი ნათელი,
მზე სადაური გარდახდა საით!..

მოდგა ჩრდილოით შავი გრიგალი,
სამხრეთს უმტერია სრათა რიგები,
მაღრიბს მოდიხარ ნამაშრიყალი და ნაღვლიანად
გვეშიკრიკები.

გარნა არ გვესმის შენი ძახილი,
მრევლი აწვიმებს ცრემლთა ნაკადებს
და მწუხრეული სულის საოხად ხმა ქვეშეთიდან
ამოგვლალადებს:
— ხელმან მტრისამან ცეცხლი ჩაუქრო,
უნდა მიწაში ძვლები ჩაკრიფოს,
მზემან დააგდოს თვისი საუფლო, მაშრიყს
გასცდეს და
გაიმაღრიბოს.

ვაი, საყდრეულო გადაბუგულო,
ვაი, საწუთროის ცრუო ზმანეთო!
გზა უბადოა, მწყემსი — უგულო, ხალხიც უნდო და
უერთმანეთო!..

იეკუთიელ!
იეკუთიელ!
ჟამი ფიცხელ არს, ყოფნა — ნუთიერ...

უფლის ვანში დგას შენი კარავი,
გარე-გივლიან ვარსკვლავები
ნყნარი გალობით...
მაგრამ, რაც დაგშთა მიუთვალავი,
დრო მიითვალავს თანდათანობით.

თანდათანობით...
თანდათანობით...

„ყოფნა სიზმარს ჰგავს!" —
მჭევრობს მავანი,
ყურად არ იღებს სხვათა საბუთებს,
ჩვენ კი გულს გვიკლავს სიტყვის ჯავარი, გზასაც
გვიბნევს და
გვიაბლაბუდებს.

„ყოფნა ყოფნაა!" —
ბჭობენ მეფენი,
გარნა ხმა გვეტყვის ზესთა კრებულის:
ვინ ინიშნაო სანიშნებელი
არსებულის თუ არარსებულის?
და მიგვაცილებს კითხვა ცისმარი,
ისევ ისე ჭირს ბნელში გაგნება,
აღარც ცხადი ჩანს, აღარც სიზმარი, გზაც —
უსასრულოდ
მიიკლაკნება...

. . . . . . . . . . .

ცამ სინანულის დაგვდო ბეჭედი, მზე შემოგვადგა
გლოვის ნერილით,
ისევ ყრუდ დრტვინავს ცათაქვეშეთი, დროც
მიიქცევა უწინდელივით...
ძალნი რად გლოვენ, ძალთა მძლეველო,
რად გადმოგვძახის შენი მთიები?
— ცრემლთ მარგალიტებს მოამცვრევენო, —
აღესრულაო იეკუთიელი...

იეკუთიელ!
იეკუთიელ!
ჟამი ფიცხელ არს, ყოფნა — ნუთიერ...



...მე კვლავ მარცვალს ვთეს, ნახირს მივდენი,
დრომ მიითვალა სიტკბო იმდენი,
შენდა არ მზეობს იგი სამზეო, ჟამი არ ჟამობს
იმჟამინდელი.

გინდა მზეს შეხვდე,
შეექილიკო?
— ნაცვლად ჩაგიხვევს მიწის ბელტები;
სიდან სად ჩახვალ, სოფლის ბილიკო,
ვის ჯურღმულებში ჩაიფერდები?..

ჩაიფერდები, აჰავაი, ჩაიფერდები!..

* მალახ-მავეთი — (ებრ. მალახ-ჰა-მავეთ) სიკვდილის ანგელოსი.

ვერღა აღანთო შენი ტაძარი,
იყოს, რაც არი, — იეკუთიელ!
ცეცხლი მინელდა, დაშთა ნაცარი,
იყოს, რაც არი, — იეკუთიელ!
გახსოვს? — კედლებზე პანგებს შეფენდა
შენი ებანი, — იეკუთიელ!
ან ვინ გვასმინოს მქადაგებელთა
ქადაგებანი, — იეკუთიელ!..

ვინ განადიდოს მ ი ს ი სახელი,
ვინ აამჭევროს კვალად ბაგენი,
ვინ შეავედროს მეჭულბაქენი,
იეკუთიელ!..
იეკუთიელ!..

მზეო, მობრუნდი,
მზეო, მოიქეც,
სისხლით შეღებე შენი ქიტონი,
გუმბათიონით გარდამოიღეს გაუქმებული
პარაკლიტონი...

. . . . . . . . . . . . .

... რა არის ჩვენი ყოფა: —
სულთქმა ნუთიერი,
ბნელსა შიგან გამომკრთალი ჩვენება...
მინად მიიქცევა იეკუთიელი,
მიდის, მზედ მიდის...
მიესვენება...



## ფრანჩესკო პეტრარკა

(1304-1374)

\+ + +

დაობლდა სული, განიძარცვა დაფნა დიდების,
დაემხო ჩემი სათნოების წმინდა კედელი,
გაუდაბურდა ბრწყინვალება პირამიდების,
დაივსო ცეცხლი, დაიშრიტა დაუშრეტელი.

სამეფო სკიპტრა, საფირონი, პალმის რტოები —
ფუჭია ყოვლი, ზღაპარია, უნდო ზღაპარი,
დაბებს გავტირი მგლოვიარე უდაბნოელი,
სად ვპოვო, სადა, ჩრდილოვანი თავშესაფარი!..

ვინ დაგვისართა ვაებაზე მოთქმა-ნუხილი,
ვინ შეგვაზავა უჩვეულო ცრემლის საზავით:
მხრებზე შეგვიდგამს უმძიმესი ტანჯვის უღელი,

ამაოებას შევლაღადებთ ხელის სავსავით,
მაგრამ მოდგება შემოდგომის ელვა-ქუხილი
და ყოველივე განქარდება ჩვენებასავით...

\+ + +

რაზე ქვითინებს საღამეულ ბაღში ფრთოსანი,
სმენას რად აკრთობს მოძახილი ხვედა-კაეშნის? —
აღარ უგალობს ცრემლიანი მისი შროშანი,
არც სიყვარულის უჩვეულო პანგი ჩაესმის...

ისევ ილვიძებს მიჩქმალული ჩემი ვაება,
დაღლილ ოცნებებს განმიახლებს მწუხრის ბუნება
და ვხედავ: მოდის უძლეველი ბინდის ღვთაება, —
ჩემსკენ სიკვდილის დედოფალი მოეშურება.

რა მაცდურია ჟამიერად ხორცის ღრეობა:
ვინ იფიქრებდა — ჩაქრებოდა ჩაუქრობელი,
მზის შარავანდი სიბნელეში განიმქრეოდა!

ეჰ, ნუთიერი სილამაზით ბევრი გვაცდუნებს:
მოვა ჟამი და საწუთროულ ამაოებას
ამაოების ღაღადისით დაგვიდასტურებს...

## რაინერ მარია რილკე

(1875-1926)

* * *

ანგელოზების საკრებულო შუქში დაგეძებს:
ცას ეხლებიან, შესაცნობად როცა გიტევენ
და თვითეულ სხივს ჩაჟინებით ჩაჰკირკიტებენ.
მე კი — თუ შენთან სამეტყველოდ ლექსი მაქეზებს,
ასე მგონია — საგალობლებს ბნელში ჰკიდებენ
და შორდებიან შენეული კაბის ნაკეცებს.

შენ მხოლოდ ოქროს სტუმარს ჰგავდი: როცა —
დრო-ჟამი
სალიტანიოდ მოგიხმობდა ფრთების სავსავით, —
სავარსკვლავეთოს ალუვლენდი სხივებს ალსავლით
და მარმარილოს გალობათა კრიალოსანი
შუბლზე გეფინა სფეროების ნათებასავით.

და შენ გარდახველ. გალობათა ჟამი გაბრუნდა.

აბანოზის ხეს დაემსგავსა შენი ხელები
და ბაგეები ღამესავით გაუდაბურდა...

### რომაული სარკოფაგები

განა აქ ყოფნა მარტოოდენ ტანჯვით იწყება,
ან განა იმის დაჯერება შეებას გვანიჭებს,
რომ მხოლოდ უგზო ფორიაქი და შეზიზღება
პოულობს ჩვენში ნავსაყუდარს და საბრძანისებს? —

როგორც ოდესღაც სარკოფაგში — ღვთის თუ
მნათობის
კერპთან თუ ნიშთან, ჭურჭლეულთან თუ
თილისმებთან —
ინვა ვილაც და, სიჩუმეში, ნელი ხრწნადობის
და წარმავლობის განუწყვეტელ ჩურჩულს ისმენდა,

ვიდრე ჩანთქავდნენ ბაგეები დაშლილ ხერხემლებს
(ეჰ, რომელიმე ტვინთაგანი მოახერხებდეს
აამეტყველოს დაბინდული მათი შეგნება!..).

ხოლო წყალი კი, უკვდავებას კარს რომ უღებდა, —
ისევ გადმოსჩქეფს მარადიულ აკვედუკებთან,
რწყავს იმ ბაგეებს, მათში ბრწყინავს და ირეკლება...

### შეყვარებულის სიკვდილი

მანაც იცოდა სატკივარი სხვების და სხვების, —
რომ ბნელში გვითრევს სიკვდილი და გვაქცევს
მუნჯებად,
მაგრამ მიჯნური — არა ვინმეს ჟინით თუ ნებით —
რომ არც უცდია ბნელთან დავა და გაურჩება, —

ისე გაკრთა და ნალივლივდა უცხო ლანდებთან
და, როცა მკვდრებმა სამუდამოდ დააბინადრეს, —
იგრძნო ჭაბუკმა — ქალიშვილი ღიმილს ანთებდა
და მთვარესავით არიგებდა სხივს და სინათლეს.

და ასე — მკვდრებთან დამოყვრება ერგუნა წილად
სატრფოსგან ვაჟს და გადასწყვიტა — ჩვეული
ხერხით
აღარ ემსჯელა აღსასრულზე, რომელიც წინათ

ზარავდა მას და აძრწუნებდა მბრძანებლის კვერთხით:
ის უკვე წყვდიადს მიიჩნევდა მშობლიურ ბინად
და სიკვდილს ნაზად ეხებოდა მიჯნურის ფერხთით...

## ნელლი ზაქსი

(1891-1970)

### იწერებოდა ზოჰარის * სიტყვა...

მაშინ დგებოდა ნეტარი ჟამი:
წერამწერალი ჯდებოდა წერად,
იწერებოდა
ზოჰარის
სიტყვა.

და გადახსნიდა ასომწერალი ძველი სიტყვების
დახურულ ძარღვებს,
და უძრაობით დაქანცულ ბგერებს
შეერთოდა
ვარსკვლავთა სისხლი.

იწერებოდა ზეგარდმო სიტყვა.

მაღლა ბრუნავდა გუნდი მნათობთა
და ხვედრიანი მათი ოცნება
ცის სინათლეში დაფარფატობდა...

იწერებოდა მეუფის სიტყვა.

და ბჭეგახსნილი სამარხებიდან
ასო-ნიშნების ანგელოსი ამოდიოდა,
ამოდიოდა ანბანის ნეშტი,
ვით უძველესი ჭურჭელი ბროლის,
რომელიც შობა შესაქმის წყალმა:
ოდეს განიხსნა
იდუმალი კარიბჭე მიწის
და უჩვეულო წვეთების მძივი
ჩამოისარკა
სამარის
ჩრდილში...

იწერებოდა მთავარი სიტყვა.

ყელს ილერებდა ლარნაკი ბროლის
და ხმათა
ნიაღ
ილანდებოდა
იაგუნდის
და
ამარტის
ბრწყინვა.



იწერებოდა უკვდავი სიტყვა.

ქვას არ გააჩნდა სიმყარე ჯერაც, —
იბლანტებოდა თითებში ცვილად,
ცვილს არ გააჩნდა სიბლანტე ჯერაც, —
თვალში წვეთავდა წყალწყალა ცრემლად,
და ლბილი იყო უდაბნოს ლოდიც, —
ამოზრდილიყო ყვავილის დარად

და
ღეროებზე
ჩამოსხმულ
კვირტებს
შესაქმის
ქარი
არხევდა
წყნარად.



იწერებოდა სიმართლის სიტყვა.

და, — შავი ვეფხვი, — ბრდღვინავდა:
ღამე!
და ჭრილობიდან ანთხევდა ნათელს
ვეფხვის ტოტებში გართხმული
დილა.

და ბაგე იყო სინათლე იგი,
ბაგე,
რომელიც ჯერხანად დუმდა,
და თვალი იყო სინათლე იგი,
თვალი,
რომელიც ჯერხანად თვლემდა...

და მხოლოდ ქარი ადასტურებდა,
ადასტურებდა ნიავის სუნთქვა,
რომ სული უცხო, ცათუმაღლესი, ირეკლებოდა
სუფევის სხივში
და უხილავი ფარდების მიღმა
დალივლივებდა ნათელი მისი...

იწერებოდა პ ი რ ვ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა . . .

* ზოჰარი (ებრ. ზოჰარ — ბრწყინვა, ნათება) — შუა საუკუნეების ებრაული თეოსოფიური თხზულება, რომელშიც თავისებურად აირეკლა ძველებრაელთა რელიგიური ფილოსოფიის ძირითადი ნიშნები და ტენდენციები.

## ოსიპ მანდელშტამი

(1891-1938)

\+ + +

პიერიის მთას ალვიძებდა მუზების როკვა,
თვალდაშრეტილი მუსიკოსები წყნარი გალობით
ხვდებოდნენ აპრილს
და ფუტკრებივით მოჰქონდათ ჩვენთვის
ნელსურნელება იონურ თაფლის.
სიცივეს ჰფენდა ქალიშვილის მაღალი შუბლი,
რომ შეილთაშეილებს — ასე ნაზად და ნება-ნება
შემაძრწუნებლად განხმოდათ თვალწინ
არქიპელაგის კუბოთა წყება...

ადევნებია გაზაფხული ელადის მინდვრებს,
ჭრელი ხამლები ჩაიცვა საფომ,
ჭრიჭინობელები ჩაქუჩებს სცემენ
და ბეჭდებივით კვეროვენ ტაფობს.
ასნია ხუროს საქორწინო დარბაზის ჭერი,
აშთობენ ფრთიულს... ფაშფაშა მრევლი მიაყურადებს
ხვასტაგის ბლავილს
და მენადემაც დაჭიმულ ღვედზე
გადაქნა ხარის ხუთკეცი ტყავი.

კუ, ჩანგოსანი, მიცოცავს უხმოდ,
ულონო გული ზარმაცად უცემს,
ეპირის ხვატში ჯართხმულა ლოხად
და მზეზე ითბობს ოქროსფერ მუცელს.
მაგრამ ვისი ხმა გადმოაბრუნებს,
ვინ დაუყვავებს ყვრდისფერ ძილში!
ალბათ სიზმარში ტერპანდრას უმზერს,
აშფოთებს მისი თავდასხმის შიში.
არწყულებს წყარო დასიცხულ მუხებს,
ბზიკი დაზზუის ენერ და ენერ,
ქარებს გადმოაქვთ ბადაგი მინდვრის,
მე კი იმ წმინდა კუნძულებს ვეძებ, —
სადაც რძეა და სურნელი თაფლის,
პურს არ უყოფენ გველსა და უნასს,
შრომის სუფევა ახარებს ცას და
ბედის ბორბალიც მსუბუქად ბრუნავს...

* * *

ვენეციური ცხოვრების ხევდა და სიმძიმილი
ცხადია ჩემთვის, დღესავით ცხადი.
ცისფერ სარკეში ცივი ღიმილით
ციმციმებს მისი ულონო ხატი.

სპეტაკი თოვლი. მწვანე ფარჩა. არსაით შველა! —
კანქვეშ ძარღვების ცისფერი არხი.
კვიპაროსების საკაცეზე გაუკრავთ ყვედა —
ჩათბუნებული, მძინარე ხალხი.

და ინვის, ინვის კალათებში სანთლების წყება —
შემოფრენილა კიდობანში დაღლილი მტრედი.
გაუქმებული თეატრის თაღქვეშ
არავინ კვდება მოკვდავის მეტი.

ისევ ელდა და სიყვარული... საშველი არ ჩანს,
სატურნის ბეჭდით დაბეჭდავენ ყრმას ახალშობილს!
შესუდრავს ძელზე გაფენილი ჯალათის ფარჩა
სიკვდილმისჯილის მშვენიერ პროფილს.

მძიმედ ქშენ, მძიმედ, საძნელოა შენი მშვენება, —
ო, ვენეციავ, კვიპაროსოვან შუშაბანდებში ისარკავ
ახლაც
სანოლთან ლურჯად გადამდნარი მძივების წყებას
და მოლივლივე ჰაერის ნახნაგს.

მაგრამ თითებში ვარდია თუ ქვიშის საათი —
ადრიატიკავ, მომიტევე ამგვარი ცოდვაც! —
როგორ გავექცე, თვალციმციმა ვენეციელო,
თავანწყვეტილი სიკვდილის როკვას.

წარმავალია ყოველივე. ვესპერი ბრწყინავს,
ბნელ სარკეებში ილანდება სიშავე ფლასის
და ელოდება სუსანას მკერდი
ნაზარხოშევი ბერების ლაციცს...








## ტელეარხი წიგნის მოყვარულთათვის

როგორც ჟურნალი „ენთერთაინმენთ უიკ-ლი" იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები „ბუკნეტის" (სპეციალური სატელევიზიო არხი ლიტერატურის მოყვარულთათვის) ცისფერ ეთერში გასაშვებად. საუბარია ოცდათოთხსაათიანი საკაბელო



ტელეარხის შესახებ, რომელზეც დემონსტრირებული იქნება ინტერვიუები ცნობილ მწერლებთან, ინფორმაციები ლიტერატურის სიახლეების, ახალი გამოცემების შესახებ, საუბრები სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ლაურეატებთან, წიგნის ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

არხის შექმნის იდეა 1993 წელს გაჩნდა და იგი 65 წლის ნიუ-იორკელ მწერალს, ედგარ ლოურენს დოქტოროუს (ჩვენში კარგადაა ცნობილი მისი გახმაურებული რომანი „რეგთაიმი" — 1975) ეკუთვნის. მაგრამ „ბუკნეტის" პროექტის რეალიზაცია ინიციატორებისგან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს: არ ჩანს სპონსორი, თანაც საქმეს ისიც ართულებს, რომ შეერთებულ შტატებში თითქმის არ არსებობს თავისუფალი სიხშირეები. თუმცა, ამერიკის კონგრესის განცხადების მიხედვით, აუქციონზე რამდენიმე დამატებითი სიხშირე უნდა გაიყიდოს, ამიტომ „ბუკნეტის" პრეზიდენტი იმედს არ კარგავს და გადაცემების ეთერში გასვლას ოქტომბრისთვის პირდება ბიბლიომანებს.

## ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

ოცი წლის წინ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია, რომელიც ენიჭება ორ წელიწადში ერთხელ ცალკეულ ავტორებს ან ავტორთა კოლექტივებს არქივთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოგრაფიის დარგში მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომების ან ნაშრომთა ციკლისათვის, აგრეთვე, საარქივო საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ა.წ. 30 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის კოლეგიის სხდომა, რომელმაც ხსენებული დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წინადადებით აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა სასიქადულო მამულიშვილს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და კინორეჟისორს რევაზ ტაბუკაშვილს (სიკვდილის შემდეგ) და ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს გურამ შარაძეს.

## დაკარგული ხელნაწერი

პოპულარული გერმანელი მწერლის, ერიჰ მარია რემარკის (1898 — 1970) ერთ-ერთი საუკეთესო რომანის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" (გამოიცა 1929 წელს) ხელნაწერი სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდათ, მაგრამ აპრილში იგი გერმანიის ქალაქ ოსნაბრიუკში, მწერლის სამშობლოში დაბრუნდა. ფანქრით ნაწერი 120 გვერდი, რომელზეც რემარკი 1928-29 წლებში მუშაობდა, ახლა მის არქივში ინახება.

ექსპერტები დიდი ხნის მანძილზე მიიჩნევდნენ, რომ რემარკმა წიგნის გამოცემის შემდეგ ხელნაწერი გაანადგურა, ზოგის აზრით კი — გაყიდა კიდეც. თუმცა მისი შემოქმედების მკვლევარები გაოცებულნი დარჩნენ, როცა ამ რამდენიმე თვის წინ უცნობმა შეამავალმა ევროპელ, იაპონელ და ამერიკელ სპეციალისტებს შესთავაზა ხელნაწერი, რომელიც ექსპერტიზის შემდეგ, დედანი აღმოჩნდა.



ხელნაწერი ლონდონში, „სოტბის" აუქციონზე 800 ათას მარკად გერმანიის მიწის, ქვემო საქსონიის მთავრობამ (მის შემადგენლობაში შედის ოსნაბრიუკი) შეიძინა და ფასდაუდებელი რელიქვია დამთვალიერებელთა თვალის გასახარად დროებით გერმანელი მწერლის არქივს გადასცა.

# თარიღები  თარიღები

### 3 ივნისი

**1856** — 140 წლის წინ სოფელ კოდაში დაიბადა **ვასილ ბარნოვი**, ქართველი მწერალი. სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. რომანების („იხნის ციხკარი" — 1901, „მიმქრალი შარავანდედი" — 1913, „ტრფობა წამებული" —



1918, „არმაზის მხურვება" — 1925) და მოთხრობების („გველის ზეიძი" — 1919, „განსაკვირი ხიძი" — 1920, „სადედოფლო სარტყელი" — 1920, „ლევას ჩოხა" — 1922, „ლიმი დამლუპა" — 1922, „ძვირფასი თვალი" — 1924) ავტორი. გარდაიცვალა 1934 წელს თბილისში.

**1926** — 70 წლის წინ ნიუარკში (შტატი ნიუ-ჯერსი) დაიბადა **ალენ გინზბერგი**, ამერიკელი პოეტი. 1948 წელს დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი, მეგობრობდა ჯეკ კერუაკთან, უილიამ ბეროუზთან. გინზბერგზე, როგორც პოეტის ჩამოყალიბებაზე, დიდი გავლენა მოახდინა უილიამ კარლოს უილიამსის პოეზიამ. აღიარება მოუტანა წიგნმა „ღმუილი და სხვა ლექსები" — 1956. ავტორია პოეტური კრებულებისა: „კადიში" — 1961, „ამერიკის დაცემა" — 1972, „სული სუნთქავს" — 1977, „ოდა პლუტონს" — 1981. 1965 და 1985 წლებში იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, იყო თბილისშიც.

### 5 ივნისი

**1891** — 105 წლის წინ პეტერბურგში გარდაიცვალა



**დავით ჩუბინაშვილი**, ქართველი მეცნიერი, ლექსიკოლოგი, რუსთველოლოგი, მთარგმნელი. დაიბადა 1814 წელს, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1835 წელს სრულიად ახალგაზრდამ შეადგინა „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი". გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" კრიტიკული ტექსტი, გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი" — 1846, რუსულად თარგმნა „ქართლის ცხოვრება". 1855 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

### 6 ივნისი

**1606** — 390 წლის წინ



რუანში, ადვოკატის ოჯახში, დაიბადა **პიერ კორნელი**, ფრანგი დრამატურგი, ლიტერატურული კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. განათლება მიიღო იეზუიტთა სკოლაში, სწავლობდა სამართალს. წერდა ლექსებს, კომედიებს. ავტორია დრამების: „მედეა" — 1635, „სიდი" — 1637, „ჰორაციუსი" — 1640, „პომპეუსის სიკვდილი" — 1643, „ოიდიპოსი" — 1659. 1647 წლიდან იყო საფრანგეთის აკადემიის წევრი. გარდაიცვალა 1684 წელს პარიზში.



**1946** — 50 წლის წინ აგნეტენდორფში გარდაიცვალა **გერჰარტ ჰაუპტმანი**, გერმანელი მწერალი და დრამატურგი. დაიბადა 1862 წელს ობერზალცბრუნში, სწავლობდა ბრესლაულის რეალურ სასწავლებელში, იენის უნივერსიტეტში. 80-იან წლებში გამოსცა ლექსებისა და მოთხრობების პირველი კრებული. ლექსების, ზღაპრების, დრამების („მზის ამოსვლამდე" — 1889, „როზა ბერნდი" —



19903, „ვირთხები" — 1911, „ზამთრის ბალადა" — 1917, „თეთრი მხსნელი" — 1920, „მზის ჩასვლამდე" — 1932), მემუარების („ჩემი ახალგაზრდობის თავგადასავალი" — 1937) ავტორი.

**1961** — 35 წლის წინ ციურიხში გარდაიცვალა **კარლ გუსტავ იუნგი**, შვეიცარიელი ფსიქოლოგი, კულტუროლოგი და ფსიქიატრი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. დაიბადა 1875 წელს კესვილში, მუშაობდა ბლეილერთან, 1906 წლიდან ფსიქოანალიზის პოზიციებზე გადავიდა, თანამშრომლობდა ფროიდთან, მაგრამ 1913 წელს ფსიქოანალიზის ძირითადი დებულებების გადამოწმების შემდეგ ტოვებს მას. ავტორია წიგნების: „ლიბიდოს მეტამორფოზები და სიმბოლოები" — 1912, „ფსიქოლოგიური ტიპები" — 1921. დიდი როლი ითამაშა რელიგიის, მითოლოგიის, ფოლკლორის შესწავლის საქმეში. 1948 წელს ციურიხში შეიქმნა იუნგის ინსტიტუტი, 1958 წელს — ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება.



### 8 ივნისი

**1876** — 120 წლის წინ ნოანში გარდაიცვალა **ჟორჟ სანდი** (ნამდვილი სახელი და გვარი — ავრორა დიუპენი), ფრანგი მწერალი ქალი. დაიბადა 1804 წელს პარიზში, სწავლობდა ინგლისურ კათოლიკურ კოლეჯში. რომანების („ინდიანა" — 1832, „ჟაკი" — 1834, „იან ჟიჟკა" — 1843, „ლუკრეცია ფლორიანი" — 1846, „კონსუელო" — 1842-43), პუბლიცისტური ნაწერებისა და მემუარების („ჩემი ცხოვრების ისტორია" — 1854-55) ავტორი.

### 14 ივნისი

**1886** — 110 წლის წინ გარდაიცვალა **ალექსანდრე ოსტროვსკი**, რუსი დრამატურგი. დაიბადა 1823 წელს მოსკოვში. სწავლობდა მოსკოვის პირველ გიმნაზიაში, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მუშაობდა მოსკოვის კომერციულ სასამართლოში. იბეჭ-



დებოდა 1847 წლიდან. ავტორია დრამების: „ღატაკი პატარძალი" — 1852, „სიღატაკე ნაკლი არაა" — 1854, „სარფიანი ადგილი" — 1857, „ჭექა-ქუხილი" — 1859, „ბალზამინოვის ქორწინება" — 1861, „მორევი" — 1866, „მძიმე დღეები" — 1863, „ტალანტები და თაყვანისმცემლები" — 1882.

**1936** — 60 წლის წინ ბეკონსფილდში გარდაიცვალა **გილბერტ კით ჩესტერტონი**, ინგლისელი მწერალი. დაიბადა 1874 წელს, ახალგაზრდობისას სწავლობდა ფერწერას, იბეჭდება 1900 წლიდან. ავტორია რომანების: „ნაპოლეო-



ნი ნოტინგ-ჰილიდან" — 1904, „კაცი, რომელიც იყო ხუთშაბათი" — 1904. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები, ლექსები, პოემები, წერილები ლიტერატურისა და რელიგიის შესახებ.

**1936** — 60 წლის წინ გარდაიცვალა **მაქსიმ გორკი** (ნამდვილი სახელი და გვარი ალექსეი მ. პეშკოვი), რუსი საბჭოთა მწერალი, სოციალიზმის ფუძემდებელი, საბჭოთა ლიტერატურის მამამთავარი, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი თავმჯდომარე. დაიბადა 1868 წელს ნოვგოროდში, ჰქონდა მძიმე ბავშვობა. რომანების („თომა გორდეევი" — 1899, „დედა" — 1907, „არტამონოვების საქმე" — 1925, „კლიმ სამგინის ცხოვრება" —



1927-36), მოთხრობების, ლექსების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს დიდი რაოდენობით ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, სტატიები.

**1816** — 180 წლის წინ ტორნტონში დაიბადა **შარლოტა ბრონტე** (ფსევდონიმი — კარერ ბელი), ინგლისელი მწერალი ქალი, განათლება მიიღო კოუანს-ბრიჯის პანსიონში მუშაობდა აღმზრდელად. ავტორია რომანების: „მასწავლებელი" — 1846, „ჯეინ ეარი" — 1847, „შერლი" — 1849, „ემა" — 1860. გარდაიცვალა 1855 წელს.

**სარედაქციო ჯგუფი**

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

ადათი

# რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი კავკასიის მაღალმთიანეთში

ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი ჯვარ-ხატი ხუცობანის ტექსტებში მოიხსენიება, როგორც რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი. რჯული ამ შემთხვევაში გულისხმობს არა ხალხურ სამართალსა და ადათს, არამედ რელიგიას, რწმენას. რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად მოიხსენიება რთული ფუნქციური ნიშანთვისებების მქონე ხახმატის ჯვარი: „შენამც იდიდები დიდო ხახმატის ჯვარო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო". რჯულიანი გულისხმობს ქრისტიანს, ხოლო ურჯულო – არაქრისტიანს, სხვა რელიგიის მიმდევარს, მაჰმადიანს.

ჩვენს დრომდე ქისტები მიდიოდნენ ხახმატის ჯვარში სამრთო ზღვენით (სანთელი, საკლავი და სხვა შეწირულობანი) სალოცავად. როგორც სხვა რელიგიის (მაჰმადიანობის) მიმდევრები, ისინი ხევსურებისგან ურჯულოებად იწოდებოდნენ.

საკითხავია, რატომ ლოცულობდნენ ისინი ხახმატის ჯვარში?

როგორც ცნობილია, ქისტებში (ჩეჩნეთ-ინგუშეთი) ქრისტიანობა გავრცელდა ჯერ კიდევ IX-XII საუკუნეებში. ხახმატის ჯვარი, რომელიც უშუალოდ კავკასიის მთავარ წყალგამყოფ ქედთან მდებარეობს, უნდა ყოფილიყო იქ მცხოვრები ხალხების მთავარი სალოცავი. ამ აზრს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დღემდე ფშაურ, მთიულურ და გუდამაყრულ სღვთისმსახურო წარმოსათქმელში ხევისბერები მუდამ მოიხსენიებენ ხახმატის ჯვარს თავისი ფუნქციური ნიშან-თვისებებით. თუშეთშიც მრავლად გვხვდება ხახმატის ჯვრის ნიშნები; საათენგენოდ იქ მიდიოდა ხახმატის ხატის ჯვარიონი და ხევსური ხუცესი ამწყალობნებდა;

საკუთრივ ხახმატის ჯვრის აშენებას ზოგიერთი გადმოცემა თამარ მეფეს მიაწერს:

„უგზოს და უგზაკვალოსა
ხევსურეთს გზანი გავილი,
ხახმატში ციხენ ავიგე,
ანატორს ცხენი დავიბი".

(მთქმელი ბაბალე ალუდაური, 54 წლის, სოფ.ხახმატი. ჩამწერი ხვთისო მამისიმედიშვილი, 1995 წლის 23 აპრილი, ხახმატი.)

არის ამლექსის მეორე ვარიანტიც:
ქალმა თქვა თამარ მეფემა:
„უგზოსა გზანი გავილი
ხახმატს ავიგი საყდარი,
ვერცხლის თახები შავილი,
შიგ დავაყენე ბერ-მღვდელი,
ანატორს ცხენი დავიბი".

(კობა არაბული, ავთანდილ არაბული, მყივანა წიხქვილები, 1984 წ. გვ.24)

სავარაუდოა, რომ თამარ მეფის დროიდან, როცა კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრებ ხალხებში ფართოდ გავრცელდა ქართული კულტურა და ქრისტიანობა, ხახმატის ჯვარი წარმოადგენდა ქართველი მთიელებისა და ვეინახების რელიგიურ ცენტრს. ვეინახური ელემენტის არსებობა ხახმატთან ეჭვსგარეშეა, რადგანაც ხახმატის შემოგარენის ტოპონიმიკა (მაგ. მასტალიჩო, ღალანიგო, ბეცეგო და სხვ.) თითქმის ვეინახურია. მოგვიანებით (XVIII საუკ.), როდესაც ქისტებმა მაჰმადიანობა მიიღეს, მათ არ დაივიწყეს წინაპრების სალოცავი და კვლავაც ლოცულობდნენ მამა-პაპის მიერ ნადიდებ ჯვარ-ხატს.

ამ აზრს ადასტურებს გადმოცემები ანატორის ჯვარზეც. ისევე როგორც ხახმატის სალოცავს, ანატორის ჯვარსაც ხუცესი მოიხსენიებს, როგორც რჯულიან-ურჯულოთ სალოცავს. ანატორი მდებარეობს ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარზე. აღნიშნულ ჯვარში ლოცულობენ შატილიონი ხევსურები და ქისტები.

ბოლო ხანებში ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემა ნათელს ჰფენს ანატორის ჯვარში „რჯულიანისა" და „ურჯულოს" მიერ აღვლენილ კულტმსახურებას: სალოცავს ერთნაირი ადათებითა და წესებით ემსახურებოდა ხევსური და ქისტი მლოცველი:

„ანტორის ჯვარ რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი ას. იქ ქისტებიც მავიდიან. ჩემს ბავშვობაში ანატორის ჯვარჩი მადიოდ ქისტ ხუცესი. ბახაგა ექვივნა, სახანოელ იყვ და მთის იქითა ქისტეთიდან მადიოდის. ბახაგა სანთლით, საკლავითა და ბაჩაყურეებით ჯვარს ადიდებდის. შემდეგ ქისტებ მოხარშულ ხორცსა და ბაჩაყურებს ხალხს ჩამაურიგებდეს. ჯვარს გაადიდიან. ბალღებს გვიხაროდის ქისტების მასვლა ჯვარჩი. ბახაგა ასე იხუცებდის: „ – ნაქორინწა წეიმ ბარა!" – გწყალობდასთ ანატორის ჯვარივ.

ანატორის გაღმ მთის წვერს ანატორის კუჭს ეუძხთ. იქ ეკალდამა ყოფილ, რომელშიც ინახების ოქროს ფანდური, ოქროს ლარებიანი. ეკალდამაზე ჯდებოდის მტრედ. – ანატორის ჯვარიავ – ამბობდნენ. მხოლოდ ქისტ ბახაგა ადიოდის იქ. ვერც შატილიენები ასულან, ვერც მთავრობის ხალხ. კახებიც ვერ ავიდიან წრიაპით. ჯვარ არ უშვებს. ბახაგა ავიდის მარტუაი ეკალდამათას და ის მტრედ მხარზე შეაფრინდებოდის ბახაგას, კლდეთას ავლებდა. დიდ მოწმინდარ კაც იყვის. ბახაგას მტრედ მიჰყოლებავ ქისტეთში ჯვრის დროშით და იქაც ხუცობდის: – „ბისბილაპი რაჰმანი, ნაქორინწა წეიმ ბარა..."

– ანატორის ჯვარიავ, – უუბნებოდის მტრედზე ქისტებს და ისინიც ილოცვიდიან.

ქისტებ ხევსურ ხუცესებსაც ავლებდიან ქისტეთჩი და ახუცვინებდიან, დაალოცვიან. ჩემ პაპა გიგიაიც ხუცეს იყვ, შატილიონ. მიჰყავდათ ქისტებს და მათ ბანებზე ხუცობდის".(მთხრობელი ჩორეხ აბაის ასული ჭინჭარაული, 77 წლის, ს.შატილი. ჩამწერი ხვთისო მამისიმედიშვილი. 1995 წლის 1 დეკემბერი, შატილი.)

გადმოცემის მიხედვით, ქისტები ისევე როგორც ხევსურები, ჯვარში სანთლით, საკლავითა და ქადებით მიდიოდნენ. ქისტური ბაჩაყურა არის იგივე სარიტუალო ქადა. ამ ამბის მომსწრე მთხრობელი თითქმის ვერ ამჩნევს რელიგიურ განსხვავებას („რჯულიანი" თუ „ურჯულო") ჯვარხატის ქისტი და ხევსური ხუცესის მიერ აღვლენილ კულტმსახურებაში. ორივეს უწოდებს რელიგიური მსახურის აღმნიშვნელ ხევსურეთში დამკვიდრებულ ტერმინს – „ხუცესს". როგორც სხვა ჯვარ-ხატები, სიწმინდე ხევსურ ხუცესებს მტრედის სახით დაჰყვებიან, ასევე ქისტ ბახაგა სახონელს მტრედი აჯდება მხარზე. როგორც ჩანს, ქისტებსა და ხევსურებს თითქმის ერთნაირი კულტმსახურება ჰქონიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანატორის კუჭის მიუვალ წვერზე მდებარე აკლდამაში, თქმულების თანახმად, ინახება ოქროს ფანდური. ასევე ხახმატის ჯვრის სახელზე აგებულ ერთ-ერთ კოშკში, მითოლოგიური გადმოცემის მიხედვით, დევს ოქროს ფანდური: „საკვევხურ ყოფილ, საამაყოი ხახმატს ოქროს ფანდურ ქაჯავეთ მატანილ". (მთხრობელი შალვა ქითელაური, 45 წლის, სოფ.ბისო. ჩამწერი იგივე 1995 წლის 23 აპრილი. ბისო.) საგულისხმოა, რომ რჯულიან-ურჯულოთ სახელზე არსებულ ორივე ჯვარ-ხატს ერთნაირი განძი ჰქონია.

ხევსურეთის სასაზღვრო ცოხე-ქალაქ მუცოში XX საუკუნის 50-იან წლებამდე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ხევსური დაიაურები, შეთეკაურები და ქისტი ბორჩაშვილები. ისინი ლოცულობდნენ მუცოს მთავარანგელოზის ჯვარში. იმის გამო, რომ მუცოს ჯვრის მფარველობის ქვეშ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხი იყო გაერთიანებული, ხუცესი მას რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად მოიხსენიებს: „შენამც იდიდები თავადო მთავარანგელოზო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც ხახმატისა და ანატორის, ასევე მუცოს მთავარანგელოზის ჯვარიც ოდითგანვე, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ვეინახებსა და ქართველებს (ხევსურებს) ერთნაირი რჯული და სარწმუნოება ჰქონდათ, იყო მათი საერთო სალოცავი. ხოლო მას შემდეგ, რაც ვეინახებმა მაჰმადიანობა მიიღეს და რჯული შეიცვალეს („ურჯულონი" გახდნენ), ჯვარმა მიიღო სახელწოდება „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი" და ხუცესიც ამგვარად მოიხსენიებს სღვთისმსახურო წარმოსათქმელში.

ქისტი ეროვნების დაადეი ფასკოშას ძე ბორჩაშვილისგან ჩავიწერეთ ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი თორღვა ძაგანის ციკლის ლექსები. იგი XX საუკუნის 20-30-იან წლებში სხვა ქისტებთან (ბორჩაშვილები) ერთად მუცოში ცხოვრობდა. მთხრობელმა აღნიშნა, რომ „თორღვას დროს რჯული არ იყო, ქრისტიანი და მაჰმადიანი არ განირჩეოდა, მხოლოდ სხვადასხვა ენა გვქონდა ქისტებსა და ხევსურებსო". (მთხრობელი დაადეი ბორჩაშვილი ფასკოშას ძე, 80 წლის, სოფ.დუისი. ჩამწერი იგივე. 1995 წლის 7 ივლისი, დუისი.) ქისტი მთხრობელის ნათქვამი, „რჯული არ იყო", გულისხმობს იმას, რომ ქისტებისა და ხევსურების სარწმუნოება ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა, ორივე ხალხი იყო ქრისტიანი. მაგრამ მოგვიანებით, იმის გამო, რომ გარჩეულიყო მაჰმადიანი ქრისტიანისგან, დამკვიდრდა ტერმინები: „რჯულიანი" და „ურჯულო".

ზოგიერთი ხალხური წარმოდგენით, ჯვარ-ხატის მოხსენიება „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად" მიუთითებს მის სიძლიერესა და საყოველთაო მნიშვნელობაზე. ამიტომაც ასეთ ჯვარ-ხატს იმდენად დიდი ძალა შესწევს, რომ შეუძლია ნებისმიერი („რჯულიანი და ურჯულო") რჯულის ხალხის მფარველობა.

**ხვთისო მამისიმედიშვილი**



გიორგი ბოსლოვნის ჭვარის ხუცესები ბესო ქეთელაური და აპარეკა ალუდაური.

ხახმატი. 1990 წ.
ტ. მახაურის ფოტო

ჩეჩნეთი

# ჩეჩნეთს კვლავ „პოლიტიკური ბურუსი" ფარავს

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკებების მთავარი სირთულე მაინც ჩეჩნეთის მხარის მოთხოვნაა — განიხილონ პოლიტიკური და არა ცეცხლის შეწყვეტის საკითხი. ფედერალური ცენტრი, მხოლოდ მაშინ ჩაებმება პოლიტიკურ პრობლემატიკის განხილვაში, როცა ჩეჩნეთი შეასრულებს მოსკოვის 28 მაისის შეთანხმების მოთხოვნებს.

ამასთან, მოლაპარაკების სირთულის მიუხედავად, ზოგიერთი პოზიტიური შედეგი მაინც სახეზეა. კერძოდ: მხარეები შეთანხმდნენ, რომ 9 ივნისს გაათავისუფლებენ 27 რუს და 20 ჩეჩენ სამხედროს. გარდა ამისა, დაზუსტდა სომარი მოქმედებების შეწყვეტასთან დაკავშირებული რამდენიმე დეტალი.

მოლაპარაკებები ნაზრანში ხვალ განახლდება.

თავად ჩეჩნეთში კი ოპერატიული ვითარება კვლავ დაძაბულია. ჩეჩენი მებრძოლები აგრძელებენ აქტიურ ბრძოლას ფედერალური ძალების წინააღმდეგ. გასულ დღე-ღამეში, თავდასხმების შედეგად, დაიღუპა სამი რუსი სამხედრო მოსამსახურე. ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე ნაღმზე აფეთქდა აგრეთვე შინაგანი ძალების ჯავშანტრანსპორტიორი, რის შედეგადაც ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. გროზნოში კი, საკუთარ სახლში, თავს დაესხნენ ჩეჩნეთის ოფიციალური სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელს. იგი მსუბუქადაა დაჭრილი. სამაგიეროდ, სროლებისას მძიმედ დაიჭრა მისი მეზობელი, რომელიც ერთი სართულით ქვევით ცხოვრობდა.

გუშინვე გროზნოში ჩავიდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ლობოვი. ჩასვლისთანავე გაკეთებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ იანდარბიევის მომხრეებთან მოლაპარაკებების მწარმოებელი დელეგაცია მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საქმეს და არ აწარმოოს ორმაგი თამაში. მისივე თქმით, თუკი იანდარბიევი ამტკიცებს, რომ შეუძლია ჩეჩნეთში სიტუაციის გაკონტროლება და პირველი ივნისიდან უარი თქვა საომარ მოქმედებებზე და დივერსიულ აქტებზე, მაშინ მანვე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ თარიღის შემდეგ მომხდარ დარღვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იანდარბიევმა უნდა აღიაროს, რომ ვერ აკონტროლებს სიტუაციას ამ რეგიონში.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენელმა, გენერალ-ლეიტენანტმა ანდრეი ივანოვმა კი განაცხადა, რომ კრემლში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმებით სარგებლობენ ჩეჩენი მებრძოლები და თავიანთი ბრძოლისუნარიანობის აღდგენაზე მუშაობენ. ივანოვის თქმით, ინტენსიურად მიმდინარეობს ჩეჩენთა რიგების შევსება მოხალისეთა ხარჯზე, ხოლო მათ საბაზო ტერიტორიად ჩეჩნეთის სამხრეთი რჩება, ჩეჩენი მეომრები კარგად იყენებენ აგრეთვე ყოფილ სამხედრო ქალაქებსა და დოსააფის სტრუქტურებსაც. ინსტრუქტორების როლში კი ხშირად დაქირავებულები გვევლინებიან.

**ირა შაფათაძე**
**გივი სვანიძე**

ევროპა

ინგლისი

# პირველად ბრიტანეთში...

ინგლისმა და ირლანდიამ ყოფილ ამერიკელ სენატორს ჯორჯ მიჩელს შესთავაზეს, დაიკავოს თავმჯდომარის პოსტი ათ ივნისს ბელფასტში დაგეგმილ პირველ მრავალპარტიულ მოლაპარაკებებზე, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის შემდგომ მოწყობას შეეხება. ამასობაში კი, ლონდონში იმყოფება ირლანდიის პრეზიდენტი მერი რობინსონი. იგი ამ ქვეყნის პირველი მეთაურია, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩავიდა.



# „ცოფი" პოლიტიკოსებს არ უნდა „გადაედოთ"



ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი მელკოლმ რიფკინდი ევროპაში მოგზაურობს და ცდილობს, მხარდაჭერა მოიპოვოს ეგრეთ წოდებული „ძროხის კრიზისის" სწრაფი მოგვარების საქმეში. ესპანეთში, ეტყობა, მან ეს მოახერხა. როგორც ესპანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მატუტესმა განაცხადა, იგი მთლიანად იზიარებს ინგლისელი კოლეგის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ძროხების ცოფით დაავადების შედეგად აღმოცენებული პრობლემა უნდა გადაიჭრას მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნების კუთხით და არა პოლიტიკური ამბიციების მიხედვით.

გერმანია

# „შემცირებების პაკეტი"

გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ მიღებულ „შემცირებების პაკეტს" პროტესტს უცხადებს პოლიტიკური ოპოზიცია და პროფკავშირები. ოპოზიციური პარტიის (SPD) ლიდერმა ოსკარ ლაფონტენმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება გაზრდის უმუშევართა რიცხვს. ლაფონტენი მიიჩნევს, რომ უმუშევრობასთან ბრძოლაში უნდა გაერთიანდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რადგან ეს პრობლემა მათი საერთო საზრუნავია. იგი მომხრეა ერთიანი ფულადი სისტემისა ამ კავშირის შიგნით და მიიჩნევს, რომ ახლა გერმანიისა და სხვა ქვეყნების მთავარი ამოცანა უნდა იყოს საერთო ვალუტის შემოღებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების დაცვისთვის ზრუნვა. თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიზნების მიღწევა, SPD-ს თავმჯდომარე შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა: უნდა შემცირდეს აუცილებელი სამუშაო დრო, უნდა შემოიღონ სამუშაო დროის განაწილების უფრო მოქნილი სისტემა (მაგ.მოსამსახურეებს უნდა შეეძლოთ მუშაობა, როდესაც სურთ და როცა უნდათ, მაშინ იმუშაონ, უნდა შეიცვალოს საგადასახადო კანონი და ა.შ.). საბოლოო ჯამში, ლაფონტენი მოითხოვს შრომის პოლიტიკის ინოვაციას და მოსამსახურეებისა და მუშებისთვის საწარმოების მოგებაში წილის დაკანონებას. ლაფონტენი ფიქრობს, რომ თუკი მმართველმა კოალიციამ იგივე პოლიტიკა გააგრძელა, იგი საუკეთესო ნიადაგს შეუქმნის ოპოზიციას 1998 წლის არჩევნებში გამარჯვებისთვის.

ამასობაში ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების ქუჩებში ათასობით მუშა გამოვიდა მთავრობის „შემცირებების პაკეტის" მიმართ პროტესტის ნიშნად. საპროტესტო აქციათა ორგანიზაციას კი საკმაოდ ძლიერი, ათმილიონიანი პროფკავშირი ხელმძღვანელობს.



# მწვერვალ მაკ-კინლიზე ასვლის ალპინისტური სეზონი ქართველმა მთამსვლელებმა გახსნეს

პირველი გვერდიდან

წელს, უსახსრობის გამო უკვე ორ საერთაშორისო ექსპედიციაზე (მწვერვალი აკონ კაგუა, ანდებში და მწვერვალი ანაპურნა, ჰიმალაებში) მომიხდა უარის თქმა. ამიტომ სასიხარულო იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სარდლობის გადაწყვეტილება, დამხმარებოდნენ ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაში. სასაზღვრო დეპარტამენტის გარდა, ჩემი სპონსორები იყვნენ: ფირმა: „ინუმშენი", „საქტელკომი", სტუდია „არსი". ექსპედიციას ეხმარებოდა „თბილკრედიტბანკი".

მწვერვალი მაკ-კინლი დენალის ეროვნულ პარკში მდებარეობს. როგორც აღმოჩნდა, ამ წლის იანვარში ამერიკის მთავრობას ახალი კანონი მიუღია — მწვერვალზე ასვლის მსურველმა 60 დღით ადრე უნდა გააკეთოს განაცხადი და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ეროვნულ პარკში (ნაკრძალში) შესვლის უფლება.

ძირითადი სიძნელეები (ფულის შოვნა, ვიზების გაკეთება, საბაჟოებთან, საემიგრაციო სამსახურთან და სხვ. ურთიერთობა და ა. შ.) უკან მოტოვებული გვეგონა. ჩავფრინდით ქ. ანკორიჯში, იქიდან დაბა ტალკეტნაში. მყინვარამდე სულ ცოტაღა რჩებოდა და მაღლე მთისთვის ჩვეულებრივი პრობლემების გადაწყვეტა მოგვიწევდა, ჩვეულ გარემოში. მაგრამ ამერიკა თავისი დემოკრატიული კანონებით, ბიუროკრატიული მანქანით ჩვენი მაკ-კინლიზე ასვლის წინააღმდეგი იყო.

ტალკეტნა ერთი პატარა, მიყრუებელი სოფელია, გზის ჩიხი, სადაც არის პატარა აეროპორტი, ფოსტა, კაფე-ბარები, სასტუმრო და რეინჯერების (სამთო პოლიციელების) ცენტრი.

მდაა! ბევრჯერ გაგვჭირვებია მთისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ასე არასოდეს! 90% და შეიძლება მეტიც, ექსპედიცია ჩაშლილია. ანკორიჯიდანვე დავუკავშირდი ჩემს ამერიკელ მეგობრებს, რომლებიც ხანთეგრიზე არბენისას გავიცანი 1993 წელს — ალექს ლოუასა და კონრად ანკერს. დავურეკე, აგრეთვე, ფრის მაიერს ერთ-ერთი სოლიდური ტურისტული ფირმის წარმომადგენელს — მისი კლიენტები 1994 წ. ჩინეთში მუსტაკატაზე ავიყვანე. წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდებით. ახლა მხოლოდ ამ ადამიანების დახმარების იმედი მაქვს. თუმცა ყველა, ვინც ჩვენს პრობლემას იცნობს — ჩვენი მასპინძელი, სამთო პოლიციელები და ა. შ. ჩვენს შანსს ნულის ტოლად თვლიან.

კონრადი და ალექსი აქ ნომერ პირველ მთასვლელებად არიან აღიარებულნი. ყველას უკვირს, მათ სახელს რომ ვახსენებთ. მოდის ალექსის ფაქსი, ფრიდა რეკავს, ფაქსსაც აგზავნის. სამი დღის განმავლობაში ვამტკიცებთ, რომ ჩვენ შემთხვევითი ხალხი კი არა, გამოცდილი, კვალიფიციური მთასვლელები ვართ, რომ ახალ კანონს ჩვენამდე არ მოუღწევია, ჩვენი უკან დაბრუნება, ან როგორც თვითონ გვირჩევდნენ, კანადაში გადასვლა და ასვლების იქ გაკეთება უამრავ დაუძლეველ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი...

რეინჯერები ისევ გვაფრთხილებენ, კანონს ვერ დავარღვევთო. მათი უფროსი ჯედი სვიდი ადგილზე არ არის, რომ ალექსის ფაქსი წაიკითხოს. გვინდა თვალებში ჩავხედოთ ჯედის — ჩვენი გამოცდილების ხალხისთვის ძნელი არ უნდა იყოს მისი შებმა.

რეინჯერები საჭურველს გვიმონმებენ — ჯედი სვიდი გამოჩნდა და იქნებ გაგიშვათო. — შენც არ მომიკვდე! სიფათზე ეტყობა, შანსი არ არის. ზუსტად საათნახევარი ვილაპარაკეთ, უფრო სწორად, ბენო ელეპარაკებოდა, მე წრეზე დავდიოდი და მუშტს ხან მკერდში ვიბრაგუნებდი და ხან თავში, ლოვა კი გაფუჭებული პატეფონივით „პელპმი", „პელპმი"! იძახოდა და საწყალი თვალებით ხან ერთ რეინჯერს მიადგებოდა, ხან მეორეს. ის კი მაინც „ნოუს" იძახდა. უკვე რამდენჯერმე გავიფიქრე თბილისში ასე განაწებული დაბრუნება ჯობდა თუ რეინჯერის ცემისთვის ციხეში ჯდომა.

ჩვენი მომხრეების რიცხვი თანდათან გაიზარდა. ოფისში ვიღაც ალპინისტი —პილოტი შემოვიდა — ბაკი, ფრისის და ალექსის რეკომენდაციები წაიკითხა. გაგიჟდა, ამათ საიდან იცნობთ, ვინა ხართო. მერე ნაციონალური ბანაკის უფროსთან დარეკა, მერე კიდევ ვიღაცამ დარეკა და სადღაც, რომელიღაც ზარზე (თუ ყველაზე ძლიერად) მოლბა ჯედი სვიდის გული და ბოლოს ბაკმა დაგვიძახა „ოლ რაიტო", ბენო კედელთან ჩაჯდა და მგონი აქვითინდა კიდეც. მე თვითმფრინავის ფრთას ჩამოვეკიდე და ძლივს ჩამომხსნეს... მაშინვე რეინჯეროფისში გავქანდით. იქ კიდევ გვაყოვნებდნენ — ხვალ გამოიარეთო. არა! ებლავი და საათს ცხვირწინ ვუტრიალებ მომსახურე ქალს. 6-სს 10 წთ. უკლია. ჯერ სამუშაო დღე არ დამთავრებულა! ვიხდით ფულს, ვიღებთ პერმიტს, (მთაზე ასვლის ნებართვა), რეინჯერი უკვე ქუჩაში დავიჭირეთ, ველოსიპედიდან ჩამოვხსვით და ხელი მოვაწერინეთ. ესეც ასე!



მერე დღეს, დილაადრიან მივფრინავთ პატარა თვითმფრინავით — მაკ-კინლის საბაზო ბანაკისკენ, მყინვარ კახილტანაზე. თვითმფრინავში მფრინავის გარდა, კიდევ სამი კაცი, ჩვენი ბარგით ძლივს ვეტევებით. უკან რჩება უღრანი ტყეები, მცირდება მცენარეული საფარი. ბოლოს მყინვარები, უსასრულო თეთრი სივრცე. ალიასკა — ბავშვობისდროინდელი საოცნებო, ჯეკ ლონდონისეული სამყარო. სადღაც ამ მყინვარებზე ხეტიალობდა 1906 წელს თვითმარქვია ავანტიურისტის ფრედერიკ კუკის ექსპედიცია, რომლის განაცხადმა მწვერვალი მაკ-კინლიზე ასვლის შესახებ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთი, წლის შემდეგ ექსპედიციის ერთმა წევრმა, რომელსაც ეტყობა მიღებული ჰონორარი ეცოტავა, უარყო მწვერვალზე ყოფნის ფაქტი, მას მხარი დაუჭირეს ექსპედიციის მონაწილე ინდიელებმაც. მსგავსი სკანდალი არ ახსოვს გეოგრაფიულ საზოგადოებას. კუკი ყალთაბანდობისთვის ციხეში ჩასვეს.

მაკ-კინლის პირველდამპყრობად აღიარებულია სტოკის ექსპედიცია. მას შემდეგ მწვერვალი ყველა მთასვლელისთვის საოცნებო გახდა. ახლა აქ წელიწადში 3000 კაცი ჩამოდის. მათგან მხოლოდ რამდენიმე ასეული აღწევს მწვერვალს. 1989 წლიდან აქ 54 კაცია დაღუპული, ყოველ წელიწადს უამრავი შემთხვევაა კიდურების მძიმე მოყინულობისა. სწორედ აქ დაიკარგა უკვალოდ ცნობილი იაპონელი მოგზაური და სპორტსმენი ნოემი უემურა.

საბაზო ბანაკში ბევრი ხალხი დაგვხვდა. უმეტესობას უკვე ვიცნობდით, იცოდნენ ჩვენი პრობლემების ამბავიც. ბანაკში რამდენიმე წუთს გავჩერდით. ჩვენმა ავიაკომპანიამ ტვირთვის სატარებლად ციგები მოგვცა. ავიკიდეთ ბარგი და დავიწყეთ დაშვება მყინვარული პლატოსკენ, საიდანაც, შემდეგ, რამდენიმე დღე, შეიძლება კვირაც უნდა გვევლო ზემოთ, მწვერვალისკენ.

პირველი ბანაკი 2400 მ-ზე დავდგით. ჩვენს მახლობლად ბელგიელები, იაპონელები და ამერიკელები იდგნენ. ბევრს მუშაობდნენ. დიდი ხერხებით თოვლს კუბიკებად ჭრიდნენ და ქარისგან თავდასაცავ კედლებს აშენებდნენ, ბარგიც ბევრი ჰქონდათ.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს მიერ ატეხილი ამბის მეგობრების მიერ გაწეული რეკომენდაციების და რეკლამის შემდეგ, უფლება არ გვქონდა. პირველ ბანაკში დავტოვეთ პროდუქტის და ბარგის დიდი ნაწილი და შემსუბუქებულები გავუდექით მეორე დილას გზას. უჩვეულოა ზურგჩანთებთან ერთად ციგების თრევა, დილაობით საშინელი ყინვა და ქარია. ძალიან გვიშლიდა ხელს ჩაბმის თოკი, მაგრამ ზოგჯერ ისეთ უძირო ნაპრალებს გადავდიოდით, რომ თოკის ჩახსნის სურვილი არ გაგვჩენია. ასე ნელ-ნელა მივიწევდით ზემოთ. გზაში ჩამოვიტოვეთ ინგლისელები, კორეელები, იაპონელები. მესამე ბანაკშიც — 4200 მ-ს სიმაღლეზე, უკვე ბევრ ხალხს მოეყარა თავი, ზოგიერთისთვის უკვე მესამე კვირა გადიოდა მარშრუტზე, ზემოთ, 500 მ-მდე მხოლოდ გერმანელები იყვნენ ნამყოფი, მათაც ღამე არ ჰქონდათ გათეული.

მეოთხე დღე — მეოთხე, ბანაკისკენ. ასაღებია 800 მ, ყინულის გრძელი ფერდობით, ბოლოში კედლებით, ბერგშრუნდებით. 5 საათში უნაგირზე ვართ და საკარვე მოედანს ვასწორებთ, კედელს ვაშენებთ. მოგვიანებით ამოდი ან ფრანგებისა და ახალზელანდიელების წყვილები. ცოტა ზემოთ მიდიან, პროდუქტს ტოვებენ და ისევ ქვევით ეშვებიან. ჩვენ უკვე შემოგვაკლდა პროდუქტი. იქვე კლდეებში შარშანდელ „ზაბროსკას" მივაგენი. ბენომ პროდუქტები გადაარჩია, ლოვამ ბენზინი. ახლა უკვე მშვიდად შეგვიძლია საიერიშო ბანაკში დაველოდოთ ამინდს.

მეორე დილას ისეთი წყნარი ამინდია, დიდ დილომში, რომ მომენატრება. 200 მ-ით ზემოთ ვიწევით, კლდოვან და თოვლიან ქედებზე წონასწორობის დაცვა გვიწევს, ისევ ქარი, უსიამოვნო, მოულოდნელი დარტყმები. უკვე იგრძნობა სიმაღლე. 5200 მ. კავკასიონისთვის არ არის დიდი სიმაღლე, მით უმეტეს, წამოსვლისას მყინვარწვერზე, ზედ მწვერვალზე (5047მ.) გავათიეთ ღამე, მაგრამ მაკ-კინლი პოლარული წრიდან სულ რაღაც 3 გრადუსით არის სამხრეთით. სიცივე, წნევა, ჰაერის შემადგენლობა, ხანგრძლივი ნერვული და ფიზიკური დაძაბულობა — ყველაფერი ერთად იყრის თავს.

საიერიშო ბანაკში (5200მ) მარტო ჩვენ ვართ, მწვერვალამდე სულ რაღაც 100 მ რჩება, და თუ ხვალ ამინდმა და საკუთარმა ორგანიზმმა არ გვილალატა, 1996 წლის ალპინისტურ სეზონს ჩვენ გავხსნით. მაგრამ საღამოს გამოჩნდა ჯერ ინგლისელების წყვილი, მერე ახალზელანდიელები და ბოლოს ფრანგები. ეტყობა, ძალიან განიცდიან პირველობის შანსის დაკარგვას. ლოვა გვამშვიდებს, ეგენი ხვალ ადგომას ვერ მოახერხებენო!

დილის 4 სთ-ზე ვიღვიძებთ, ისევ ბნელა, კარავში 10 გრადუსია, ჩვენც თოვლით ვართ დაფარული. დიდი დრო მიაქვს ჩაისთვის თოვლის დნობას, ჭამას. მერე რაც კი გაგვაჩნია, ყველაფერს ზედ ვიცვამთ, ძნელია, პირველი გამოძრომა საძილედან და მერე კარვიდან. ბოლოს ვიცვამთ წრიაპებს და რვის ნახევრისთვის ვებმებით თოკში. ვიწყებთ დიდი ფერდის ტრავერსს ზემოთ, ქედისკენ. მალე ორი წყვილი დაადგა ჩვენს კვალს. სწრაფად მოდიან. ბენოს თითქმის ოთხი წელია, სერიოზული მარშრუტი არ გაუკეთებია და ამიტომ ცოტა ძნელია მაღალი ტემპის შენარჩუნება. ქედზე გასვლისას ვისვენებთ. ამასობაში ერთი ახალზელანდიელი გვეწევა, ღიმილით გვესალმება და მშვიდად აგრძელებს ქედზე სვლას. სიბრაზისგან თვალები, დაგვიბნელდა. ლოვა გადაწყვეტილებას იღებს: „ბიძინჩიკ, ჩაიხსენი თოკი და წადი! მოგკლავ თუ პირველი არ იქნები". სანამ ჩქარი სიარულისთვის ზედმეტი ტანსაცმელი გავიხადე, თერმოსიდან ჩაი დავლიე, მოვემზადე, 20 წუთი გავიდა. ახალზელანდიელმა უკვე კარგი სიმაღლე აიღო. გამახსენდა ძველი დრო.

მწვერვალამდე ვერტიკალში 800მ. დარჩა. ეს დაახლოებით სამი საათის დაძაბულ შრომას ნიშნავს. ვნახოთ, თუ გამიძლებს ზელანდიელი. ვცდილობ, არ შემამჩნიოს, არ შეინარჩუნოს დისტანცია. მშვიდად მიდის, ისევ უნაგირზე ვგონივართ. ნახევარი საათის შემდეგ თხემიდან ვხედავ, დგას, ისვენებს —ე.ი. ჩემია, ველარსად წამივა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯს ვიგებ, ჩემი ნაბიჯი ისედაც გრძელია, ნაკვალევზე ვატყობ. შემამჩნია, ფეხს აუჩქარა. — ახლა კი მიჰქარავ, ძმაო! ეგრე დიდხანს ვერ გაძლებ! მალე უკვე ქუსლებში ვაბიჯებ ფეხებს. ამას მეც ვერ ვუძლებ ხოლმე. გამოსავალი გზის დათმობაა, თორემ ველარ აკონტროლებ სუნთქვას, ტემპს, სხეულის ტემპერატურას. გვესმის ერთმანეთის ხმამაღალი სუნთქვა. კიდევ ნახევარ საათს მიძალიანდება, მერე დგება. ღრმად სუნთქავს. თვალები გაფართოვებია, მაგრამ ფერი კარგი აქვს, არა უშავს. ალიასკაზე ყოველთვის უყვართ შეჯიბრი! დაბნეული მიღიმის. ერთხანს ჩუმად ვდგავართ. — ძალიან ჩქარა დადიხარო, მეუბნება. მეც უკან ვუბრუნებ კომპლიმენტს და ვთხოვ, თუ შეიძლება წინ წავალ — მეთქი. ზრდილობიანად მითმობს გზას (სხვა რა გზა აქვს). ჩვენს შორის მანძილს ვზრდი და უკვე მშვიდად მივდივარ. მარშრუტი ჯერჯერობით არ არის რთული, ფართო ქედებზე გადის.

მწვერვალის ბოლო ქედზე გასვლამდე მრჩება კიდევ ერთი გრძელი პლატო და მერე ვერტიკალი 250 მ. ყინულის ფერდი. ახალზელანდიელი სწრაფად ამცირებს ჩვენს შორის მანძილს. ყველაფერი გასაგებია. რამდენიმე წუთს იჯდა. ეტყობა შეჭამა, დალია. მეც ვჭამ ბოლო ნატეხ გაყინულ „სნიკერსს". ისევ გრძელდება შეჯიბრი, მაგრამ დიდხანს არა — ფერდის შუაში ეტყობა ხელი ჩაიქნია და ჩაჯდა. უკვე მწვერვალზე ველოდები, ხურსათს ვულებ და ვულოცავთ ერთმანეთს.

დაშვებისას პლატოზე ლოვას და ბენოს ვხვდები, ლოვას წინ ვუშვებთ და მე ბენოს მივყვები ზემოთ, საათნახევარში სამივენი ისევ მწვერვალზე ვართ.

ვეშვებით 5200მ-ზე, მეორე დღეს უკვე საბაზოსკენ. გზაში უამრავი ნაცნობ-უცნობი გვხვდება, გვილოცავენ, გვთავაზობენ ცხელ წვენებს, საჭმელს. ჩვენ დარჩენილი ვისკით ვუმასპინძლდებით და ნაჩქარევად ვასწავლით ქართულ სადღეგრძელოებს.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქ სიეტლში ფრის მაიერის სტუმრები ვართ. მწვერვალზე ასვლის წინ დამირეკა ფრისმა და იოსემიტში ცნობილ ელ-კაპიტანზე მიმიწვია. მომხიბლავი წინადადებაა! მეუბნება, ჩემს მანქანას გათხოვებ და წადიო. ელ-კაპიტანი — მსოფლიოს ყველა ალპინისტისთვის საოცნებო მთა! არ მეგონა, ოდესმე ასე რეალური თუ გახდებოდა ამ ოცნების ასრულება. მაგრამ... ფრისისთვის ძნელი ასახსნელია ჩემი უარი. არ მინდა ვუთხრა, რომ ეს დიდ ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული — ისედაც შევაწუხეთ ჩვენი პრობლემებით... ვბრუნდებით! ვტოვებთ დაპყრობილ მაკ-კინლის და დაუპყრობელ ელ-კაპიტანს, რომელთანაც ასე ახლოს ვიყავით.

**ბიძინა ბუჯაბიძე**

ანკორიჯი, სიეტლი, თბილისი
1996წ.

იქ, უცხოეთში

# სხეული როგორც ხელოვნება

დრო იცვლება, იცვლება კულტურა და მოდა. ადამიანებიც. თუმცა, პირველ რიგში, იცვლება მოდა, რომელიც ადამიანის ცხოვრებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული და გაცილებით მრავლისმეტყველი და რთულია, ვიდრე ქვედაკაბის ანდა ქურთუკის შეკერილობა. მოდა თავის ასახვას ადამიანის შინაგან სამყაროში პოულობს.

დღეს უცხოეთში განსაკუთრებული კულტურა ყალიბდება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სულიერ განახლებასთან და სახელწოდებაც „New age" მიიღო, რაც „ახალ ერას" ნიშნავს. „ნიუ-ეიჯი" გახლავთ ახალი მუსიკა, ახალი ხელოვნება, რომელიც, თითქოსდა, კულტურის სათავეებთან გვაბრუნებს.

ახალი ერა — ეს გახლავთ ახალი მხატვრული კონცეფციებიც. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას — ტატუირებას და პიერსინგს — ზუსტად გამოხატული ეთნიკური ხასიათი აქვს. პიერსინგი წარმოსდგება ინგლისური ზმნიდან „to pierce" — „ჩხვლეტა" — ეს გახლავთ სხეულისა და სახის ყველაზე „მოულოდნელი" ნაწილის სამშვენისი. იგი ძალზე გავრცელებულია ამერიკასა და ევროპაში. ტატუირება კი განსაკუთრებული თემაა.

ჩვეულებისამებრ, სვირინგს ყველა ციხეს უკავშირებს და მართლაც, როგორც წესი, ზუსტად იქიდან მოდიოდა სხეულის მხატვრული დამუშავება, რაც მიზეზი გახდა საზოგადოების მისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა. უცნაური სვირინგები ყოველთვის იყო აუცილებელი ატრიბუტი მეზღვაურებისთვის. მეზღვაურთა სვირინგები რაღაც განსაკუთრებული სიმბოლოა და, პრაქტიკულად, ტატუირების ახალ ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა, შეიძლება არანაკლებ დახვეწილი იყოს, ვიდრე ფუნჯის დიდი ოსტატების შედევრები.

ამერიკაში და ევროპაში ტატუს — ასე ეძახიან ტატუირებას, მოდის ინგლისური სიტყვიდან tattoo - თანამედროვე ხელოვნებამ ფართო გავრცელება ჰპოვა როკ-ბილის მუსიკალური სტილის წყალობით: ახალი ტატუს მაგალითად შეიძლება გამოდგეს როკ-ნ-როლის ვარსკვლავები, ასევე ბაიკერები — მოტოციკლისტები, რომლებიც მუდამ საოცარი სვირინგების სიმრავლით გამოირჩევიან. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ზუსტად ბაიკერები იყვნენ ტატუ კულტურის ფუძის ჩამყრელნი. მაგრამ ისტორია მოწმობს, რომ ყველა დროში, მსოფლიოს ყველა კუთხეში სხვადასხვა მიზნით „ატარებდნენ" ტატუირებულ ნახატებს.

ბევრისთვის ცნობილია იაპონური სვირინგები. იგი იაკუძების კულტურასთან და ორთაბრძოლების ძველ სკოლებთანაა დაკავშირებული.

ბევრი ხალხისთვის სვირინგი მისტიკურ აზრს ატარებდა, თითქოს იგი მათ ღმერთთან აახლოებდა და განუყოფელი ნაწილი იყო სულიერი სრულყოფილებისა. გარდა ამისა, საზოგადოების მაღალი წოდებისთვის სვირინგების განსხვავებული ნიშნები არსებობდა. ტატუირება ძალზე გავრცელებულია კუნძულებზე. ზუსტად აქედან შევიდა ინგლისურში სიტყვა tattoo. პოლინეზია, ახალი ზელანდია, სამოა, მაორი - მათ საკუთარი განუმეორებელი სტილი აქვთ და ეს სტილი მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვე ტატუ-კულტურაში.



მიუხედავად აზროვნების სკეპტიციზმისა და კონსერვატიზმისა, ტატუ და პიერსინგი ევროპასა და შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს; ახალი კულტურის მომხრეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან: ინჟინრები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები და, ცხადია, მუსიკოსები და მხატვრები. მათ ერთი რამ აერთიანებთ: ისინი სხეულით ატარებენ მარადიული კულტურის ნაწილაკს — ძველ, თანამედროვე ანდა მომავლის ხელოვნებას. ამ ადამიანებმა გადალახეს ცრურწმენა და არ შეუშინდნენ გამკიცხავ გამოხედვას.



ბევრ ქვეყანაში რეგულარულად ტარდება კონფერენციები და ყრილობები, სადაც იკრიბებიან მხატვრები და ტატუირების მოყვარულნი მთელი მსოფლიოდან. ამ ცოტა ხნის წინ ასეთი ფორუმი მოსკოვშიც ჩატარდა. ტატუს ისტორია იმდენად მრავალსახოვანია, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობს სვირინგის მუზეუმი.

ადამიანები ტატუირებასთან სხვადასხვა მიზეზებს მიჰყავს, ზოგისთვის ეს მოსართავია, სხვებისთვის თილისმა, ზოგისთვის კიდევ მსოფლგაგების სიმბოლო.

თილისმა — სვირინგი — ჩვეულებრივ ეს არის ძველი მისტიკური და ოკულტური, ასევე ზოდიაქოს ნიშნები, მაგრამ თავისი სვირინგის აზრს მუდამ განსაზღვრავს მისი მატარებელი. ზოგიერთი სხეულზე ნატიფი ხელოვნების ნამდვილ გამოფენას იწყობს. როგორც წესი, ნახატები უშეცდომოდ ლაპარაკობენ ადამიანის ხასიათსა და გატაცებებზე. იგი სულის თავისებური ანარეკლია. სვირინგების მიხედვით შეიძლება მისი მფლობელის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებზე ვილაპარაკოთ, მის სულიერ და ინტელექტუალურ ზრდაზე.

თანამედროვე ტატუირებას აქვს მრავალი მდგრადი სტილი. ყველაზე ეგზოტიკური, ცხადია, ეთნიკური ტატუირებაა. ინდიელთა სტილი, მაორი, კელტური, იაპონური — მასვე შეიძლება მივაკუთვნოთ ტრაიბლის (ტომბრივი) სტილი და პიერსინგი. იაპონურის გამოკლებით, ყველა ესენი გრაფიკულია, ამიტომაც სარგებლობს ახლა დიდი პოპულარობით შავ-თეთრი ტატუირება.

ტატუირების თანამედროვე სტილიდან შეიძლება გამოვყოთ მხატვრობის მიმართულებები: კუბიზმი, იმპრესიონიზმი, სიურეალიზმი. პოპულარულია ბაიკერების სვირინგი და მუსიკალური სიმბოლიკა, ასევე სტილი „ბიომექანიკა", რომელიც შვეიცარიელმა მხატვარმა გიგერმა შექმნა.

ცხადია, ყოველი ტატუ-მხატვარი თავისი მანერით მუშაობს. ყველას შეუძლია თავისი ტატუ-ნახატები შექმნას და ახალი სტილის ფუძემდებელი გახდეს. თუ თქვენ დაგცინებენ ანდა ალფრთოვანებით შემოგხედავენ, მაშასადამე თქვენ ახალი დროის ადამიანი ხართ — ნიუ-ეიჯმენი.

P.S. ამ მასალის წაკითხვის შემდეგ შეიძლება, ბევრმა თქვენგანმა იოცნებოს გასაშტერებელ ტატუ-ნახატებზე. მაგრამ ნუ იჩქარებთ, კარგად მოიფიქრეთ: ჯერ ერთი, სვირინგები მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეგრჩებათ ტანზე. მეორე, ცხადია, ახლობლები გაგიჟდებიან; არსებობს მესამე საფრთხეც, მერე იქნებ აღარ მოგეწონოთ თქვენი მოხატულობა...

თუ მაინც გადაწყვიტეთ, ღმერთმა დაგიფაროთ და თვითმოქმედება არ დაიწყოთ, თორემ აუცილებლად რაიმე ინფექციას გადაეყრებით. თუ მაინცდამაინც არ დაიშლით მოსვირინგებას, შუბლიდან ნუ დაიწყებთ; არ დაგავიწყდეთ, რომ შიგნით ტვინია, რომელსაც ჩვენს საუკუნეში ასეთი საქციელისთვის არ დააფასებენ.

მოამზადა

ია ჯლამაძემ


იცხოვრეთ ფეხბურთით ისიამოვნეთ ფეხბურთით
დალიეთ კოკა-კოლა

1. სერგო შუღაროვი
2. გია ბუაძე
3. მაია პეტრიაშვილი
4. ლელა შანიძე
5. ზაალ სამხარაძე
6. რეზო ვარდოსანიძე
7. კოტე კალანდაძე
8. მალხაზ ნოზაძე
9. დათო გუდუა
10. მარლენ სარიშვილი.

ინგლისი ელოდება ევრო-96—ის გამარჯვებულებს

კოკა-კოლას ლატარეის ათი გამარჯვებული მზადაა ინგლისში ევრო-96-ზე გასამგზავრებლად.

გამარჯვებულები ორი დღით გაემგზავრებიან ინგლისში, ისინი დაესწრებიან ინგლის-ჰოლანდიის მატჩს, რომელიც უემბლის სტადიონზე გაიმართება.

მოგზაურობის და ცხოვრების ხარჯებს გაიღებს კომპანია ,,კოკა-კოლა".

დანარჩენ იღბლიან ქართველებს წილად ხვდათ ქურთუკები, სპორტული ჩანთები და მაისურები, და თუ თქვენ არ გერგოთ საჩუქარი კოკა-კოლასგან, დაელოდეთ შემდეგ კამპანიას.

,,კოკა-კოლა" ეცდება, რომ კვლავ მრავალი ადამიანი ასიამოვნოს თავისი საუცხოო და სასიამოვნო სიურპრიზებით.


ეს საინტერესოა

# გამქრალი დაავადებები

პოლონურ ჟურნალში „პრობლემები" მედიცინის ისტორიკოსი ელჟბეტა პრომინსკა მოგვითხრობს დაავადებებზე, რომლებიც ძველად მძვინვარებდნენ, მაგრამ დღევანდელი ექიმებისთვის და, საბედნიეროდ, პაციენტებისთვის უცნობნი არიან.

ძველ ბერძენ ისტორიკოსს თუკიდიდეს აღწერილი აქვს „ათენის ჭირი". 431 წელს დაიწყო პელოპონესის ომი და გაურკვეველია, რით დამთავრდებოდა იგი, რომ არა ეპიდემია, რომელიც ათენს მოედო. მისი სიმპტომები იყო: მაღალი სიცხე, ძლიერი წყურვილი, გაწითლებული ყელი, წითელი გამონაყარი, ჩირქოვანი წყლულები კანზე. ეს ეპიდემია ერთი წლის განმავლობაში მძვინვარებდა და ათენის მოსახლეობის ერთი მესამედის სიცოცხლე შეიწირა. ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს ქუნთრუშა იყო. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ეს ყოფილიყო წითელა, გრიპი ან რამდენიმე სხვადასხვა დაავადების კომპლექსი.

კიდევ უფრო მეტი იდუმალებითაა მოცული „პერინთული ხველა", რომელსაც ჰიპოკრატე აღწერს. ეს დაავადება ზამთარში ჩნდებოდა. ხველას ახლდა ანგინა, პარალიჩი, სიბრმავეც კი. შესაძლოა, ეს დაავადება გამოწვეული ყოფილიყო ვიტამინების ნაკლებობით. ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის შემდეგ ეს დაავადება ცნობილი აღარ არის.

XV-XVI სს.-ში ევროპაში გავრცელდა დაავადება, რომელსაც ლათინური სახელი „სუდორ ანგლიკუს" შეარქვეს. იგი სწრაფად ვითარდებოდა და თან ახლდა მაღალი სიცხე, კრუნჩხვა, თავის და სახსრების ტკივილი, გულის აჩქარება, ცუდი პირისგემო და უსიამოვნო სუნი პირის ღრუში. მალე იწყებოდა ოფლდენა, ადამიანი იძინებდა და ხშირად ვეღარ იღვიძებდა. ამ სენით მხოლოდ შუახნის ხალხი ავადდებოდა. ცნობილია მისი ხუთი ეპიდემია. მერე კი ეს სენი აღარ დაფიქსირებულა.

თავისი „აყვავების ხანა" ფსიქიურ დაავადებებსაც აქვს. მაგალითად, ამჟამად ნამდვილი ისტერიის შემთხვევები იშვიათია, შუა საუკუნეებში კი ძალზე ხშირი იყო.

მოამზადა

რუსუდან ამირეჯიბმა

ძვირფასო თანამოქალაქენო! როგორც ცნობილია, გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის ქალთა საბჭომ, თქვენი თანადგომით, საინგილოს სკოლებისთვის შეაგროვა სასკოლო წიგნები და მხატვრული ლიტერატურა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მივიღეთ მადლობის წერილი კახის რაიონის სკოლებიდან. ვითვალისწინებთ რა საინგილოს სკოლების მოთხოვნას, ქალთა საბჭომ გადაწყვიტა, გააგრძელოს წიგნების შეგროვება ამ რეგიონის ბავშვებისთვის. ამიტომ, ისევ მოგმართავთ თხოვნით მოსახლეობას, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რათა გავაგრძელოთ მხატვრული ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სასწავლო ნივთების შეგროვება. შეგროვილი ნივთების ჩაბარება შეიძლება სათნოების სახლში, პირველ სართულზე (დავით აღმაშენებლის გამზირი 121, ,,კათარზისი"), ან ,,ქალთა საბჭოში" (კოსტავას ქუჩა 14, ჟურნალ ,,საქართველოს ქალის" რედაქცია).

საკონტაქტო ტელეფონებია: 95-16-14 (სათნოების სახლი), 99-79-90 (ქალთა საბჭო)

ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, შეუძლია გადმორიცხოს თანხა შემდეგ ანგარიშზე: სკბ (საქართველოს ბანკის მთაწმინდის განყოფილება), ა/ა №000700342, ,,რესპუბლიკის ქალთა საბჭო".

წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის.

რესპუბლიკის ქალთა
საბჭოს პრეზიდიუმი.


,,ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და ,,ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო ,,სამგორი".
ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00



## იყიდება

■ სამოთახიანი, გარემონტებული ბინა, ტელეფონით და 35 კვ.მ. მიმატებული ფართით. მესამე სართულზე, თემქის დასახლება. მე-5 სამშობიაროსთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-21-68.

■ სასწრაფოდ ერთოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქუჩაზე, საუკეთესო რემონტით, ჩაშენებული კარადებით, დიდი ლია აივნით, ტელეფონით, სარდაფით, წყლის გამაცხელებლით, 8 სართულიანი აგურის სახლის მე-8 სართულზე. ბინა თუნუქითაა გადახურული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-18-57.

■ სამოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა, ორიგინალური დიზაინით დიდ დიღომში. აქვს კაპიტალური საკუჭნაო და ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-08-40.

■ საცხოვრებლად მოწესრიგებული სამოთახიანი ბინა დიდ დიღომში. მისამართი: დიდი დიღომი, მესამე მ/რ-ნი, კორპუსი 11, პირველი სადარბაზო, ბინა 17. ნახვა ნებისმიერ დროს.

■ ოთხოთახიანი ბინა (საერთო ფართი 126 კვ.მ) ვაკეში, შატბერაშვილის ქ. № 4-ში, შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-06-11.

■ ვაკეში მშენებარე ოროთახიან ბინას, ვაკის პარკის წინ, 83 კვ.მ. ფართით, ბინა დამთავრების სტადიაშია, მე-4 სართულზე. ტელ.: 62-61-63, საღამოს საათებში, 95-48-62 — დილით. იკითხეთ ია.

■ მცხეთის რაიონის სოფელ ციხედიდის ულამაზეს ბუნებაში მშენებარე სახლი, ხეხილიანი ბაღით (1200 კვ.მ.), ეზოს წინ ნაკადული, ეზოში ჭა, ახლოს წყაროები. გაყვანილია შუქი. რკინიგზის სადგურიდან 20 წუთი ფეხით სავალი. მისამართი: ძეგვი №1. ფასი 5000 ლარი. ტელ.: 38-38-44, ვალიკო.

■ ვაკეში ოროთახიანი არასტანდარტული, იზოლირებული ბინა, სარდაფით ჭავჭავაძის პროსპექტი № 30-ში (პუშკინის გვერდით) პირველ სართულზე. ბინა მდებარეობს კორპუსების ეზოში, ცალკე. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 36-27-07 ან 36-37-64 (დარეკეთ მთელი დღის განმავლობაში, იკითხეთ დათო ან ლუდა).

■ არასტანდარტული, ოროთახიანი, მაღალჭერიანი ბინა 44 კვ.მ. საერთო ეზოში. ტელეფონით, აივნით, დიდი სარდაფით, 40 კვ.მ. ფართით. ჩიტაიას ქ. 38 (ყოფილი საბჭოს) საწყისი ფასი 9000 დოლარი. ტელ.: 96-82-58, 51-44-49.

ფარეჯი ცხვარიჭამიაში. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 96-14-43, 25-72-32.

■ ოროთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ცხრასართულიანი სახლის მეორე სართულზე, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონით და გოგირდის ცხელი წყლით. მისამართი: ნუცუბიძის მესამე მ/რ, მესამე კვარტალი, მეთერთმეტე კორპუსი. ფასი 27 ათასი დოლარი. ტელ.: 98-96-53.

## ვაქირავებ

■ ქართული პურის საცხობ თონეს ან თონესთვის გამოსადეგ სათავსოს. ტელ.: 39-86-39.

■ ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძალადევთან" ახლოს. ტელ.: 37-23-78, იკითხეთ ეკა.

■ უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 5-6 ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯის გარეშე, გარაჟით ქალაქის ცენტრში. 2-3 წლით. ტელ.: 95-30-35 (დღისით), 23-35-63, 38-00-66 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.

■ 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 29-28-77 (ბინა), 93-19-93 (სამსახ.) გოგი.

■ ერთ ან ოროთახიან ბინას ვერა-ვაკის მიდამოებში, 100 დოლარის ფარგლებში. ვარ ერთი სტუდენტი გოგონა. ტელ.: 23-20-11 ან 23-38-96 (იკითხეთ ნანა ან მაიკო).



## ავტობირჟა

■ ვყიდი 1983 წელს გამოშვებულ ვაზ-2106 03-ის ძრავით. მუშა მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი. ტელ.: 23-54-54.

■ ვყიდი ავტომანქანა „მაზდას". შვიდნახევარი წლის, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-56-78.

■ ვყიდი ძარას (კუზავი) „მოსკვიჩ-2141". ტელ.: 22-17-33, ოთარი.

■ ვყიდი შეღავათიან ფასში ვაზ-06, ვაზ-07, ვაზ-08 მანქანის სათადარიგო ნაწილებს. ტელ.: 66-02-01.

■ ვყიდი სასწრაფოდ ა/მანქანას „ფორდ სკორპიო" 1986 წ. გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში, ფერი ცისფერი პერლამუტი, საწყისი ფასი 5800 დოლარი. შეიძლება გაცვლაც. ტელ.: 22-38-52, იკითხეთ დათო.

■ ვყიდი მსუბუქ ა/მანქანის მისაბმელს და მოტობლოკის მისაბმელს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-02-33.

■ ვაქირავებ რკინის გარაჟს ორმოთი პეკინის ქუჩაზე თვეში 25 ლარად. ტელ.: 37-38-49.

■ ვყიდი ა/მანქანა ვოლგას ГАЗ-21. ფასი 900 დოლარი. ტელ.: 37-21-33. იკითხეთ გია.

■ ვყიდი ხუთსიჩქარიან კოლოფს, ქარხნული, ახალი, ვაზ 09, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-44-65, 93-47-66, იკითხეთ კახა.

■ ვყიდი ძრავს „აფ-56" თავისი „ისპარიტელებით", კარგ მდგომარეობაში. ფასი 350 ლარი. ტელ.: 31-31-79, 93-55-14.

■ ვყიდი უაზ-452 სატვირთო, 1990 წელს გამოშვებული. გავლილი აქვს 36000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-89-62, იკითხეთ კაკო.

■ ვყიდი ან ვცვლი სასწრაფოდ ბინაზე ავტომანქანას „Маз-504". კარგ მუშა მდგომარეობაში. ავტომანქანის ნახვა შეიძლება ყოველდღე გლდანის გადასახვევთან სატვირთო ავტომანქანების ბაზრობაზე 8-დან 22 საათამდე. ავტომანქანის ნომერი 73-73 ГАУ. ტელ.: 38-52-06.

## სხვადასხვა

■ ვყიდი მუშის ტანსაცმელს (спецовка) 2000 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-82-02. იკითხეთ დათო.

■ ვყიდი 96-გრადუსიან ხორბლის გერმანულ სპირტს 230 ლიტრიან კასრებში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-23-93, 23-00-79.

იყიდება უცხოური საქაღალდეები, 1 ც. ფასი 20 თეთრი, მინიმალური პარტია 1000 ც. ტელ.: 29-32-61, დია

■ ვყიდი შამპანურის ცეხს, აწყობილს, ყველა საჭირო დანადგარით. 5 ტონა ჭურჭლით, თავისი ფირმით და ლიცენზიით, აგრეთვე, 2 ცალი ჰიდრავლიკური წნეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-14-93, 51-24-25, 95-02-89, იკითხეთ ანზორი, შალვა, ზურა.

■ ვყიდი ჯიხურს დიდუბეში 6 კვ.მ., ფასი 600 ლარი. ტელ.: 95-94-70.

■ ვყიდი მეტალის ავზს, 12 მმ-იანი, 24-ტონიანი, 2X2X6. ფასი 1500 ლარი. ადგილზე მიტანით. ტელ.: 37-30-29, 67-33-22.

■ ვყიდი ხე-ტყის დასამუშავებელ დაზგებს. ტელ.: 36-25-21, 36-43-87, კობა.

■ ვყიდი სამზარეულოს გარნიტურს, გერმანულს, გაუხსნელს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-23-26.

■ ვამზადებ ოფლის საწინააღმდეგო მალამოს. ტელ.: 61-00-20, ნანა.

■ ინგლისური ფირმის „ჯონს ბროსის" ხადილის სერვიზი 12-კაციანი, 61 ნაჭერი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, ეკა.

■ ვყიდი იუგოსლავურ „კედელს" პალირების გარეშე, სუფთა ხე. ფასი 1200 დოლარი, ტელ.: 99-05-33

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.



### გია ცერცვაძე

ისევ დგება 12 ივნისი, შენი დაბადების დღე, ძვირფასო შვილო გია. ამ დღეს შენი ოჯახისთვის, შენი ახლობლებისთვის ოდესღაც ბედნიერება და სიხარული მოჰქონდა. დღეს კი — უკვე მეექვსედ — ვიკრიბებით უშენოდ, ცრემლითა და მწუხარებით აღვსილნი.

დღესაც ყველაფერი ძველებურადაა, ისევ ისე, შენ რომ გიყვარდა, ოღონდ უშენოდ.

ამ სუფრასთან, შენს მუდმივ ადგილზე, კვლავ შენი სახელის ხსენებაა. გია, ისევ საუბრობენ შენს სიკეთეზე, ვაჟკაცობაზე, კაცთმოყვარეობაზე. შენი მეგობრები ძველებურად შენი მგლოვიარე მშობლების გვერდით არიან.

მშვიდად იძინე, შვილო! დაე, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ სასუფეველი.

შენი სახელი მუდამ ჩვენს გულებშია! გვჯერა, დადგება დღე, როცა შენს საფლავთან ვიტყვით: შვილო, არამზადას თავისი მიეზღო.

გულნარა, როგნედი ცერცვაძეები

## დიმილვორდი



თარაზულად: 1. სპორტსმენისთვის აკრძალული თურქული შოკოლადი. 4. ქალი, რომელმაც უთოს თავი ახადა (მით.). 9. კეთილშობილი საქმე შამპანურის მოყვარული რუსისთვის. 11. ადამიანურ ურთიერთობათა ყველაზე სასიამოვნო ფორმა. 12. „მცენარეული" ქალის სახელი. 15. ტურა, რომელიც აუცილებელია მუსიკის შესასრულებლად. 16. რა ჰქვია კულიჩის მამას? 18. ლეიტენანტ შმიდტის შვილების ერთ-ერთი „მამა". 20. „ნუ აგროვებ" — რუსულად, ანუ ადამიანის სხეულის ნაწილი. 21. „სპორტს" ჰგავს, მაგრამ საერთო არაფერი აქვს მასთან. 25. წყნეთთან და მექსიკასთან დაკავშირებული ქალის სახელი. 26. თოფის შემკმელის შემკმელი, ანუ კატის შეკმულის შეკმული. 27. „წყალი", რომელიც ქალაქ კიოლნიდან „იწყება". 30. რომელი ხილი დაგიდგებათ თვალწინ, როცა წარმოვთქვამთ შემდეგ სიტყვებს: ატომი, ტამტამი, ტატამი, ასტამი და ა.შ. 33. რა არ ეყო მეათე ძმას? 34. დიოგენე სინოპელის უძრავი ქონება. 35. „პარლამენტი ბრძოლის ველად აქცია იმან, რომ გვყავს უამრავი..." 36. რუსული სწოლის მსგავსი სახატავი საშუალება.

შვეულად: 2. ბრეგვაძეების სუფრას არ აკლდა. 3. „მძიმე" ამერიკელი კინოვარსკვლავი. 5. დაბრუნებული ებრაელებისთვის ახლობელი აჭარული სახელი. 6. მიმართვა სასტუმროს, ანუ ეჭვიანი მავრი. 7. ჰორიზონტის მხარე, რომლითაც იური კოსმოსში გაფრინდა. 8. წესრიგის თვითმარქვია დედა. 10. მკვდარი საყვარლის სახელი (სიმღ.). 13. დღესასწაული, სადაც ახლობელიც შეიძლება ვერ იცნო. 14. ქალაქი თურქეთში, სადაც ძალიან უყვართ შოთა. 17. ბოროტი თემურის მეტსახელი (ისტ.). 19. ლოგინსაც აქვს და გვარდიასაც. 22. პრომეთეს თანამოძმე პატიმრობაში. 23. რას არა აქვს არაფერი საერთო №21-თან? 24. ბოროტმოქმედის ტიპი (უკავშირდება აგურის ქარხანას). 28. მალა აფხაზურად, ანუ მეფის მხლებლები ქართულად. 29. „თხუნელა" მეექვსე მუსიკალური ბგერის გარეშე. 31. „აკრიფა" მეოთხე მუსიკალური ბგერის გარეშე, ანუ მიწის ფართობის ერთეული. 32. „სინანული" ნულის გარეშე, ანუ წვრილი მავთული.



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ბომბეი; 2. აერაცია; 3. გენია; 4. გნომი; 5. იმპულსი; 6. უნდილი; 9. ავია; 10. გურმანი; 12. ხლალომი; 19. უიკენტი; 21. იოტაცია; 23. უტოპია; 24. ანტი; 26. ინტიმა; 27. გუნდი; 28. აიეტი.

თარაზულად: 7. გობელენი; 8. ფენომენი; 11. აქტიური; 13. გულიტი; 14. სრიალი; 15. არაყი; 16. სეიმი; 17. ამირა; 18. რგოლი; 19. უტილი; 20. ტორფი; 22. სნეული; 25. ოპიუმი; 27. გრძნობა; 29. სიმდიდრე; 30. ნატრიუმი.

ავიაკომპანია „ორბი" ა/წ. 7 ივნისიდან ტუ-154 ტიპის თვითმფრინავით შეასრულებს პირდაპირ რეისებს თბილისი-ამსტერდამი-თბილისის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან ყოველ პარასკევს დილის 10 სთ. 50 წუთზე. ფრენის ხანგრძლივობა 4 სთ.20 წუთია. ჩამოფრენა თბილისში 20 სთ. 30 წუთზე. მგზავრებს ეძლევათ დიდი რაოდენობით ტვირთის გადატანის საშუალება.

ORBI GEORGIAN AIRWAYS

ცნობებისთვის მიმართეთ ავიაკომპანია „ორბის" სააგენტოებს.

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე,
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.